

178

1975



3

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1975 2





საბჭოთა სამართალი

№ 2



1976 წელი
მარტი—აპრილი

შრნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კომპარტორგისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთქიური ქუჩაზე

შინაარსი

15	ფენისი საბჭოების არჩევნების დღეა	3
ვ.	შარაშენიძე — შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგიერთი საკითხი	7
თ.	ცაგურია — ქალის შრომითი უფლებები სსრ კავშირში	15
მ.	მაჭავარიანი — თვითნებურად აშენებული საცხოვრებელი სახლების შესახებ	21
გ.	ნაჭყებია — ინდუტერმინიზმისა და დეტერმინიზმის ზოგიერთი საკითხები ბურჟუა-ზიულ სისხლის სამართალში	27
ვ.	მაყაშვილი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ბიოგრაფიის რამდენიმე ფურცელი	37
გ.	ხარატიშვილი — ქართველი იურისტი ქალები	45
	ერისკაცი	51
ნ.	კეცხოველი — ხევისკაცობა	51
ო.	დოლიძე — პასუხი განაწყენებულ რეცენზენტს	58
	ოფიციალური მასალა	69
	არბიტრაჟის პრაქტიკა	74
	ინფორმაცია	84
	მოკლე ცნობები	90
	ნარევი	92
	მხატვრის ღიმილი	96

12799

კ. მარქსის სახ. საჭ. ს.
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

15 июня — день выборов	3
В. Шарашенидзе — Некоторые вопросы расторжения трудового договора	7
Т. Цагурия — Трудовые права женщины в СССР	15
М. Мачавариани — О самовольно построенных жилых домах	21
Г. Начкебия — Некоторые вопросы индетерминизма и детерминизма в бур- жуазном уголовном праве	27
В. Макашвили — Страницы из биографии Луарсаба Андроникашвили	37
Г. Харатишвили — Женщины-юристы Грузии	45
Патриот	51
Н. Кецховели — Хевისკაცობა	51
И. Долидзе — Ответ обиженному рецензенту	58
Официальный материал	69
Арбитражная практика	74
Информация	77
Краткие заметки	90
Пестрая смесь	92
Улыбка художника	96



სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 1583
ტარაგი 21.000
ფე 04635

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშ-
ვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, ფ. კარანაძე,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1975 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. 103.

გადაეცა წარმოებას 15/V-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VI-75 წ., ქალღმრთის
ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4
სააღრიცხვო-სავაჭრო-საბეჭდო თაბახი 8,87.

საქ. გმკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

15 ივნისი საბჭოების პარტიების ღვა

1975 წლის 15 ივნისს ჩვენი დიადი სამშობლოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნები. სსრ კავშირის ხალხები, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, აირჩევენ ხელისუფლების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც თავისი წარმომადგენლობით შეუდარებელია. საბჭოებში არჩეულ იქნება ორ მილიონზე მეტი დეპუტატი.

არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის უკვე შექმნილია 2.260.000 საარჩევნო კომისია, რომელშიც გაერთიანებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების 9.261.000 წარმომადგენელი. მათ შორის მუშა და კოლმეურნეა 61,5 პროცენტი, უპარტიოა 64,4 პროცენტი, ქალია 47,2 პროცენტი, ახალგაზრდა 30 წლის ასაკამდე 25,5 პროცენტი. კომისიის თავმჯდომარეებად არჩეულთა შორის 62,2 პროცენტი მუშა და კოლმეურნეა.

არჩევნები ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ტარდება მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ნიშნით. წლევანდელი წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს. საბჭოთა ხალხი წარმატებით ავვირგვინებს მეცხრე ხუთწლედს; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამასწინათ მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს 1976 წლის თებერვალში ლენინური პარტიის მორიგი, XXV ყრილობა. ამ ცნობას საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი სიხარულით შეხვდა და ემზადებიან მისი ღირსეულად შეხვედრისათვის. პარტიის ყრილობები ყოველთვის წარმოადგენდნენ ნიშანსვეტს საბჭოთა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. პარტიის ყოველი ახალი ყრილობა მოასწავებს ეკონომიკის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების ახალი ისტორიული მიჯნის დასაწყისს. სკკპ XXV ყრილობა ასეთსავე დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში.

საბჭოები, რომლებიც კონსტიტუციით მიჩნეულია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველად, წარმოადგენენ მასების აღზრდის ნამდვილ სკოლას. პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოების როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა კომუნისტური სულისკვთებით აღზრდაში, საბჭოების საქმიანობის ფორმების და მეთოდების სრულყოფას.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აქტივობის შემდგომი ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის XXIV ყრილობის მუშაობის დაწყების წინ, 1971 წლის მარტში მიიღო დადგენილება — „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ“. საში დღის შემდეგ მას მოჰყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება — „მშრომელთა დეპუტატების რაი-

ონული და საქალაქო საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“.

ამ დოკუმენტებმა საგრძობლად გააფართოვა საქალაქო, რაიონული, სადაზო საბჭოების უფლებები, განამტკიცა საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზა. საბჭოებს მიენდოთ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაცია. ადგილობრივი საბჭოების ერთერთი ძთავარი მოვალეობაა ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვისათვის. კანონების შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება ყოველთვის იყო საბჭოების მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მხარე.

საბჭოები მუდამ დიდ წარმატებებს აღწევენ სოციალისტურ მშენებლობაში კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობის წყალობით. პარტია სისტემატურად და დაუცხრომლად ზრუნავდა საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოების ავტორიტეტის ამღლებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1972 წლის სექტემბერში მიღებულ კანონს „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“. ამ უმნიშვნელოვანესმა საკანონმდებლო აქტმა დააწესა, რომ არ შეიძლება შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე დეპუტატი მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით თუ არ იქნა ამის თაობაზე საბჭოს, ხოლო სესიათა შორის პერიოდში მისი აღმასკომის ნებართვა.

ბოლო ხანს საბჭოები სულ უფრო აუმჯობესებენ ხელმძღვანელობას სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საბჭოთა ადამიანების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმისადმი. უფრო დიდი ყურადღება ექცევა ქალაქების, დაბების და სოფლების კეთილმოწყობას, საბინაო და საგზაო მშენებლობას. ადგილობრივი საბჭოები მეტ ინიციატივას იჩენენ საგვემო, საფინანსო და მიწის კანონმდებლობის საკითხების გადაჭრაში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოების ყველა რგოლი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობებს, ყველაფერს აკეთებდა საბჭოთა კანონების შესასრულებლად და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად.

მცხეთის, გარდაბნის, ხაშურის, მახარაძის, თეთრი წყაროს, დუშეთის რაიონებში, აფხაზეთის ასსრ-ს, აგრეთვე რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებში წლების მანძილზე უხეშად ირღვეოდა მიწათსარგებლობის და ბინათმშენებლობის კანონმდებლობა. ადგილი ჰქონდა მიწების მიტაცების, უნებართვო მშენებლობის, ფონდირებული მასალებით უკანონო ბინათმშენებლობის არაერთ ფაქტს. სამწუხაროდ საბჭოთა ორგანოები, რომელთა თვალწინ ხდებოდა ეს აღმამფოთებელი დარღვევები კანონისა არ ღებულობდენ ქმედით ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად.

ამჟამად, რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის პირობებში საბჭოების აღმასკომებმა გააქტიურეს ყურადღება, რათა არ იქნეს დაშვებული უკანონო ბინათმშენებლობა და წარსულში დაშვებულ დარღვევებს

სათანადო რეაგირება მოჰყვეს. 1973 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა აღმასკომების ინიციატივით სასამართლოში აღძრულ სარჩელთა რიცხვი თვითნებურად აშენებული სახლების ჩამორთმევის თაობაზე.

რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა ყველა ღონისძიება უნდა განახორციელონ, რათა მათ ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ იქნეს დაშვებული უკანონო ბინათმშენებლობა. ამასთან კანონის დარღვევა მათ ჩანასახშივე უნდა აღკვეთონ.

თანამედროვე პირობებში საბჭოების მთავარი ამოცანაა ყოველმხრივ გააძლიერონ თავიანთი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე, მათ უფრო კვალიფიციურად უნდა უხელმძღვანელონ სოციალურ ურთიერთობათა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

სკკ XXIV ყრილობამ საბჭოებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა „უფრო სრულად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, მოახდინონ ქმედითი ზეგავლენა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს“.¹

ადგილობრივი საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში დიდია მუდმივი კომისიების როლი. ისინი ქმნიან მასების აქტიურობის ხელსაყრელ პირობებს, იმის შესაძლებლობას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ დეპუტატთა ცოდნა და გამოცდილება, გავითვალისწინოთ ამომრჩეველთა განაწესი.

მრავალფეროვანია მუდმივი კომისიების საქმიანობის ფორმები და მეთოდები. ისინი უზრუნველყოფენ საბჭოების უწყვეტ, ყოველდღიურ კავშირს ფართო მასებთან, აზადებენ გადაწყვეტილებების პროექტებს, იძლევიან დასკვნებს იმ საკითხებზე, რაც მათ კომპეტენციაში შედის.

რესპუბლიკაში წინა არჩევნების დეპუტატების 92,2 პროცენტი ჩაბმული იყო მუდმივ კომისიებში. ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილი იყო თითქმის 6.000 მუდმივი კომისია. მათ სესიის განსახილველად მოამზადეს 6842, ხოლო აღმასკომისათვის 18545 საკითხი. მუდმივი კომისიების უმრავლესობამ ანგარიში ჩააბარა შესაბამისი საბჭოს სესიას.

მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მუშაობისადმი კონტროლის მეტად ეფექტური ფორმაა სესიებზე დეპუტატების მხრივ შეკითხვის წესით საკითხების დაყენება. დეპუტატები ბოლო ხანს ფართოდ იყენებენ ამ უფლებას, სისტემატურად მიმართავენ შეკითხვებით სესიას იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც შედის საბჭოების უფლებამოსილებაში. დეპუტატის შეკითხვაზე, როგორც წესი, საბჭო იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

დეპუტატების, მუდმივი კომისიების როლის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განხილული საკითხების სფერო, გაუმჯობესდა მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი.

განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ საბჭოების დეპუტატები სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ცნობილია, რომ კანონმა დეპუტატთა სტატუსის შესახებ ეს ფუნქცია მათ მოვალეობაში შეიტანა. კანონის 25-ე მუხლის მიხედვით „დეპუტატი მოვალეა იღვეს საბჭოთა კანონიერ-


¹ სკკ XXIV ყრილობის მასალები, 1971 წ., გვ. 204.

რების სიღარაჯოზე, აქტიურად მონაწილეობდეს სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშრომელთა სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით აღზრდაში“. საბჭოთა კანონმდებლობამ დეპუტატები აღჭურვა ამ უფლებათა განხორციელების სამართლებრივი და მატერიალური გარანტიებით. ერთერთი გარანტია, იმისა, რომ ამიღლდეს დეპუტატების როლი კანონიერების განმტკიცებაში იმაშია, რომ ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ საბჭოთა კანონებში. ამის გათვალისწინებით, ბოლო ხანს დიდი ყურადღება ექცევა დეპუტატების სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებას. სწავლული იურისტები, სასამართლო-პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები სისტემატურად გამოდიან დეპუტატების წინაშე ლექციებით მოქმედი კანონმდებლობის ძირითად საკითხებზე. ბევრი დეპუტატი სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავის ახალ პროგრამაში ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა: „ავამაღლოთ ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მეურნეობის მართვაში, განვხორციელოთ სამეურნეო მართვის რიგი ფუნქციების შექმნაში გადაცემა საერთო საკავშირო ორგანოებისაგან რესპუბლიკური ორგანოებისათვის, რესპუბლიკური ორგანოებისაგან საქალაქო ორგანოებისათვის, საოლქო ორგანოებისაგან რაიონული ორგანოებისათვის“ (სკკპ პროგრამა, 1961 წ. გვ. 97).

საბჭოები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია თავის ტერიტორიაზე, ქალაქისა და დაბის პატრონი. მათი მოვალეობაა ყველაფერი გააკეთონ მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, კულტურული დასვენების მოწყობისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ხალხი 15 ივნისს ერთსულოვნად მისცემს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს და ამით გამოხატავენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი, კომუნიზმის იდეალებსადმი თავის ერთგულებას.



შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ზომიერობის საკითხი

3. შარაშენიკა

1970—1974 წლებში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამან განაპირობა სამეცნიერო — პრაქტიკული და პოპულარული ნაშრომების გამოქვეყნება, რომელთა მიზანია პირველ რიგში კანონმდებლობის პრაქტიკაში სწორად გამოყენების უზრუნველყოფა და ამასთან ერთად წინადადებათა შემუშავება უკვე მოქმედი კანონების სრულყოფისათვის.

უკანასკნელ პერიოდში, შრომის კანონმდებლობის საკითხებზე მოკავშირე რესპუბლიკებში გამოქვეყნდა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ბროშურები, სტატიები, რომელთა უმრავლესობა დიდ დახმარებას უწევს არა მარტო იურიდიული სამსახურის მუშაებს, არამედ სამეურნეო და პროფკავშირულ აქტივს, ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომ შრომითი ურთიერთობის სფეროში ხაკითხები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გადაწყდეს. ამასთან, ცალკეულ პუბლიკაციებში არის არაზუსტი, არასრული და ზოგჯერ უხეში შეცდომების შემცველი დებულებები, რომლებსაც შეიძლება კანონის დარღვევა და შრომითი დავები მოჰყვეს. ამ გარემოებამ გვიკარნახა შევეხოთ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგიერთ საკითხს, განვიხილოთ ლიტერატურაში გამოთქმული ცალკეული არასწორი დებულებები და შეძლებისდაგვარად სწორი ორიენტაცია მივცეთ ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს.

1. ჟურნალ „სოვეტსკაია იუსტიციის“ 1973 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციას უფლება აქვს გადააყენოს მუშაკი სამუშაოდან, თუ იგი დანაშაულის ჩადენის მომენტში **ადგილზე** დაკავებულია ნივთიერი სამხილით¹.

მართალია, ჟურნალში განხილული იყო რსფსრ-ს შრომის კანონთა კოდექსის 38-ე მუხლის გამოყენების წესი, მაგრამ ჟურნალის ავტორიტეტმა, ჩვენი აზრით, ზეგავლენა მოახდინა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-40 მუხლის გამოყენების პრაქტიკაზეც.

ჟურნალში მოყვანილი დებულება არ შეესაბამება ამჟამად მოქმედ შრომის კანონმდებლობას. რსფსრ-ს და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსების დასახლებული მუხლების მიხედვით მუშის ან მოსამსახურის სამუშაოდან (თანამდებობიდან) გადაყენება დასაშვებია მხოლოდ იმ ორგანოების წინადადებით, რომლებიც საამისოდ უფლებამოსილი არიან სსრ კავშირისა და რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ჟურნალი ხელმძღვანელობდა რსფსრ-ს შრომის სახალხო კომისარიატის

¹ იხ. Расторжение трудовых договоров по КЗОТ РСФСР, Советская юстиция, № 6, стр. 4.

1925 წლის 21 მაისის განმარტებით², რომლის შესაბამისად გარკვეულ პირობებში, ადმინისტრაციის უფლება ჰქონდა გადაეყენებინა მუშაკი სამუშაოდან დადგენილი წესით საქმის გარკვევამდე, თუ იგი ჩაიდენდა სამუშაოსთან უშუალოდ დაკავშირებულ სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობას.

ეს განმარტება ეხებოდა ძველი შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „D“ პუნქტის გამოყენებას. შემდგომ განმარტება გაუქმდა რსფსრ-ის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 290 დადგენილებით. მაგრამ უამისოდაც მის მოქმედებას ძალა არ უნდა ჰქონოდა, ვინაიდან თვით კოდექსიც და მისი მუხლებიც გაუქმდა ახალი კოდექსის მიღებით.

ამჟამად არც რსფსრ-ს და არც საქართველოს სსრ კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციის უფლებას აძლევს თავისი ინიციატივით გადააყენოს მუშაკი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კოდექსის მე-40 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის უფლება აქვს მუშაკი, რომელიც სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდება, არ დაუშვას იმ დღეს (იმ ცვლაში) სამუშაოდ.

მუშაკის სამუშაოდან გადაყენების უფლება ადმინისტრაციას აქვს მხოლოდ სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში, სადაც ეს პირდაპირ არის ჩაწერილი დისციპლინურ წესდებებში. (მაგ. სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა დისციპლინის შესახებ წესდების 24-ე პუნქტი).

როგორც აღინიშნა, მუშაკის სამუშაოდან გადაყენება ხდება მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების წინადადებით. ასეთებია სასამართლო-საგამოძიებო, სახალხო კონტროლის, სახსამთოზედამხედველობის და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები.

მუშაკის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს იძლევა, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც მუშაკი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით (გარდა პირობითი მსჯავრისა), არათავისი მუშაობის ადგილას გამასწორებელი სამუშაოებით ან სხვა სასჯელით, რომელიც გამორიცხავს ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას. ვიდრე განაჩენი კანონიერ ძალაში არ შევა, მუშაკთან შრომის ხელშეკრულება არ წყდება და გადაყენება შეიძლება მოხდეს გამოძიებლის მოტივირებულ დადგენილებით, რაც პროკურორმა უნდა დაამტკიცოს. დადგენილება აღსრულებისათვის იგზავნება ბრალდებულის სამუშაო ადგილზე, რაც სავალდებულოა შესასრულებლად. თანამდებობიდან გადაყენება უქმდება, როდესაც ამის აუცილებლობა მოიხსნება (რაიმე ვადები კანონით დადგენილი არ არის).

გადაყენების სპეციფიკური ნიშანი ის არის, რომ იგი არ წყვეტს შრომითს სამართლებრივ ურთიერთობებს და მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩერებს მუშაკის მიერ შრომითი ვალდებულების ფაქტიურ შესრულებას. ამიტომ სწორად არ იქცევიან სასამართლო ორგანოები, როდესაც წარმოებაში იღებენ და განიხილავენ სამუშაოდან გადაყენებული მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე აღდგენის საჩივლებს.

მუშაკის სამუშაოდან გადაყენების შესახებ დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბრალდებულის, დამცველის, აგრეთვე ორგანიზაციის მიერ, სადაც მუ-

² «Известия НКТ СССР» 1925 г., № 24.

³ СП РСФСР 1973 г. № 15, ст. 94.



შაობს გადაყენებული პირი და იმ ორგანოში, რომელმაც მუშაის სამუშაოდან გადაყენების დადგენილება გამოიტანა (ან მის ზემდგომ ორგანოში).

შრომითი ხელშეკრულების შეცვლისა და შეწყვეტის პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის ინიციატივით საამისოდ უფლებამოსილ ორგანოთა მოუთხოვნელად მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან გადაყენებისა და სასამართლო ორგანოების მიერ ამ კატეგორიის სარჩელთა განხილვის შემთხვევები.

ჩვენ არ ვეხებით იმის განსაზღვრას, თუ რამდენად მიზანშეწონილია საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციას არ ჰქონდეს უფლება გადააყენოს სამუშაოდან დანაშაულის ჩადენის მომენტში დაკავებული მუშაკი. ეს სპეციალური მსჯელობის საგანია, მაგრამ ერთი ცხადია: დღეს მას ასეთი უფლება კონონით არა აქვს მინიჭებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებლად მიგვაჩნია: ან საკანონმდებლო წესით მიეცეს უფლება ადმინისტრაციას, სათანადო პირობების არსებობისას, დამოუკიდებლად, გადაწყვიტოს მუშაკის გადაყენების საკითხი ან სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ განმარტოს, რომ საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციას არა აქვს ასეთი უფლებები და რომ სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში არ შედის გადაყენებულ მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის სარჩელების განხილვა.

2. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის ქართული ტექსტის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტში ჩაწერილია, რომ შრომის ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება „მუშის ან მოსამსახურის მიერ არასაპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობის გამო, თუ მუშის ან მოსამსახურის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები“. სიტყვა „ზემოქმედებას“ შემთხვევით როდი გავუსვით ხაზი. ტექსტში უნდა იყოს სიტყვა „სასჯელი“ ისევე როგორც ნახმარია რუსულ ტექსტში „ВЗЫСКАНИЕ“. აღნიშნული შეუსაბამობა მთარგმნელის შეცდომად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ იგი მეორეჯერაც განმეორდა. პირველად ასეთი შეცდომა დაშვებული იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების ქართული ტექსტის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტში, რასაც ჩვენ თავის დროზე მივაქციეთ ყურადღება.⁴

იმის გამო, რომ ზემოქმედება და სასჯელი განსხვავებული ცნებებია, ამ ერთი შეხედვით, უმინიმუმ შეცდომამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის დროს.

ვიდრე ამ ცნებათა სხვაობას გავარკვევთ, გავიხსენოთ, თუ საიდან მოხდნენ ისინი შრომის კანონთა კოდექსში.

1922 წლის შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისი პუნქტი შემდეგი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული: „თუ დაქირავებული არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებული აქვს ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით“. არც ზემოქმედებაზე და არც სასჯელზე აქ ლაპარაკი არ ყოფილა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, განაზოგადა რა სასამართლო პრაქტიკა შრომით საქმეებზე, 1957 წლის 13 სექტემ-

⁴ იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1970, № 6, გვ. 61.

ბრის № 13 დადგენილების მე-17 პუნქტში მოუთითა სასამართლოებს, რომ მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლება შინაგანაწესის არასაპატიო მიზეზით სისტემატურად შეუსრულებლობისათვის დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ მიღებული საზოგადოებრივი ან დისციპლინური ზემოქმედების (აქ და შემდგომ ხაზგასმა ჩვენია ვ. შ.) ზომებმა არ გამოიღო სათანადო შედეგი.

იგივე აზრია გატარებული საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 იანვრის დადგენილებაშიც „მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდან განთავისუფლებისას შრომის კანონმდებლობის დაცვაზე საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების კონტროლის გაძლიერების შესახებ“. მასშიც ნახმარია სიტყვა „ზემოქმედება“.

მიუხედავად ამისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის ტექსტში ნახმარია სიტყვა „სასჯელი“ და არა „ზემოქმედება“.

საფუძვლებში ამ ცნებათა შეცვლა შემთხვევითი როდია. „ზემოქმედება“ უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს „სასჯელსაც“. კოლექტივის კრებაზე ან გიზეთში მუშაკის ვაკრიტიკება საზოგადოებრივი ზემოქმედებაა და არამც და არამც არ არის სასჯელი. ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად მოვიყვანთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 6 დადგენილებას „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ“. ამ დადგენილების მე-10 პუნქტის მესამე ნაწილში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი სასჯელის ღონისძიებათა ქვეშ, რომლებიც დისციპლინურ სასჯელებთან ერთად მიიღებიან მხედველობაში მოცემული საფუძვლებით დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისას, გაგებულ უნდა იქნას სასჯელები სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის, რომლებიც გამოიყენება მუშაკის მიმართ ამხანაგური სასამართლოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათი საქმიანობის განმსაზღვრელი დებულებითა და წესდებებით.

შეიძლება გავეცნოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნებისმიერ დებულებასა და წესდებას და იქ ვერ აღმოვაჩინოთ რომ მარტოოდენ კრიტიკო საზოგადოებრივი სასჯელი იყოს. ზემოქმედება სასჯელის სახეს მაშინ დებულობს, როდესაც იგი შესაბამისი დადგენილებით ან გადაწყვეტილებებით არის განმტკიცებული.

განიხილავს რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზემოდმოყვანილ განმარტებას, დოცენტი ნ. გუდმოგოვი, სრულიად დასაბუთებულად თვლის, რომ საზოგადოებრივი სასჯელისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების სიმუალებათა განსხვავების კრიტერიუმია ის ფორმა, რომელშიც გამოხატულია საზოგადოებრივი ორგანიზაციის აზრი. შრომის დისციპლინის დარღვევის სისტემატურობის განსაზღვრისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები მიღებულ უნდა იქნენ მხედველობაში, თუ მუშაკის გადაცდომა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მსჯელობის საგნად იქცა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის მიმართ საზოგადოებრივი სასჯელის შეფარდების შესახებ. საზოგადოებრივ ზემოქმედებას საზოგადოებრივი სასჯელის ვარგშე მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მუშაკის დახასიათებისათვის და არა შრომის კანონთა კოდექ-

სის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის დროს დარღვევის სისტემატურობის განსაზღვრისათვის.⁵

ვფიქრობთ, ზემოქმედებისა და სასჯელის ცნებათა განსხვავებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის საკითხისათვის და იგი დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

განხილულ საკითხებზე საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის ქართულ და რუსულ ტექსტებში არსებული სხვაობა თავისთავად აყენებს კითხვას: რომელი ტექსტით ვიხელმძღვანელოთ? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — სახელმძღვანელოდ უნდა მივიჩნიოთ, რუსულ ტექსტის ზუსტი თარგმანი — სასჯელი.

ამ საკითხზე პრაქტიკაში შეცდომის თავიდან აცილებისათვის მიზანშეწონილია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დაუშვას სახელმძღვანელო განმარტება.

3. ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1974 წლის № 6-ში დაიბეჭდა ადვოკატ გ. შონიას კონსულტაცია — „მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის საფუძველები“, რომელიც შეიცავს ზოგიერთ უზუსტობასა და შეცდომებს.

კონსულტაციაში საკმაოდ ადგილი აქვს დათხოვილი შრომის ხელშეკრულების მოშლის საკითხებს მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით (გვ. 36—37). სამწუხაროდ მასში ასახული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1974 წლის 22 იანვრის დადგენილებით შეიტანა თავის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 6 დადგენილებაში — „სასამართლო პრაქტიკაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძველების გამოყენების შესახებ“. კერძოდ, უმაღლესმა სასამართლომ განსაზღვრა: მუშაკს, რომელმაც გააფრთხილა ადმინისტრაცია განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლის შესახებ, უფლება აქვს გაფრთხილების ვადის ამოწურვამდე გაითხოვოს თავისი განცხადება და ასეთ შემთხვევაში დათხოვნა არ მოხდება, თუ მის ადგილზე არ არის მოწვეული სხვა მუშაკი, რომელსაც კანონის შესაბამისად არ შეიძლება უარი ეთქვას შრომის ხელშეკრულების დადებაში და სხვა შემთხვევებში, თუ ასეთი გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსებში (მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)⁶.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ჯერჯერობით ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს მხოლოდ მე-19 მუხლის მე-4 ნაწილი, სადაც იღნიშნულია, რომ ხელმძღვანელთა შორის შეთანხმებით სხვა საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან გადმოყვანის წესით სამუშაოზე მოწვეულ მუშაკს არ შეიძლება უარი ეთქვას შრომის ხელშეკრულების დადებაზე.

ზუსტი არ არის გ. შონიას განმარტება იმ ნაწილშიც, რომ „ყველა შემთხვევაში, როცა მუშაკებს შეაქვთ განცხადება და ითხოვენ სამუშაოდან განთავისუფლებას, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან, პირადად გაერკვნენ საკითხში, ესაუბრონ განმცხადებელ პირებს...“ (ხაზგასმები ჩვენია ვ. შ.).

⁵ Н Гудимов «Общественность и укрепление грудовой дисциплины», «Советская юстиция», 1973 г., № 6, стр. 17.

⁶ «Социалистическая законность» 1974 г., № 5,



სის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის დროს დარღვევის სისტემატურობის განსაზღვრისათვის.⁵

ფიქრობთ, ზემოქმედებისა და სისჯელის ცნებათა განსხვავებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის საკითხისათვის და იგი დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

განხილულ საკითხებზე საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის ქართულ და რუსულ ტექსტებში არსებული სხვაობა თავისთავად აყენებს კითხვას: რომელი ტექსტით ვიხელმძღვანელოთ? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — სახელმძღვანელოდ უნდა მივიჩნიოთ, რუსულ ტექსტის ზუსტი თარგმანი — სისჯელი.

ამ საკითხზე პრაქტიკაში შეცდომის თავიდან აცილებისათვის მიზანშეწონილია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დაუშვას სახელმძღვანელო განმარტება.

3. ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1974 წლის № 6-ში დაიბეჭდა ადვოკატ გ. შონიას კონსულტაცია — „მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის საფუძველები“, რომელიც შეიცავს ზოგიერთ უზუსტობასა და შეცდომებს.

კონსულტაციაში საკმაოდ ადგილი აქვს დათმობილი შრომის ხელშეკრულების მოშლის საკითხებს მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით (გვ. 36—37). სამწუხაროდ მასში ასახული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1974 წლის 22 იანვრის დადგენილებით შეიტანა თავის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 6 დადგენილებაში — „სასამართლო პრაქტიკაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძველების გამოყენების შესახებ“. კერძოდ, უმაღლესმა სასამართლომ განსაზღვრა: მუშაკს, რომელმაც გააფრთხილა ადმინისტრაცია განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლის შესახებ, უფლება აქვს გაფრთხილების ვადის ამოწურვამდე გაითხოვოს თავისი განცხადება და ასეთ შემთხვევაში დათხოვნა არ მოხდება, თუ მის ადგილზე არ არის მოწვეული სხვა მუშაკი, რომელსაც კანონის შესაბამისად არ შეიძლება უარი ეთქვას შრომის ხელშეკრულების დადებაში და სხვა შემთხვევებში, თუ ასეთი გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსებში (მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)⁶.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ჯერჯერობით ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს მხოლოდ მე-19 მუხლის მე-4 ნაწილი, სადაც იღნიშნულია, რომ ხელმძღვანელთა შორის შეთანხმებით სხვა საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან გადმოყვანის წესით სამუშაოზე მოწვეულ მუშაკს არ შეიძლება უარი ეთქვას შრომის ხელშეკრულების დადებაზე.

ზუსტი არ არის გ. შონიას განმარტება იმ ნაწილშიც, რომ „ყველა შემთხვევაში, როცა მუშაკებს შეაქვთ განცხადება და ითხოვენ სამუშაოდან განთავისუფლებას, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან, პირადად გაერკვნენ საკითხში, ესაუბრონ განმცხადებელ პირებს...“ (ხაზგასმები ჩვენია ვ. შ.).

⁵ Н. Гудимов «Общественность и укрепление трудовой дисциплины», «Советская юстиция», 1973 г., № 6, стр. 17.

⁶ «Социалистическая законность» 1974 г., № 5,

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელმძღვანელის ვალდებულებას პირადად გაერკვეს განცხადების შეტანის მიზეზებში. შეიძლება ავტორს დავეთანხმოთ, რომ ხელმძღვანელის ასეთი მოქმედება სისურველია, მაგრამ ვალდებულების სახით ამას ვერ მოვთხოვთ. ეს შესაძლებელია მარტოოდენ მცირერიცხოვან კოლექტივებში, ხოლო დიდ კოლექტივებში, სადაც მუშაკთა რაოდენობა ათასის ფარგლებს სცილდება, ეს პრაქტიკულად განუხორციელებელია. ამისათვის ხელმძღვანელს აქვს სათანადო განყოფილებები და ჰყავს შტატიანი თანამდებობის პირები, ხოლო ზოგიერთ საწარმოში, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, იქმნება საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი კადრების განყოფილებები, რომლებიც ირკვევენ მუშაკთა სამუშაოდან პირადი განცხადებით წასვლის მიზეზებს.

სწორი არ არის გ. შონია იმაშიც, რომ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტით მუშაკის დათხოვნის მოტივია ამ სამუშაოზე იმ მუშაკის დაბრუნება, რომელიც სამუშაოდან წასული იყო არჩევითს თანამდებობაზე და არჩევითი უფლებამოსილების ვადა დაუმთავრდა (გვ. 41). გ. შონიას შეცდომა, ალბათ, შრომის კანონთა კოდექსის 109-ე მუხლის მცდარი გაგების შედეგია. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სამუშაოდან იმის გამო განთავისუფლდნენ, რომ არჩეული არიან სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არჩევითს თანამდებობაზე რწმუნებულების ვადის დამთავრების შემდეგ ეძლევათ წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ეს არ არის, — სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) იმავე, ან, მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

არჩევითი თანამდებობის რწმუნებულების ვადის დამთავრების მომენტი-სათვის ადრინდელი სამუშაოს (თანამდებობის) არარსებობა გ. შონიამ ვიწროდ გაიგო, ე. ი. როგორც მისი ლიკვიდაცია და შემცირება, მაშინ როდესაც იგი გაგებული უნდა იყოს უფრო ფართოდ, ამ სამუშაოზე (თანამდებობაზე) სხვა პირის მუშაობაც.

სამწუხაროდ, ჩვენი აზრის განსამტკიცებლად ვერ მოვიყვანთ ოფიციალური ორგანოს განმარტებას, მაგრამ დავეყრდნობით შრომის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე ისეთ სახელმძღვანელოს, როგორცაა — საცნობარო წიგნი პროფკავშირისათვის.⁷

ამგვარად, შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის საფუძველს არ იძლევა ამ თანამდებობიდან არჩევით სამუშაოზე წასული მუშაკის რწმუნების ვადის გასვლა და ძველ სამუშაოზე მოწყობის სურვილი.

მცდარია გ. შონიას კონსულტაცია იმ ნაწილშიც, თითქოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მუშაკის სამუშაოდან დათხოვნაზე ადგილკომის თანხმობის მოქმედების ვადა, პრაქტიკით კი ეს ვადა განსაზღვრულია ერთი თვით (გვ. 43).

პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის მოქმედების ერთთვიანი ვადა პრაქტიკით კი არ არის განსაზღვრული, არამედ კანონით, კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სადაც აღნიშნულია,

⁷ Ю. Н. Коршунов, Р. З. Лившиц, М. С. Румянцева — Советское законодательство о труде, М., Профиздат, 1974 г., стр. 106.

რომ ადმინისტრაციას უფლება აქვს მოშალოს შრომის ხელშეკრულება არა-უგვიანეს ერთი თვისა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის მიღების დღიდან, ხოლო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული საფუძვლებით დათხოვნისას — ერთი თვის განმავლობაში დღიდან გადაცდომის გამოძღვანებისა.

გ. შონია კონსულტაციაში სწორად არ აღნიშნავს, რომ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნაზე თანხმობის მიცემის საკითხის გადაწყვეტის დროს პროფკავშირის კომიტეტი ვალდებულია განუხრელად შეასრულოს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 იანვრის დადგენილება (გვ. 42). ამ ნაწილში გ. შონიას აზრი მოძველდა, ვინაიდან საკავშირო პროფსაბჭომ დასახელებული დადგენილება გააუქმა 1974 წლის 28 ივლისის დადგენილებით „შრომითი დავის განხილვის წესის დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“, რომელიც კონსულტაციის ტექსტით თუ ვიმსჯელებთ, ავტორისათვის უდაოდ ცნობილია.

4. განსაკუთრებით უხეში შეცდომებია ვ. ლომსაძის წიგნი — „კონსულტაციები შრომისა და საფინანსო კანონმდებლობის შესახებ“.³

ვ. ლომსაძე აღნიშნავს, რომ საბჭოთა შრომის კანონმდებლობის მიხედვით მუშები და მოსამსახურენი სამუშაოზე მიიღებიან კოლექტიური ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური წესით (გვ. 11). ავტორი ალბათ ვერ ერკვევა, თუ რა არის კოლექტიური ხელშეკრულება და მას ურევს ორგანიზებული წესით დადებულ შრომით ხელშეკრულებაში. ჩვენ არ გვსურდა ამ სტატიაში შევჩერებულყოყავით ისეთ ელემენტარულ საკითხზე, რომელიც ნათელი უნდა იყოს არა მარტო სპეციალური ლიტერატურის ავტორობის პრეტენზიის მქონე პირისათვის, არამედ მუშა მოსამსახურისთვისაც კი, მაგრამ ვინაიდან ვ. ლომსაძის წიგნი სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სახელით გამოვიდა და დაიბეჭდა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით, საჭიროდ მივიჩინეთ ასეთ ელემენტარულ საკითხებსაც შევგებოთ.

ვ. ლომსაძეს მიაჩნია, რომ დისციპლინის დარღვევისათვის მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის საფუძველს იძლევა დისციპლინის სისტემატური დარღვევა ან (ხაზგასმა ჩვენია, ვ. შ.) თუ მის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება (გვ. 13) ავტორმა კავშირი „და“ შესცვალა „ან“ ალტერნატივით და მნიშვნელოვნად დაამახინჯა კანონმდებლობის აზრი, ვინაიდან როგორც შრომის კანონმდებლობის საფუძვლების (მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი), ასევე საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის (34-ე მუხლის მე-3 პუნქტი) მიხედვით სამუშაოდან მუშაკის დათხოვნისათვის საკმარისი არ არის მარტოდენ დისციპლინის სისტემატური დარღვევის ფაქტების არსებობა. სავალდებულოა აგრეთვე, რომ ამ დარღვევებისათვის ადმინისტრაციის მხრივ მუშაკის მიმართ გამოყენებული იყოს დისციპლინური ან საზოგადოებრივი სასჯელის ღონისძიებანი.

ჩვენ ადვილად დავეთანხმებოდით იმ აზრს, რომ ზემოდღსახელებულ ტექსტში ნახმარი „ან“ მექანიკური ან სტამბური ხასიათის შეცდომაა, მაგრამ წიგნის სხვა გვერდებზე ისეთი შეცდომებია, რომ საბოლოოდ ეს ავტორის არულ უვიცობას და კანონზომიერ შეცდომებს უნდა მივაწეროთ.

³ დასახელებული ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974 წ.

ავტორი მკითხველს ასწავლის, რომ სამუშაოსათვის (თანამდებობისათვის) მუშაკის არასაკმარისი კვალიფიკაციის მოტივით სამუშაოდან დათხოვნა უნდა ხდებოდეს შემფასებელ—საკონფლიქტო კომისიის თანხმობით, ხოლო შტატების შემცირებით მუშაკის დათხოვნის შემთხვევაში შრომის და სასამართლო ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ დაწესებულება-ორგანიზაციების ინტერესებით და ა. შ. (გვ. 14).

აქ მკითხველს გვინდა შევასხენოთ, რომ „შემფასებელ — საკონფლიქტო კომისიები“ და „შრომის ორგანოები“ დიდი ხანია აღარ არსებობენ. პირველი გაუქმდა 1957 წელს, ხოლო მეორე ბევრად უფრო ადრე.

საკმაოდ მოძველებულ დებულებას ემყარება ვ. ლომსაძე, როდესაც განმარტავს, რომ ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების გაუქმების შედეგად წარმოშობილ შრომითი დავის საქმეს განიხილავს შრომითი დავის კომისია. ეს წესი აღარ მოქმედებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის შემდეგ ე. ი. 1971 წლის 1 იანვრიდან. ამჟამად მოქმედი წესების შესაბამისად ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნილი მუშაკის დავა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე განიხილება უშუალოდ სახალხო სასამართლოებში, შრომითი დავის კომისიისათვის და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებისათვის მიუმართავად (საფუძვლების 89-ე მუხლის მეორე ნაწილის პუნქტი I. აგრეთვე საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 203 მუხლის მეორე ნაწილის I პუნქტი).

სახალხო სასამართლოები, შრომის დავის კომისიისა და პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტში წინასწარი განხილვის შემდეგ განიხილავენ დავებს სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანილი, აგრეთვე პირადი განცხადებით სამუშაოდან დათხოვნილი მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე აღდგენის თაობაზე. ამის შესახებ დაწვრილებით არის განმარტებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის დადგენილების პირველ პუნქტში.

ვ. ლომსაძის წიგნში კიდევ სხვა მრავალი უხეში შეცდომაა. ავტორი ხშირად გაუქმებული კანონმდებლობით და შრომის კანონთა ძველი კოდექსით სარგებლობს. მაგალითად, იგი მკითხველს ასწავლის, რომ შევებულებაში ყოფნის დროს მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა არ შეიძლება, გარდა ზოგიერთი განსაკუთრებული შემთხვევისა... თუ საწარმოს ხასიათის გამო ერთ სვეზე მეტი ვადით შეჩერდა დაწესებულებაში ან საწარმოში მუშაობა (გვ. 22). ავტორს ახალი კანონმდებლობით არ უჩნდებოდა, თორემ ადვილად დაინახავდა, რომ მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს სამუშაოდან მუშაკის დათხოვნის შესაძლებლობას სამუშაოს ერთ თვეზე მეტი ხნით შეჩერების გამო (ძველი კოდექსის 47-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

საერთოდ ვ. ლომსაძეს ძველი და ახალი კანონმდებლობა ისე აქვს ერთმანეთში არაეულ-დარეული თავის წიგნში, რომ თავს უფლებას ვაძლევთ მკითხველებს ვუჩინოთ ნუ იხელმძღვანელებენ ვ. ლომსაძის წიგნით „კონსულტაციები შრომისა და საფინანსო კანონმდებლობის შესახებ“ (ყოველ შემთხვევაში შრომის კანონმდებლობის გამოყენების ნაწილში) და გაკვირვება გამოვთქვათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სამინისტროს მოქმედებათა გამო, რომლებმაც გამოსცეს ეს წიგნი.

ქალის პროფიტი უზუნაბი სსრ კავშირში

თ. ცაგარია

ქალთა მონაწილეობა აღმშენებლობითს შრომაში საზოგადოების განვითარების კანონზომიერი პროცესია და განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისათვის.

დღითიდღე იზრდება ქალის შრომის გამოყენება მთელ მსოფლიოში. დასავლეთ ევროპის და ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოებში ქალები მუშახელის 30—40 პროცენტს შეადგენენ, 40 პროცენტზე მეტია სოციალისტურ ქვეყნებში, ხოლო საბჭოთა კავშირში მათი რიცხვი 51 პროცენტს უდრის¹.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 1975 წელი გამოცხადებულია ქალის საერთაშორისო წელიწადად და მთელ პლანეტაზე ტარდება როგორც ქალის ეკონომიური, სოციალური მდგომარეობის და განათლების გაუმჯობესების წელი.

ბუნებრივია, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ქალი სავსებით კაცის თანასწორუფლებიანია და დიდ წარმატებებს აღწევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს წელი ქალისადმი განსაკუთრებული მზრუნველობით აღინიშნება.

ვ. ი. ლენინი მუდმივად ზრუნავდა ისეთი კანონების მიღებაზე, რომლებიც აღიარებდნენ ქალის თანასწორუფლებიანობას, ხელს შეუწყობდნენ მის განთავისუფლებას „შინაური მონობისაგან“ და საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმას.

ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებები აისახა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველსავე წლებში გამოცემულ აქტებში, რომლებმაც გააუქმეს წინათ არსებული შეზღუდვები და ქალი უფლებრივად გაუთანაბრეს მამაკაცს.

ამასთან დაკავშირებით 1920 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „ამბობენ, კულტურის დონე ყველაზე უფრო მეტად ქალის იურიდიული მდგომარეობით ხასიათდებაო. ამ გამოთქმაში არის ღრმა ჭეშმარიტების მარცვალი და ამ თვალსაზრისით მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას, მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს შეეძლო განეხორციელებინა და განახორციელო უმადლესი კულტურული დონე“².

ამრიგად, უკვე 1920 წელს ქალის იურიდიული მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ისე მაღალ დონეზე იყო ასული, რომ ვ. ი. ლენინს საფუძველი ჰქონდა ეთქვა, რომ ჩვენთან უკვე უმადლესი კულტურული დონეა მიღწეული.

მით უმეტეს შეიძლება ამისი თქმა დღეს, როდესაც საბჭოთა ქვეყანაში ქალის, როგორც იურიდიული, ისე ფაქტიური თანასწორუფლებიანობა უზრუნ-

¹ Е. Коршунова. Охрана прав женщины в СССР. «Социалистическая законность», 1974; № 11, стр. 37.

² ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 30, გვ. 492.

ველყოფილია მთელი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებით, ეკონომიური, პოლიტიკური და სამართლებრივი გარანტიებით.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის კონონმდებლობის დასაყრდენია, მოქალაქის ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შორის პირველი ადგილი დათმობილი აქვს შრომის უფლებას და ხაზი აქვს გასმული, რომ შრომა ყოველი შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა.

შრომა არის საბჭოთა მოქალაქის მატერიალური კეთილდღეობის ერთადერთი წყარო. ამავე დროს იგი მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმი და სოციალური ღირებულების საზომია. „შრომა არის წყარო ყოველი სიმდიდრისა... ის მართლაც ასეთია ბუნებასთან ერთად, რომელიც მას მასალას აწვდის, ხოლო შრომა ამ მასალას სიმდიდრედ აქცევს. მაგრამ ის კიდევ უფრო უსაზღვროდ მეტია, ვიდრე სიმდიდრის წყარო. შრომა იდამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითადი პირობაა“, აღნიშნავდა ფ. ენგელსა³

განსხვავებით კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, სადაც ქალის შრომის გამოყენება, როგორც წესი, ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაოზე ხდება და ამავე დროს ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის ქალი უფრო მცირე საზღაურს იღებს, ვიდრე მამაკაცი, საბჭოთა კავშირში ქალი ისეთ სამუშაოს ასრულებს, რომელიც ნაკლებ ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვს მისგან და გონებრივ შრომასთან არის დაკავშირებული.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების და პროფესიების მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ქალთა შრომის განაწილება შემდეგ სურათს იძლევა. ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურის და სოციალური უზრუნველყოფის დარგში ქალები მუშაობენ საერთო რიცხვის 85 პროცენტს შეადგენენ, განათლების და კულტურის დარგში — 73 პროცენტს, მრეწველობაში — 49 პროცენტს, მეცნიერების და სამეცნიერო მომსახურების დარგში — 48 პროცენტს, ხოლო მშენებლობაში — 29 პროცენტია⁴.

საბჭოთა კავშირში 4 ათასი ქალი მეცნიერებათა დოქტორია, 80 ათასზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატია, 2,2 ათასი ქალი აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და პროფესორია⁵.

თანდათან ფართოვდება ქალთა შრომის გამოყენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაშიც. ასე, მაგალითად, თუ 1922 წელს ჩვენს რესპუბლიკაში მომუშავე ქალების რიცხვი 16 ათასს შეადგენდა და მუშაობდა საერთო რაოდენობის მხოლოდ 19 პროცენტი იყო, 1971 წლისათვის ეს რიცხვი 672 ათასამდე გაიზარდა და მუშების და მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 43 პროცენტს მიაღწია⁶. ხოლო ამჟამად დასაქმებულ ქალთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო გადიდება და 45 პროცენტს სჭარბობს⁷.

ქალის მიერ საზოგადოებრივი შრომის შეთავსება დედის სოციალური ფუნქციის განხორციელებასთან მეტად რთული ამოცანაა საერთოდ. როგორც სტა-

³ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 84.

⁴ Е. Коршунова, შით ნაშრომი, გვ. 38—39.

⁵ გაზ. „კომუნისტი“, 1975, № 57

⁶ პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობას აღწარმოების საკითხები, „მეცნიერება“, 1973, გვ. 208

⁷ გაზ. „კომუნისტი“, 1975, № 57



ტისტიკური მონაცემებიდან ჩანს, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, უკანასკნელი წლების მანძილზე აღინიშნება ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ქალთა სიკვდილიანობის გადიდება, რასაც მეცნიერები, მთელ რიგ სხვა მიზეზებთან ერთად ხსნიან ისეთი ნერვული გადატვირთვით (სტრესით), რაც გამოწვეულია იმით, რომ ქალს უხდება წარმოებაში მუშაობის შეთავსება საოჯახო საქმიანობასთან და თანაც ეს ფასების სწრაფი ზრდის პირობებში ხდება⁸.

ეს მტკიცებელი საკითხი წარმატებით არის გადაწყვეტილი ჩვენს ქვეყანაში. ამაში უდიდესი როლი საბჭოთა შრომის კანონმდებლობას ეკუთვნის, რომელიც ისეა ჩამოყალიბებული, რომ ქალს აძლევს საშუალებას ჩანმრთელობისთვის უვნებლად შეათავსოს აღმშენებლობითი შრომა დედობასა და ოჯახზე ზრუნვასთან. გარდა იმ საერთო გარანტიებისა, რომლებიც ვრცელდება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე განურჩევლად სქესისა, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი შეიცავს მთელ რიგ ისეთ სპეციალურ ნორმებს, რომლებიც ანიჭებენ ქალს დამატებით შედგაათებს მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით და დედობის ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ახე, მაგალითად, სამუშაოდ მიღებისას ქალისათვის უარის თქმა იმ მოტივით, რომ იგი ორსულად არის ან ძუძუმწოვარა ბავშვი ჰყავს, სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება გამასწორებელ სამუშაოებით ერთ წლამდე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნით.

ამით ის არის ნათქვამი, რომ საბჭოთა ქვეყანაში არავის არა აქვს უფლება შეზღუდოს ქალის შრომა იმ საბაბით, რომ იგი დედა ხდება და ამით ჩაუხშოს სურვილი იყოლიოს და აღზარდოს ბავშვი.

ამავე მიზანს ემსახურება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის ის ნორმა, რომელიც მიუთითებს, რომ ადმინისტრაციას არა აქვს უფლება სამუშაოდან დაითხოვოს ორსული ქალი, მეძუძური დედა და ის ქალი, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც დაწესებულებების (საწარმოს, ორგანიზაციის) სრული ლიკვიდაცია ხდება. აღსანიშნავია, რომ ამ მეტად იშვიათ შემთხვევაშიც კანონი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს და ადგენს, რომ დაწესებულების ლიკვიდაციის გამო სამუშაოდან დათხოვნილი ზემოდასახელებული ქალები მოწყობილი უნდა იქნენ სხვა ადგილას.

მაგრამ ქალის თანასწორუფლებიანობა არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია თავისი ორგანიზმისათვის უვნებლად შეასრულოს ყველა ის სამუშაო, რომელსაც ფიზიკურად უფრო ძლიერი კაცი ასრულებს. ასეთი გადაწყვეტა საკითხის გამარტივება იქნებოდა და დიდ ზიანს მოუტანდა ქალის ჩანმრთელობას.

საბჭოთა სახელმწიფო იცავს ქალს ასეთი საფრთხისაგან. ქალისათვის შედეგათის მინიჭება ხშირად აკრძალვის ხასიათს ატარებს და თითქოს ქმნის კიდევაც შთაბეჭდილებას მისი თანასწორუფლებიანობის ერთგვარი შეზღუდვის შესახებ.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა შრომის კანონმდებლობა ფართო შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს თვითონ აირჩიოს თავისი საქმიანობა და პროფესია. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 156-ე მუხლი პირდაპირ კრძალავს ქალის შრომის გამოყენებას მძიმე და ჩანმრთელო-

19799

⁸ ვაზ. „კომუნისტი“, 1975, № 40

ქ. მარტისის ხან. საქ. სსრ
სახელმწიფო რეზერვუმი
საქართველოს

ბისათვის მანვე პირობებიან სამუშაოზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალი თვითონ გამოთქვამს სურვილს შესრულოს ეს სამუშაო, მტკიცედ განსაზღვრავს ქალის მიერ სიმძიმეთა გადატანას და სხვ.

რა თქმა უნდა, ასეთი აკრძალვა, როგორც ამაზე მართებულად არის მითითებული ლიტერატურაში, არამც თუ არ ეწინააღმდეგება ქალის თანასწორუფლებიანობას, არამედ ჩვენი კანონის ჰუმანურობაზე და იმ ზრუნვაზე მეტყველებს, რომელსაც სახელმწიფო იჩენს ქალის და მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის.

ქალი ჩვენს ქვეყანაში გარემოსილია მთელი ხალხის პატივისცემით და მზრუნველობით. მას არ უხდება ბრძოლა თანასწორუფლებიანობის და შრომის საღი პირობების მოსაპოვებლად. საბჭოთა სახელმწიფო თვითონ იცავს ქალის უფლებებს და ახალისებს მას.

განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენს კანონი არასრულწლოვანი ქალის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამ შემთხვევაში ქალის შრომა ორმაგად არის დაცული, როგორც ქალისა საერთოდ და როგორც ახალგაზრდისა, რომლის ორგანიზმი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია.

ის სპეციალური ნორმები, რომლებიც ქალის ჯანმრთელობას იცავენ და ჯანსაღი, ახალი თაობის აღზრდას უზრუნველყოფენ, მოთავსებულია საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის XII თავში.

საბჭოთა კანონმდებლობით ქალის შრომის ორგანიზაცია თუმცა სათანადო დონეზეა გადაწყვეტილი, საჭიროდ ვთვლით წამოვაყენოთ ზოგიერთი წინადადება ქალის შრომის სამართლებრივი გარანტიების შემდგომი გაძლიერების მიზნით.

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 71-ე მუხლი და მის შესაბამისად საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლი ითვალისწინებენ, რომ ქალს ორსულობის და მშობიარობის გამო ეძლევა შვებულება, რომლის ხანგრძლივობა 112 დღეს შეადგენს. ხოლო, პათოლოგიური მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ ქალს შვებულება ეძლევა 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით. ამრიგად ჩვენს ქვეყანაში ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების ხანგრძლივობამ შეიძლება 126 დღეს მიაღწიოს.

გვფიქრობთ, რომ აღნიშნული შვებულების ხანგრძლივობა საკმარისი არ არის და გადიდებული უნდა იქნეს. ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს ეკონომიურ შესაძლებლობათა განუხრელი ზრდის პირობებში, ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულება ქალს უნდა ეძლეოდეს მის მიერ დედობის ფუნქციის აქტიურად განხორციელების მთელ პერიოდში, ე. ი. სანამ ბავშვი ერთი წლისა გახდება, ხოლო დამატებითი უხელფასო შვებულება ვიდრე ბავშვი სამი წლის ასაკს მიაღწევდეს.

საკითხის ასეთი გადაწყვეტის შემთხვევაში ზედმეტი გახდება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 163-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რომ მექოპტურ დედებს და იმ ქალებს, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, მათი კვებისათვის უნდა ეძლეოდეთ დამატებითი შესვენება სულ ცოტა ყოველ სამ საათში ერთხელ და თვითუფლები ეს შესვენება უნდა იყოს არანაკლებ ნახევარი საათისა.

საკუთრადღებოა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კანონით

ნონმდებლობის მიხედვით ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულება 26 კვირას შეადგენს, ხოლო არანორმალური მშობიარობის და ორი ბავშვის შობის შემთხვევაში ეს შვებულება 35 კვირამდე გრძელდება, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, თუ ამის პირობები არსებობს, შეიძლება 180 დღემდე გაგრძელდეს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში — 168 დღემდე და სხვ⁹.

2. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა ბევრ შედავათს ანიჭებს იმ ქალებს, რომელთაც ახალშობილი ბავშვი უშუალოდ სამშობიარო სახლიდან იშვილეს. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 162-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ იმ ქალს, რომელმაც ბავშვი უშუალოდ სამშობიარო სახლიდან იშვილა, უნდა მიეცეს შვებულება ბავშვის აყვანის დღიდან, ვიდრე მისი დაბადებიდან 56 დღე გავიდოდეს. გარდა ამისა, ამ ქალს თავისი სურვილის მიხედვით დამატებით ეძლევა უხელფასო შვებულება, ვიდრე ბავშვს ერთი წელი შეუსრულდებოდეს.

ამრიგად კანონი განსაკუთრებულ პირობებში აყენებს ქალებს, რომელთაც ახალშობილი ბავშვი უშუალოდ სამშობიარო სახლიდან იშვილეს და ანიჭებს მათ თითქმის ისეთსავე უფლებებს, რაც ღვიძლ დედას გააჩნია.

ჩვენი აზრით, ამ ნორმის მოქმედების არე საჭიროა გაფართოვდეს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ სამშობიარო სახლიდან ნაშვილები ბავშვებით.

მაგალითად, გაუგებარია, რატომ არ უნდა სარგებლობდეს ამავე შეღავათებით ის ქალი, რომელმაც ახალშობილი ბავშვი იშვილა არა სამშობიარო სახლიდან, არამედ უპატრონოდ მიტოვებული ნახა თავის კარებთან, სადგურზე, გამოიყვანა საბავშვო სახლიდან და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მთავარი ის კი არ არის, რომელ დაწესებულებიდან გამოიყვანა ქალმა ბავშვი, არამედ ის, რამდენი ხნისაა ეს ბავშვი. თუ სათანადო წესით დადასტურდა, რომ ნაშვილებია ახალშობილი, რომელსაც, ბუნებრივია, ისეთივე კვება და მზრუნველი ხელი ესაჭიროება, როგორც სამშობიარო სახლიდან გამოიყვანილ ბავშვს, მაშინ ქალი, რომელმაც ასეთი ბავშვი იშვილა, ჩვენი აზრით, უნდა გაუთანაბრდეს ყველა უფლებით იმ ქალს, ვინც ახალშობილი უშუალოდ სამშობიარო სახლიდან გამოიყვანა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ გარკვეული უპირატესობა, რომელიც გააჩნია საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 162-ე მუხლს შედარებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამის მუხლებთან და მათ შორის რსფსრ-ის შრომის კანონთა კოდექსის 168-ე მუხლთან.

ჩვენი კოდექსის აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს, რომ „ქალები, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს, სარგებლობენ იმ შეღავათებითა და უპირატესობით, რაც კანონით დადგენილია მეძუძური დედებისა და იმ ქალებისათვის, რომლებსაც ჰყავთ შვილები რვა წლის ასაკამდე“ (ზეგანაკვეთურ სამუშაოში ჩაბმის აკრძალვა და სხვ.).

როგორც ვხედავთ, ეს ნორმა არ გამოჰყოფს იმ ქალებს, რომელთაც ბავშვი უშუალოდ სამშობიარო სახლიდან იშვილეს და ერთნაირად ანიჭებს შეღავათებს ყველა ქალს, რომელმაც ახალშობილი იშვილა. ასეთი ნორმა რსფსრ-ის შრომის კანონთა კოდექსის 168-ე მუხლით გათვალისწინებული არ არის.

⁹ В. Толхунова. Охрана труда женщин в Европейски, социалистических странах, «Советское государство и право», 1974, № 3, стр. 100.

ვფიქრობთ, ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი ყველა იმ ქალისათვის შეგულების მიცემის შესახებ, რომელმაც იშვილა ახალშობილი, მიუხედავად იმისა, თუ საიდან გამოიყვანა მან ბავშვი.

3. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვისა აქვს სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირებისას და არ მიუთითებს, რომ თანაბარი შრომის ნაყოფიერების და კვალიფიკაციის პირობებში სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება უნდა ჰქონდეს იმ მარტოხელა დედას, რომელსაც არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო შვილი ჰყავს. აგრეთვე იმ ქალს, რომლის ქმარი გაწვეულია სამხედრო სამსახურში.

ასეთი ნორმა გათვალისწინებულია მაგალითად, ბელორუსიის სსრ შრომის კანონთა კოდექსში¹⁰ და, ჩვენი აზრით, შეტანილი უნდა იქნეს ჩვენს კოდექსშიაც.

4. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 156-ე მუხლით აკრძალულია ქალის შრომის გამოყენება მძიმე და მავნე პირობებიან სამუშაოზე. ასეთ სამუშაოთა სია დამტკიცებულია სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1932 წლის დადგენილებით¹¹. ტექნიკის განვითარებასთან და შრომის მექანიზაციასთან დაკავშირებით ამ სიაში მთელი რიგი ცვლილებებია შეტანილი, რაც ართულებს მის გამოყენებას. აღნიშნული სია, როგორც ეს არაერთხელ მითითებული იყო ლიტერატურაში, უკვე დიდი ხანია მოძველდა და ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნათა დონეს. საჭიროა მისი გადასინჯვა და ახალი სიის დამტკიცება, რომლის გამოყენება დაკავშირებული არ იქნება ამ ხიძნელებთან.

იგივე მდგომარეობაა შექმნილი სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1932 წელს დამტკიცებულ იმ ზღრული ნორმების გამოყენების დარგში, რომლებიც ქალის მიერ სიმძიმეთა გადატანას და გადაადგილებას ეხება¹². ეს ნორმებიც უკვე მოძველდა და უნდა გადაიხინჯოს.

5. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 69-ე მუხლით და მის შესაბამისად საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 157-ე მუხლით დადგენილია, რომ ქსლები, რომელთაც ერთიდან რვა წლის ასაკამდე ბავშვები ჰყავთ, არ შეიძლება გაიგზავნონ მივლენებაში ან ჩაბმულ იქნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოში მათი თანხმობის გარეშე.

ვფიქრობთ, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული ბავშვის ზღრული ასაკი — რვა წელი დაბალია, ჯანსაღი ახალი თაობის აღზრდის და ქალის მიერ დედის მოვალეობის უკეთ განხორციელების მიზნით, უნდა აიკრძალოს დედის თანხმობის გარეშე მისი მივლინებაში გაგზავნა ან ზეგანაკვეთურ სამუშაოში ჩაბმა, თუ მას სახლში რჩება არასრულწლოვანი შვილი, რომელიც ახსუთმეტი წლისა ჯერ არ გამხდარა.

შრომის კანონმდებლობაში აღნიშნულ ცვლილებათა შეტანის გარდა, საჭიროდ მიგვაჩნია სხვა ისეთ ღონისძიებათა განხორციელება (მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება და სხვ.), რომლებიც განტვირთავს ქალს, ხელს შეუწყობს მის ნაყოფიერ შრომას და ამავე დროს მისცემს მას საშუალებას არ მოაკლოს დედობრივი ზრუნვა შვილებსა და ოჯახს.

¹⁰ იხ. Советское законодательство о труде, Профиздат, 1974, стр. 86.

¹¹ იხ. იქვე, გვ. 477.

¹² იხ. იქვე, გვ. 480.

თვითნებურად აშენებული სახსოვრებელი სახლების შესახებ

8. მარტის 1974 წლის,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე

საცხოვრებელი სახლების თვითნებური მშენებლობა ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა ჩვენს რესპუბლიკაში¹.

დარღვევებმა ისეთ სიმწვავეს მიაღწია, რომ მათთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 12 აპრილს გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

ბრძანებულებით დადგენილია, რომ თვითნებურად აშენებული სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით უნდა დაანგრიოს პირმა, რომელმაც თვითნებურად ააშენა იგი, ან უნდა დაინგრეს მის ხარჯზე, ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ ჩამოერთვას მფლობელს და ჩაირიცხოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში. „ამასთან, გამოსახლებულ იქნებიან თვითნებურად აშენებული მოქალაქე და მასთან ერთად მცხოვრები პირები“².

სწორედ ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვებით გამოიხატება ის ძირითადი ცვლილება, რაც შეიტანა ბრძანებულებამ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში.

ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ 107-ე მუხლის წესები გამოყენებული იქნება მისი ძალაში შესვლის შემდეგ თვითნებურად აშენებული სახლების (აგარაკების) მიმართ. ხოლო „ბრძანებულების ძალაში შესვლამდე თვითნებურად აშენებული სახლების (აგარაკების) მიმართ, — როგორც ნათქვამია ბრძანებულებაში. — გამოყენებული იქნება ის წესები, რომლებიც ადრე მოქმედებდა“, ე. ი. 107-ე მუხლის ძველი რედაქციით გათვალისწინებული წესები.

წინამდებარე სტატიაში განხილულ იქნება იმ სახლების საკითხი, რომლებიც თვითნებურად იყო აშენებული ბრძანებულების ძალაში შესვლამდე.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის ძველი რედაქციით გათვალისწინებული წესებით, შეიძლება თვითნებურად აშენებული სახლის დანგრევა ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უსასყიდლოდ ჩამორთმევა და ადგილობრივი საბჭოს ფონდში ჩაირიცხვა. მაგრამ ამ შემ-

¹ სახლის (აგარაკის) თვითნებური მშენებლობის გავება მოცემულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც თვითნებურ მშენებლობად ჩაითვლება სათანადო ნებართვის ან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტის ვარუშე, ანდა პროექტისაგან არსებით გადახვევით, ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით სახლის (აგარაკის) მშენებლობა მოქალაქის მიერ.

² საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1974 წ. № 4, მუხ. 70.

თხვევაში სახლის ამშენებელს არ ემუქრებოდა გამოსახლება. 107-ე მუხლის ძველი რედაქციის მესამე ნაწილის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია „ჩამოართვას მესაკუთრეს და მასთან ერთად მცხოვრებ პირებს საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება ჩამორთმეულ სახლში, ოღონდ იმ პირობით, თუ მათ არა აქვთ მუდმივ საცხოვრებლად სხვა ვარგისი ბინა, მიეცემათ არსებული ნორმებით საცხოვრებელი ფართობი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლში“³.

გამოსახლება სახლის თვითნებურ მშენებელს არც მისი საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვისას ემუქრება. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221ე მუხლით გათვალისწინებულია სახლის თვითნებური მშენებლის დასჯა თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, უკანონოდ აგებული შენობის კონფისკაციით.

ამ შემთხვევაშიც თვითნებური მშენებელი განაგრძობს ცხოვრებას კონფისკებულ სახლში, რადგან მისი გამოსახლება გათვალისწინებული არ არის.

ამრიგად, იმისდა მიუხედავად, თუ რა წესით იქნება განხილული თვითნებური მშენებლის საქმე — სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის წესით, სახლი რჩება მის სარგებლობაში. ცხადია, რომ ამ ვარემოებამ გარკვეული როლი შეასრულა თვითნებური მშენებლობის გავრცელებაში. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ადგილობრივი ორგანოები, მცირე გამოჩაყლისის გარდა, დროულად არ ღებულობდნენ 107-ე მუხლით გათვალისწინებულ ზომებს სახლების თვითნებურად მშენებლობის აღსაკვეთად, ვასაგებია, რომ ყოველივე ამის შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი სახლების რაოდენობამ რამდენიმე ათეულ ათასს მიაღწია.

როგორ უნდა გადაწყდეს მათი ბედი? თუ დანგრევაზე მიდგა საქმე, სად წავიდეს ამ სახლებში წლების განმავლობაში მცხოვრები ხალხი?

თვითნებურად აშენებული სახლების მასობრივი დანგრევა ამჟამად პრაქტიკულად განუხორციელებლად არის მიჩნეული.

კანონით გათვალისწინებული მეორე საშუალება — ამ სახლების სასამართლოს წესით ჩამორთმევა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ფონდში ჩარიცხვა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ისეთი სახლების მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მშენებლობის მოთხოვნილებებს. მაგრამ თვითნებურად აგებული სახლების დიდი უმრავლესობა მინიმალურადაც არ უახლოვდება სახელმწიფო საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლებისათვის საჭირო პირობებს, და ადგილობრივი საბჭოების ფონდში მათი გადაცემა ყოვ-

3 ამ მუხლის მესამე ნაწილი, ჩვენი აზრით, გამართულად არ არის ჩამოყალიბებული, რადგან სახლის თვითნებურად მშენებელი გამოყვანილია ამ სახლის მესაკუთრედ. ეს სამართლებრივად სწორი არ არის. თვით ის ვარემოება, რომ სახლი აგებულა უნებართვოდ, დადგენილი წესის უხეში დარღვევით, გამორიცხავს რომ თვითნებურად აგებული სახლის ამშენებელი ჩაითვალოს მესაკუთრედ. ამასვე მეტყველებს ამავე მუხლის პირველი ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ ასეთ მოქალაქეს უფლება არ აქვს განკარგოს ეს სახლი — გაყიდოს, განაწიროს იგი და სხვ. მაშასადამე, ასეთი პირი ამ სახლის მესაკუთრე არ არის.



ლად გაუმართლებელია. მათი ზოგჯერ-პატრონობა მიძიმე ტვირთად დააწვება მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს.

ამიტომ გამოითქვა აზრი, რომ თვითნებურად აგებული სახლები, რომელთა დანგრევა ან ჩამორთმევა არ არის ცნობილი მიზანშეწონილად, დაუქანონდეს მათს მფლობელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით. ამასთან დაკავშირებით იხსენებენ „საქართველოს ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევასთან და თვითნებურ საბინაო მშენებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილებას, და კერძოდ მის მე-10 პუნქტს. ამ პუნქტით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმასკომებს ნება დაერთოთ ჯეროვანი წესის შესაბამისად გააფორმონ მიწის ნაკვეთების გამოყოფა იმ თვითნებური მენაშენებლისათვის, რომლებმაც ამ დადგენილების გამოცემამდე ააშენეს კაპიტალური ნაგებობები, თუ ისინი აკმაყოფილებს ქალაქის განაშენიანების მოთხოვნილებებს.

ზოგიერთი პირი იხსენებს რა ამ პუნქტს, გვთავაზობს, რათა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ახლაც მიიღოს იმავე შინაარსის შემცველი დადგენილება.

ეს წინადადება მიუღებელია, და აი **ჩატომ**. როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ზემოთაღნიშნულ დადგენილებას იღებდა, იმ დროს არ არსებობდა თვითნებური მშენებლობის აკრძალვა რომელიმე საკანონმდებლო აქტით, და ამდენად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შეზღუდული არ იყო ეს საკითხი იმგვარად გადაწყვიტა, როგორც ეს მის 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილების მე-10 პუნქტშია ჩამოყალიბებული⁴.

მაგრამ 1961 წლის 1 მარტიდან სამოქმედოდ შემოღებული სიხხლის სამართლის კოდექსით, თვითნებური მშენებლობა, აგრეთვე თვითნებური მიშენება მიჩნეულია დანაშაულად და მისი სანქცია მოითხოვს დამნაშავეს დასჯას და სახლის კონფისკაციას, ხოლო 1965 წლის 1 ივლისიდან ასევე სამოქმედოდ შემოღებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლი, რომელიც, როგორც აღნიშნული გვაქვს ითვალისწინებს ამ სახლების ჩამორთმევას ან დანგრევას.

ამასთანავე, „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულებით, სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლს მიეცა უკუქცევითი ძალა⁵. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის

⁴ არსებობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წ. 26 აგვისტოს № 3211 დადგენილება, რომლის 10-ე პუნქტის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებს მიეცემული ჰქონდათ უფლება თვითნებური მშენებლობის ან სამშენებლო-ტექნიკური წესების და ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევაში, დაევალებინათ აღმნავისათვის მშენებლობის შეწყვეტა და ერთი თვის ვადაში საკუთარი ძალებით და ხარჯზე აეღო მის მიერ აგებული ყველა ნაგებობა ან ნაგებობის ნაწილი და წესრიგში მოეყვანა მიწის ნაკვეთი.

გასაგებია, რომ ეს აქტი არ ჩაითვლებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხსენებულ დადგენილების მე-10 პუნქტის მიღების დამაბრკოლებელ გარემოებად.

⁵ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 16 მუხ. 340.

27 ივლისის № 395 დადგენილების მე-10 პუნქტმა ძალა დაკარგა, თუმცა მინისტრთა საბჭოს მიერ მაშინ იგი არ იყო ცნობილი ძალადაკარგულად.

ასეთ ვითარებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ჩვენი აზრით, არა აქვს უფლება აღადგინოს თავისი ხსენებული დადგენილების მე-10 პუნქტის შინაარსის შემცველი ნორმა, და მით უმეტეს „დააკანონოს“ საერთოდ ყველა თვითნებურად აშენებული სახლი.

არსებულ პირობებში, როცა მოქმედებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ დადგენილი თვითნებური მშენებლობის ამკრძალავი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმები, მინისტრთა საბჭოს არა აქვს სამართლებრივი საფუძველი, ამ ნორმების მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოდ დააკანონოს მოქმედება, რომელიც ამ ნორმებით უკანონოდ არის მიჩნეული.

* * *

ახლა წარმოვადგინოთ ის შესაძლებელი შემთხვევა, როცა, ვთქვათ, კომპეტენტურმა ორგანომ დაუშვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 აპრილის ბრძანებულების ძალაში შესვლამდე თვითნებურად აგებული სახლების დაკანონება, და ვნახოთ რას მოგვცემს საკითხის ასეთი გადაწყვეტა.

პირველ რიგში ალბათ საჭიროდ იქნება მიჩნეული, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის ხსენებული დადგენილების მე-10 პუნქტის შინაარსის მსგავსი ნორმის მიღება.

, როგორც ვნახეთ ამ პუნქტში ლაპარაკი იყო იმ თვითნებურად აგებულ საცხოვრებელი სახლების დადგენილი წესით გაფორმებაზე, რომლებიც კაპიტალური ნაგებობაა და აკმაყოფილებს ქალაქის განაშენიანების მოთხოვნილებებს.

ჯერ ერთი, თვითნებურად აგებული სახლების დიდი უმრავლესობა „ჩქაროსნული“ მეთოდებით იყო აგებული სწორედ იმიტომ, რომ ისინი უნებართვოდ შენდებოდა, და ცხადია, ეს სახლები დიდად განსხვავდებიან „კაპიტალურიობისაგან“ და არ აკმაყოფილებენ ქალაქის განაშენიანების მოთხოვნილებებს. ამიტომ, მათ უმეტეს ნაწილს, ასცდება დაკანონების შესაძლებლობა. ამრიგად, თვითნებურად აგებულ ე. წ. კაპიტალური სახლების დაკანონება არ გადაწყვეტს და არ მოხსნის ამ პრობლემას, ისევე როგორც ხსენებულმა მე-10 პუნქტმა არ გაამართლა თავისი დანიშნულება. პირიქით, მას შემდეგ უფრო იმატა თვითნებურმა მშენებლობამ.

გარდა ამისა, აბა დავუკვირდეთ, რა დგას გამოთქმა „კაპიტალური ნაგებობის“ მიღმა? მისი აგება ძალუქს მხოლოდ მნიშვნელოვანი სახსრების მქონე პირს. გამოდის, რომ ასეთ შეძლებულ მოქალაქეს საშუალება ეძლევა, ასე ვთქვათ, თავი გამოისყიდოს თვითნებური მშენებლობის მდგომარეობიდან იმის წყალობით, რომ მის განკარგულებაში არსებულმა საკმაო სახსრებმა საშუალება მისცა მას აეგო კაპიტალური სახლი. ხოლო სხვა თვითნებურმა მშენებელმა, რომელმაც ვერ შეძლო უსახსრობის გამო კაპიტალური, ქალაქის განაშენიანების მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელი სახლის აშენება, რჩება დამრღვევთა რიცხვში. და თუმცა ორივემ ერთი და იგივე კანონი დაარღვია, ერთი მათგანი თავს დააღწევს კანონის დარღვევის უარყოფით შედეგებს, მეორე კი არა. გამოდის, რომ პრივილეგიური მდგომარეობით ის ისარგებლებს, ვინც

უფრო შეძლებული აღმოჩნდა და ამიტომ კაპიტალური სახლი ააშენა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება სოციალისტურ მართლშეგნებას და მორალს.

ასევე მიუღებელია მოსაზრება, რომ ყველა თვითნებურად აშენებული სახლი დაუკანონდეს მათს მფლობელებს საკუთრების უფლებით, რათა ამით ეს პრობლემა, ასე ვთქვათ მოიხსნას დღის წესრიგიდან.

მიუღებელია ეს შემდეგის გამო: ასეთი სახლები, როგორც წესი, აშენებულია მიტაცებულ მიწის ნაკვეთებზე. ამრიგად, ხსენებული სახლების მფლობელებს დარღვეული აქვთ მიწის ნაციონალიზაციის კანონი და აგრეთვე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დადგენილი წესი. მათი უმრავლესობის მიმართ არ აღძრულა საქმეები არც სისხლის სამართლისა და არც სამოქალაქო სამართლის წესით.

ამრიგად, გამოვა, რომ კანონის ორგზის დამრღვევნი „პრემირებულნი“ იქნებიან — მიტაცებული მიწის ნაკვეთის მათ კანონიერ სარგებლობაში გადაცემით, და თვითნებურად აგებული სახლებისა — პირად საკუთრების უფლებით ვაფორმებით.

მეტცი: ეს პირები, მათ მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედობიდან მიიღებენ მატერიალურ გამორჩენის შესაძლებლობასაც. რაკი ეს სახლები მათს საკუთრებად იქცევა, ამით მათ უფლება მიეცემათ ამ სახლების გაყიდვისა, რაგინდ ქოზმახებიც არ იყოს ისინი. ჩვენს რესპუბლიკაში საკმაო მაგალითი მოიხაზება იმისა, რომ ასეთი სახლების ყიდვა-გაყიდვის ნიღბით ფაქტურად იყიდებოდა მიწის ნაკვეთები. ეს გარემოება შექმნის ხელსაყრელ პირობებს ახალი დანაშაულის ჩადენისათვის — შენობიერი ფორმით მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვისათვის.

ყოველივე ეს განუზომელ ზიანს მიაყენებს სოციალისტური კანონიერებისა და მოსახლეობის ფართო მასებში მართლშეგნების განმტკიცების საქმენ.

მაშ, რა არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან?

იგი მითითებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 სექტემბრის № 521 დადგენილებაში „საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის შესახებ“⁶.

ამ დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ და გადაწყვიტონ იმის მიზანშეწონილობა, თუ თვითნებურად აშენებული რომელი სახლის ჩამორთმევაზე უნდა აღძრას საქმე სასამართლოში, და რომელი უნდა დაინგრეს.

თუ მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული ამა თუ იმ სახლის ჩამორთმევა ან დანგრევა, ზემოთ მოხსენებულ გარემოებათა გამო, მის მფლობელს უნდა მიეცეს დროებითი საბინაო დავთარი, რათა ამ სახლში მცხოვრები პირები ჩაწერილი და აღრიცხულ იქნენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. როგორც დადგენილებაშია მითითებული, დროებით საბინაო დავთრების მიცემა არ ნიშნავს თვითნებურად აშენებული სახლების მფლობელებს პირადი საკუთრების უფლების ცნობას ამ სახლებზე. მათ უფლება არა აქვთ გაყიდონ ან გასხვისოს ისინი რაიმე ფორმით, გააქირონ, მიაშენონ, დააშენონ, გადააკეთონ. მაგრამ მათ შეუძლიათ იცხოვრონ ამ სახლებში, ვიდრე საჭირო არ გახდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოთხოვნილებისათვის იმ მიწის ნაკ-

⁶ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული 1974 წ. № 5 მუხ. 82.

ვეთის ჩამორთმევა, რომელზეც ეს სახლები დგას. მათი დანგრევისათვის მფლობელებს არ აუნაზღაურდებათ ნაგებობათა ღირებულება და სხვა დანახარჯები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა გააფრთხილონ ყოველივე ამის შესახებ სახლების თვითნებურად ამშენებლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 12 აპრილის ბრძანებულების ძალაში შესვლამდე თვითნებურად აშენებული სახლების სარგებლობის ის წესი, რომელიც ვათვალისწინებულობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 სექტემბრის № 521 დადგენილებით, ნაკარნახევაა ფაქტობრივად შექმნილი რთული მდგომარეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი გარდამავალი ხასიათისაა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი მზარდი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფა, მათ შორის იმ მიწებისაც, რომლებზეც მდებარეობს თვითნებურად აგებული სახლები, გამოიწვევს ამ სახლების აღებას და მათში მცხოვრებ მოსახლეობის დაბინავებას დადგენილი წესით. არც ის არის გამორიცხული, რომ ასეთი სახლის ზოგიერთი მფლობელი თვითონაც იზრუნებს გაიუმჯობესოს თავის საბინაო პირობები მართლზომიერი საშუალებებით — საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლით, სხვა დასახლებულ პუნქტში სამუშაოდ გადასვლით და სხვ.



ინდეკრიმინოლოგია და დეკრიმინოლოგის ზოგადი საკითხი გუჩუაშვილ სისხლის სამართალში

3. ნახევარი

ინდეტერმინიზმი პრინციპულად „ერთსახოვანია“ და იდეალიზმს ემყარება. ცნობილია იდეალისტური დეტერმინიზმიც. ამ სტატიის მიზანია დეტერმინიზმის ზოგიერთი ძველი და ახალი კონცეფციის კრიტიკული შედარება და შეფასება, რადგან საბჭოთა სისხლის სამართალში განხილული დეტერმინიზმის ანტიმეცნიერული თეორიები კვლავ მოითხოვენ კრიტიკულ გადასინჯვას.

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ზოგიერთი მკვლევარი სასჯელის მოტივაციური ზეგავლენის აღიარებით დეტერმინისტულ ზახს უახლოვდება, თუმცა დანაშაულებრივი ქმედობის მიმართ მათი პოზიცია ერთნაირი როდია. მაგალითად, გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტი ანსელმ ფოიერბახის ე. წ. ფსიქოლოგიური იძულების თეორია¹ და იტალიელი ბეკარიას იდეა სასჯელის გარდუვალობისა და უწყვეტობის შესახებ² სასჯელის დეტერმინისტული დასაბუთების სერიოზული ცდებია. მაგრამ დანაშაულებრივი ქმედობის ასპექტს ფოიერბახი მოქმედების თავისუფლებაზე მითითებით შემოფარგლავს, ხოლო ბეკარია ნებისყოფის თავისუფლების ინდეტერმინისტულ კონცეფციას იცავს.

მაგრამ იქ, სადაც დეტერმინიზმი დანაშაულთან მიმართებაში იყო განხილული, ზოგჯერ სისხლის სამართლის სავესებით უარყოფა ხდებოდა. მაგალითად, ფრანგი დეტერმინისტი ა. ამონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დეტერმინიზმის მიხედვით ადამიანი არის ავტომატი,³ რომელსაც არ შეუძლია არ ჩაიდინოს დანაშაული. ამიტომ ბრალი ან დამსახურება ადამიანისაგან არ გამომდინარეობს.⁴ მისი აზრით, უნდა გაქრეს სისხლის სამართალი⁵ და მისი ადგილი სოციალურმა თერაპიამ დაიკავოს⁶; რაკი დეტერმინიზმი ადამიანში აუცილებლობით გამორიცხავს არამატერიალურს.⁷

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ა. ამონის დეტერმინისტული კონცეფცია ფსიქოფიზიკურის პრობლემის ყალბი გააზრების შედეგია. თუ დეტერმინიზმი გამორიცხავს ფსიქიკურს და, მაშასადამე, არ მონაწილეობს დეტერმინაციის პროცესში, მაშინ ფსიქიკა მოწყვეტილი რჩება მატერიალურისაგან.

ფსიქოფიზიკურის ცნობილი პრობლემის ყალბი გაგების შედეგია აგრეთვე იტალიელი ენრიკო ფერის თეორია. ფერი კატეგორიულად უარყოფს თავისუფლებას, ქცევის წინასწარ განსაზღვრულობის მოტივით უარყოფს „სხვანაირად მოქმედების“ შესაძლებლობას,⁸ მაგრამ ავტორის აზრით, სასჯელის აუცილებ-

¹ Уголовное право, соч. доктора П. А. Фейербаха. С.-Петербург, 1810, параграфы 9 — 14.
² Бекария. Преступление и наказание, С.-Петербург, 1879, стр. 93.
³ А. Анома. Детерминизм и вменяемость, С.-Петербург, 1905, стр. 51.
⁴ ა. ამონის დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.
⁵ იქვე, გვ. 188.
⁶ იქვე, გვ. 226.
⁷ იქვე, გვ. 56.
⁸ Эчрико Ферри. Уголовная социология, Москва, 1908, стр. 292.

ლობას სულაც არ სჭირდება ბრალის მომენტი. სასჯელი აუცილებელია იმიტომ, რომ იგი სასარგებლოა და, მაშასადამე, სამართლიანიც.⁹ ეს პოზიტივისტური პრინციპი განასხვავებს ფერის ა. ამონისაგან, მაგრამ მათ შორის არის საერთოც. სახელდობრ, ფერი ამტკიცებს, რომ არ არსებობს ნებისყოფის თავისუფლება იმიტომ, რომ არ არსებობს თვითონ ნებისყოფა.¹⁰

მაშასადამე, ფსიქიკურის ადგილი აქაც უარყოფილია, მაგრამ რადგან ფსიქიკურის უარყოფა ლოგიკურად თავის დაპირისპირებულში გადადის, ავტორიკ საბოლოოდ ე. წ. ფსიქიკური მიზეზობრიობის იდეალისტურ ხაზს მიაღდა და აბსოლუტურ შემთხვევითობის აღიარებამდე მივიდა, რადგან მისი აზრით, ქცევის წინასწარი განსაზღვრულობა სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა სუბიექტში სულ სხვადასხვანაირია, რის გამოც ადამიანის მომავალი ქცევის გათვალისწინება ძნელია.¹¹

იმის გამო, რომ ფერი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს დეტერმინიზმის ვარეთ ეძებდა, ინდეტერმინიზმის პოსტულატს წააწყდა. ფსიქიკური მიზეზობრიობის იდეალისტური თეზისი კი გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტის ფრანც ლისტის დეტერმინისტული კონცეფციის საფუძველია.

ცნობილია, რომ ლისტი პრინციპულად დაუპირისპირდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის პოსტულატს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ.

თუ, მაგალითად, ბინდინგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ადამიანის თავისუფალ არსებაში ხედავდა¹² (ე. წ. „სხვანაირად მოქმედების“ უპირობო შესაძლებლობის ჰიპოთეზა) და სასჯელის მიზნად ბრალისათვის სამაგიეროს მიზნება მიაჩნდა, ფრანც ლისტი, პირიქით, უარყოფდა ნებისყოფის თავისუფლებას¹³, პრინციპულად არ ეთანხმებოდა სამაგიეროს მიზნების თეორიას,¹⁴ შერაცხადობისა და ბრალისათვის საკმარისად მიაჩნდა მოტივზე ნორმალური რეაგირების უნარი¹⁵; სასჯელის მიზანს საზოგადოების დაცვის იუცილებლობასა და დამნაშავეთა აღზრდაში ხედავდა¹⁶. ამასთან, თუ ინდეტერმინიზმი უძღური იყო დაფხაბუთებინა სასჯელის მოტივაციური ზეგავლენა, დეტერმინიზმისათვის არსებითი იყო სასჯელის ზოგადი პრევენცია.

ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის დაპირისპირების ლოგიკური შედეგია ეს არის, რომ სისხლის სამართალს ორი რადიკალურად განსხვავებული ფუნქცია აქვს დაკისრებული. ამის უარყოფა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეკლექტიკური თეორიების ხარჯზეა შესაძლებელი.

ინდეტერმინიზმი მთელ რიგ წინააღმდეგობას აწყდება სისხლის სამართალში. მთავარი კი ისაა, რომ იგი უძღურია ახსნას თვით დანაშაულის ბუნება. „სხვანაირად მოქმედების“ უპირობო შესაძლებლობიდან გამომდინარე, დანაშაული ადამიანის ბოროტ ნებისყოფას მიეწერება, რაც იწვევს ან ლ ი მ ბ რ ო

⁹ ენრიკო ფერის დასახელებული ნაშრომი, გვ. 326.

¹⁰ იქვე, გვ. 298.

¹¹ იხ. ენრიკო ფერის დასახელებული ნაშრომი, გვ. 307.

¹² Karl Binding. Die Normen und ihre übertretung, Zweite Band, Leipzig, 1914, S. 78.

¹³ Franz Von Liszt. Die Deterministischen Gegner der Zweckstrafe, «Strafrechtliche Aufsätze und Vorträge», Zweite Band, Berlin, 1905, s. 38.

¹⁴ იქვე, გვ. 48.

¹⁵ იქვე, გვ. 44.

¹⁶ იქვე, გვ. 50.

ზოს ბიოლოგიური დეტერმინიზმის ბანაკში გადაბარგებას, ან აბსოლუტური შემთხვევითობის დაშვებას, ე. ი. მთელი სისხლის სამართლის უარყოფას. მართალია, ბინდინგი თავის თავს არ თვლის ინდეტერმინიზმის მომხრედ, აცხადებს, რომ თავისუფლება უსაფუძვლობას, შემთხვევითობას კი არ უტოლდება, არამედ ხასიათითა და მოტივითაა განსაზღვრული, სადაც მოტივი თვით „ხასიათის პროდუქტიაო,¹⁷ მაგრამ ეს დათქმა არ ცვლის საქმის ვითარებას; საკმარისია აქ მოტივის თავისუფალი არჩევანი დაუშვათ, რომ უმაღლვე აბსოლუტური ინდეტერმინიზმი იქნეს მიღებული.

დეტერმინიზმის უპირატესობა სადავო როდი ხდება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამონისა და ფერის დეტერმინისტული კონცეფცია არსებითად ყალბია. საყურადღებოა აგრეთვე ლისტის დეტერმინიზმის ამოსავალი პრინციპებიც.

ლისტს აზროვნების კანონის დაურღვევლად ვერ წარმოუდგენია შედეგი უმიზეზოდ და მიზეზი უშედეგოდ. დანაშაული მოცემული პირობების აუცილებელი შედეგია და ამიტომ დამნაშავე მოკლებულია თავისუფლებას; რაც სისხლის სამართალში სხვა არაფერია, თუ არა დეტერმინიზმი, მაგრამ არა „მსოფლმხედველობრივი დეტერმინიზმი“, არამედ ისეთი, რომელიც „ჩვენი აზროვნებისათვის, მაშასადამე, მოვლენათა სამყაროსათვის, მიზეზობრიობის კანონის მნიშვნელობას გამონაკლისის გარეშე ამტკიცებს“.¹⁸ როგორც ჩანს, ეს კანტიანური პრინციპი ამოსავალია ლისტის თეორიაში. მიზეზობრიობა აქ ფსიქიკური ბუნებისაა. ლისტი ამტკიცებს, რომ „ყოველგვარი ადამიანური მოქმედება ფსიქიკურად (არამექანიკურად) კაუზირებულია, მაშასადამე, წარმოდგენითაა განსაზღვრული, დეტერმინირებულია, მოტივირებულია“.¹⁹ მაგრამ ფსიქიკური მიზეზობრიობა, ბოლოსდაბოლოს, უეჭველად მიგვიყვანს ინდეტერმინისტულ კონცეფციამდე, რადგან, როგორც ვნახეთ, ქცევის მოტივით განსაზღვრულობას არც ბინდინგი უარყოფს და, მაშასადამე, გამოდის, რომ ბინდინგისა და ლისტის თეორიები ემთხვევიან ერთმანეთს. ეტყობა, ეს კარგად შეამჩნია თვითონ ლისტმაც, რადგან იგი დაბეჯითებით ცდილობდა სისხლის სამართალი მოქმედ ეთიკურ-მსოფლმხედველობრივ პრინციპებთან დაეპირისპირებინა;²⁰ ამით თითქოს შესაძლებელი იყო თავისი თეორიის ორიგინალობის შენარჩუნება, მაგრამ ლისტის იდეალისტური მსოფლმხედველობა აქ ნათლად არის გამოვლენილი. მაშასადამე, მსოფლმხედველობისა და სისხლის სამართლის დაპირისპირება პრინციპულად შეუძლებელია.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იდეალიზმის სისტემაშიც ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის დაპირისპირებას მთელი სისხლის სამართლის პრინციპულად სხვადასხვაგვარი გააზრება მოჰყვა. და ეს მოხდა არა იმიტომ, რომ სისხლის სამართალი მსოფლმხედველობის საწინააღმდეგოა, როგორც ამას ლისტი ფიქრობდა, არამედ იმიტომ, რომ აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა თვით სისხლის სამართლის დეტერმინისტულმა ბუნებამ. იდეალისტური დეტერმინიზმი ფორმალურად დაუკავშირდა საქმის ამ ვითარებას და ინდეტერმინიზმთან შედარებით ლოგიკურად გამართული გამოვიდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სისხლის სამართალი იდეალისტური

¹⁷ იხ. კ. ბინდინგი, გვ. 16.

¹⁸ ფრანც ლისტი, გვ. 38.

¹⁹ Franz V. Liszt. Lehrbuch des Deutschen Strafrecht, Berlin und Leipzig, 1921, S. 23.

²⁰ Franz Von Liszt. Die Deterministischen Gegner der Zweckstrate, S. 55.

დეტერმინიზმის თავშესაფარი აღმოჩნდა, მაგრამ ლისტის იდეალისტური დეტერმინიზმი ვერ ხსნის თვით დანაშაულის ბუნებას, რის გამოც სასჯელის მოტივაციური ზეგავლენა, რომელიც საზოგადოდ მისაღები პრინციპია, ლისტის თეორიაში დანაშაულის პრობლემის ყალბად გადაჭრით არის განსაზღვრული.

მაგრამ სურათი სრული არ იქნება, თუ ერთ მომენტსაც არ გავითვალისწინებთ. სახელდობრ, გერმანელმა კრიმინალისტმა ადოლფ მერკელმა²¹ შექმნა ეკლექტიკური თეორია, რომელიც თავის თავში მოიცავდა ორ საპირისპირო პრინციპებს — ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის თეზა — ანტითეზას, რითაც სრული აბნეულობა შეიტანა პრობლემის ისტორიაში. გამოჩნდნენ კრიმინალისტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის დაპირისპირებას, უკდურეს შემთხვევაში, შეიძლება თეორიული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ არა — პრაქტიკული, რადგან ისინი საბოლოოდ ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდიან. საკითხის ასეთ დაყენებას ვერც გამოჩენილი რევოლუციამდელი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი გადაურჩა. ბრწყინვალედ მიმოიხილა რა მთელი პრობლემის ისტორია, ნ. ტაგანცევი მივიდა დასკვნამდე, რომ შერაცხადობის საკანონმდებლო ფორმულაში ნებისყოფის თავისუფლების მეტაფიზიკური კრიტერიუმის შემოტანა „თეორიულად მცდარია და პრაქტიკულად უსარგებლო“. მისი აზრით, არ არის სწორი თეორიულად იმიტომ, რომ ეწინააღმდეგება საკმაო მიზეზების კანონს; ხოლო პრაქტიკულ უსარგებლობას კი იმაში ხედავდა, რომ ადამიანთა თვითნებობის დაშვებით უქმდებაო სახელმწიფოს დასჯითი რაციონალური საქმიანობა. ამას გარდა დეტერმინიზმი, ნებისყოფის თავისუფლების უარყოფით, ადვილად შეიძლება გადავიდეს ადამიანთა მოქმედების მექანიკურ თეორიაში და დაუპირისპირდეს დასჯადობის რაციონალურ თეორიას.²² მაშასადამე, სისხლის სამართალს საქმე არ უნდა ჰქონდეს ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის დაპირისპირებასთან; მაგრამ საკითხის ასეთი დაყენება მაინც მესამე ხაზია, რაც ეკლექტიკური თეორიების აგების ლოგიკურ წანამძღვრად უნდა ჩაითვალოს. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ე. ნემიროვსკი პრობლემის ასეთ გადაჭრას ტაგანცევის პრიორიტეტს მიაწერდა და ანალოგიებს მხოლოდ შემდგომი დროის სისხლის სამართლის წარმომადგენელთა — ადოლფ მერკელისა და სხვათა თეორიებში პოულობდა.²³

ასეთია პრობლემის ზოგიერთი ისტორიული მომენტი, საიდანაც ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის ლოგიკური წინააღმდეგობის უგულვებელყოფა ეკლექტიკური თეორიის შექმნის ხარჯზეა შესაძლებელი, ხოლო დეტერმინიზმის აქამდე განხილული სახეები იდეალიზმში გადასული ვულგარულ-მატერიალისტური ან იდეალისტური მსოფლმხედველობაა სისხლის სამართალში.

როგორია დეტერმინიზმის თანამედროვე კონცეფცია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში? წინასწარვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში საკმაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, დეტერმინიზმის მიხედვით მოცემულ კონკრეტულ სუბიექტს მოცემულ კონკრე-

²¹ მერკელის თეორია კარგად არის ცნობილი და ამატომ მას აქ არ გავარჩევთ.

²² Н. Е. Таганцев. Русское уголовное право, Лекции, часть общая, т. I, С.-Петербург, 1902, стр. 409.

²³ Э. Немировский. Основные начала уголовного права, Одесса, 1917, стр. 216.

ტულ სიტუაციაში არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, ვიდრე იგი ფაქტიურად მოიქცა.

დეტერმინიზმის ეს უკანასკნელი ფორმულა არსებითად განსხვავდება დეტერმინიზმის აქამდე განხილული სახეებისაგან. სახელდობრ, თუ ამონისა და ფერის დეტერმინისტული კონცეფცია ქცევის წინასწარვე განსაზღვრულობის საბუთით უარყოფდა სხვანაირად მოქმედების შესაძლებლობას, ამ უკანასკნელ ფორმულაში დაშვებულია ისეთი პირობა, რომლის ხელაღებით ინგნორირება არ შეიძლება: განა მოცემულ კონკრეტულ სუბიექტს მოცემულ კონკრეტულ მომენტში შეუძლია ო რ ნ ა ი რ ა დ მოიქცეს? ცხადია, ასეთი შესაძლებლობის დაშვება სასწაულის დაშვება იქნებოდა. „სხვანაირად მოქმედების“ უპირობო შესაძლებლობის ინდეტერმინისტული თეზისი ამ სასწაულს უშვებდა, რაც დიალექტიკური დეტერმინიზმის პრინციპებთან შეუთავსებელია. მაგრამ დებულება, რომ „ყოველ კონკრეტულ სუბიექტს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, ვიდრე იგი ფაქტიურად მოიქცა“, თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში შინაარსისაგან დაცლილი ფორმულაა, რომელიც საზოგადოებისაგან მოწყვეტილ აბსტრაქტულ სუბიექტს მიეწერება. ამის გამო იგი მიუღებელია, მაგრამ ამავე დროს მისმა მთლიანად უარყოფამ შეიძლება ინდეტერმინისტული დასკვნები გამოიწვიოს. ამიტომ ეს ფორმულა დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე სულ სხვა შინაარსს იძენს და საძიებელ პრობლემას რეალურ ნადაგზე აყენებს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში დეტერმინისტული კონცეფციის მანკიერება მხოლოდ ფორმალიზმში რჩება.

რაკი ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში რადიკალური გადატრიალების პრეტენზიით ე. წ. „ფინალური თეორია“ გამოვიდა, შევვხებით ამ თეორიის მამამთავარ ჰანს ველცელის ძირითად თეზისს ნებისყოფის თავისუფლებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

ჰანს ველცელის აზრით „სხვანაირად მოქმედების“ ინდეტერმინისტული თეზისი უაზროა.²⁴ მაშასადამე, ავტორი თითქოს დეტერმინისტი უნდა იყოს. ამის შესამოწმებლად მივმართოთ ისევ ველცელის დებულებებს მოქმედების ფინალურობის შესახებ, რაც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ადამიანური მოქმედება მიზანდასახულია და ამიტომ ფინალური. მოქმედების ფინალურობა კი ნიშნავს ადამიანის უნარს მიზეზობრიობის ცოდნის საფუძველზე წინასწარვე გაითვალისწინოს თავისი მოქმედების შესაძლებელი შედეგები და მათი მოცულობა, დაისახოს მიზანი, რითაც ადამიანს საშუალება ეძლევა ამაღლდეს გარეგან მიზეზობრიობაზე და ფინალურ ზედეტერმინაციაში გადავიდეს. „კაუზალური პროცესის ფინალური ზედეტერმინაცია, — წერს ველცელი, — დამნაშავეს მიერ მიზეზობრივი დამოკიდებულების შესაბამის შემეცნებასა და რეალური ფაქტორების სწორ ამორჩევასა და დამოკიდებულებას“.²⁵ ფინალური ზედეტერმინაცია ავტორს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ უიმისოდ ვერ ატერხებს ადგილი მოუქმებნოს თავისუფლებას. „მხოლოდ მაშინ, — განაგრძობს ავტორი, როცა რეალურ ფაქტორებს და კაუზალურ ხთომილებას ფინალური ზედეტერმინაციის აზრობრივ საფეხურს დაუმორჩილებს, შეუძლია დამნაშა-

²⁴ Hans Welzel, Das Deutsche Strafrecht, Berlin, 1958, s. 128.

²⁵ ველცელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—29.

ვეს მათზე გაბატონდეს და წარმატებით მართოს ისინი“.²⁶ აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ რამდენადაც ნებისყოფის თავისუფლება არის „აზრობრივი თვითგანსაზღვრის უნარი“;²⁷ აღამიანი პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის, რადგან მას შეუძლია იმოქმედოს ნორმის შესაბამისად. სახელდობრ ამ შესაძლებლობაშია ბრალის სპეციფიკური ვაკიცხადობის ბუნება და ლოგიკური წანამძღვარი.²⁸

გადმოცემულ დებულებებში, ერთი შეხედვით, სადავო არაფერია. მაგრამ სინამდვილეში ავტორი მთელ რიგ წინააღმდეგობას აწყდება, თუ გავითვალისწინებთ ამ დებულებათა გამოყენების ხასიათს სისხლის სამართლის სფეროში. სახელდობრ, ავტორის აზრით, „თავისუფლება არის არა მდგომარეობა, არამედ აქტი“, რომელიც აზრობრივი თვითგანსაზღვრისათვის მიზეზობრივი იძულებისაგან განთავისუფლებაში მდგომარეობს; „ამ აქტის მანკიერებაზეა დაფუძნებული ბრალის ფენომენი“.²⁹ მაგრამ თუ ბრალის ფენომენი მიზეზობრივი იძულების ნიადაგს ეფუძნება, მაშინ რა აზრი აქვს „ფინალურ ზედეტერმინაციას“, რომელიც თავის მხრივ, მიზეზობრიობის გაწყვეტის მისტიკურ ხაზს უახლოვდება? ამას გარდა, ავტორის აზრით, თავისუფლება არაა არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის: „ბოროტი ნებისყოფა ღირებულების საწინააღმდეგო იმპულსებსა მიზეზობრივად დამოკიდებული და, ამდენად არ არის თავისუფალი“.³⁰ მაშასადამე, „ფინალური ზედეტერმინაცია“, უკიდურეს შემთხვევაში, ზნეობრივად გამართულ ქცევას თუ დაახასიათებს, მაგრამ იგი გამოუსადეგარია დანაშაულის სუბიექტის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად, რადგან დანაშაული ბოროტებაა, ხოლო ბოროტება, ავტორის აზრით, ღირებულების საწინააღმდეგო იმპულსის შედეგია. მაშასადამე, ავტორის პოზიციიდან გამომდინარე დამნაშავეს არჩევანის უფლებაც კი წართმეული აქვს, რადგან იგი იმთავითვე ბოროტი ნებისყოფის სათამაშო იარაღს წარმოადგენს და „სხვანაირად მოქმედების“ შეუძლებლობა (რომელსაც საზრისი აქვს კონკრეტულ ობიექტურ და სუბიექტურ ვითარებაში) აქ ფერისა და ანომას წინასწარგანსაზღვრულობის თეზისს უახლოვდება.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ პრობლემის ასეთი გადაჭრა აშკარად გამომდინარეობს კანტის პოსტულატიდან კეთილი ნებისყოფის ავტონომიურობისა და ბოროტი ნებისყოფის ჰეტერონომიულობის შესახებ. მართალია, ველცელი პარტმანის ეთიკური თეორიისა და შელერის ანტროპოლოგიის გამოყენებით ცდილობს პრობლემის გადაჭრას, მაგრამ იდეალიზმთან მისი ნათესაობა აუქმებს იმ განსხვავებას, რასაც ავტორი თავის თეორიას მიაწერს. აღსანიშნავია, რომ ველცელის თეორია ვერ უკავშირდება თვით სისხლის სამართალს, რის გამოც იგი უსაგნოა. როგორც დავინახეთ, დანაშაულებრივი ქმედობის ფინალური თეორიის ჩამოყალიბების ცდა ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობათა უგულვებელყოფის ნაყოფია.

მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, როცა ავტორი სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის მიმართებას განიხილავს.

²⁶ ველცელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

²⁷ იქვე, გვ. 29.

²⁸ იქვე, გვ. 123.

²⁹ იქვე, გვ. 129.

³⁰ იქვე, გვ. 128.

მისი აზრით, თუ სისხლის სამართალში დანაშაული თავისუფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, კრიმინოლოგიაში იგი გარემოსა და განწყობის კაუზალური პროდუქტია. ამიტომ ეს ორი გარემოება კონტრადიქტორულად დაპირისპირებული ჩანს.³¹ სიტყვა „ჩანს“ თითქოს პირობითი დათქმაა, მაგრამ სინამდვილეში ვერ ფარავს ავტორის პოზიციას. სახელდობრ, კრიმინოლოგიურ სფეროში თავისუფლება მოკლებულია საფუძველს; სამაგიეროდ, იგი ძალაშია სისხლის სამართალში. მაგრამ თუ კრიმინოლოგიურ სიბრტყეზე არ არსებობს თავისუფლება, მაშინ სისხლის სამართალში მისი აღიარება ან ფიქტია უნდა იყოს ან ვამტიციოთ, რომ სწორია ინდეტერმინიზმიც და დეტერმინიზმიც, ოღონდ სხვა და სხვა სფეროში. საკითხის ასეთი დაყენება ძირეულად მცდარია და სავსებით ყალბად წარმოადგენს მეცნიერებათა მიმართების პრობლემას. სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განსხვავება დავას არ იწვევს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი კონტრადიქტორულად დაპირისპირებულ სფეროებს მივაკუთვნოთ.

ასეთია ველცელის ფინალური თეორიის ძირითადი წინააღმდეგობანი „დეტერმინიზმის“ გარშემო. მაგრამ ამ წინააღმდეგობას სხვა ლოგიკური „შედევები“ აქვს: ველცელის „დეტერმინიზმი“ და „თავისუფლება“ არსისა და ჯერ-არსის ნეოკანტიანური გათიშვის პირდაპირი ანარეკლია, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს ფინალურ მოძღვრებას ბრალის შესახებ, რასაც სავსებით სწორად მიაქცია ყურადღება პროფ. თ. წერეთელმა.³²

ბრალის ნორმატიულ თეორიის განხილვა ჩვენი მიზანი არ არის. გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ფინალურ თეორიაში ბრალის პრობლემა ნებისყოფის თავისუფლების პოსტულატის ლოგიკური შედეგი კი არ არის, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ, პირიქით, ბრალის ნორმატიული ბუნება თვითონ განსაზღვრავს ნებისყოფის თავისუფლების გადაჭრის ხასიათს ველცელის თეორიაში; რაც საგნებისა და მოვლენების გაყალბებად უნდა ჩაითვალოს, რადგან, როგორც ცნობილია, ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის სათანადო მომარჯვება ბრალის პრობლემის შესაბამის გაგებას გულისხმობდა, რაც სავსებით ლოგიკური იყო. ფინალური თეორია არც ამ ფაქტს უწევს ანგარიშს. შემთხვევითი არ არის ამიტომ ისიც, რომ მაურახი ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას დანაშაულებრივი ქმედობისა და ბრალის პრობლემა³³ის გადაჭრის შემდეგ მოკლე მონახაზით იცილებს თავიდან. ავტორს შერაცხადობისა და ბრალის წანამძღვრად აღამიანთა თვითგანსაზღვრის უნარი მიაჩნია; ველცელის მსგავსად იგი ბრალის მომენტს ამ თვითგანსაზღვრის მანკიერებაზე აფუძნებს.³³

თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ფინალური თეორია და მისგან გამომდინარე დასკვნები ურთხმად როდია გაზიარებული. მას ხშირად აკრიტიკებენ ცნობილი კრიმინალისტები. მაგალითად, ედმუნდ მეცგერი ველცელის თეორიაში მთელ რიგ წინააღმდეგობას ხედავს და აღნიშნავს, რომ ამ თეორიის ბუნდოვანება ამწელებს იმის გაგებას, თუ რა უნდა იყოს იგი — „ფინალური მოძღვრება“ მოქმედების ცნების შესახებ თუ მოძღვრება „ფინალური

³¹ იხ. ველცელი დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

³² თ. წერეთელი, თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა, „საბჭოთა სამართალი“, 1974, № 6, გვ. 17.

³³ Maurach, Deutsches Strafrecht, 1958, s. 339.

მოქმედების ცნების შესახებ“³⁴ მაგრამ მეცგერის თეორია ჩვენ ამჯერად დეტერმინიზმთან დაკავშირებით გვიანტერესებს. დავეყრდნობით მხოლოდ ავტორის ძირითად თეზისებს.

მეცგერი „შემეცნების თეორიული დეტერმინიზმის“ პოსტულატს მოქმედების სხვანაირად შეუძლებლობის შესახებ არ უარყოფს, მაგრამ მიაჩნია, რომ სხეულებრივ — ფიზიკურ მოვლენებში მიზეზობრიობის უწყვეტობის გვერდით დანახული უნდა იქნეს სულიერი ცხოვრების თვისობრივი სხვაობა, რომელიც „სპონტანურობის“ კატეგორიას იკლავს. ამის გარეშე „სხვანაირად მოქმედების შესაძლებლობის“ აღიარება თუ უარყოფა სადავო იქნებოდა.³⁵ მეორეს მხრივ, ინდივიდუალური ქცევის „სხვანაირად“ შესაძლებლობას ეთიკა მოითხოვს და არა სისხლის სამართალი. საკითხი იმის შესახებ, თუ როდის რა არის შესაძლებელი, ემპირიულ სფეროში მოკლებულია უდაო კრიტერიუმს, მაგრამ პრაქტიკულ სფეროში მოქმედებს სამართალი, რომელმაც სოციალური თანაცხოვრების წესები უნდა „განაზოგადოს“ და დაადგინოს ტიპური გარემოებები, რომელთაც შესაძლებლობა უკავშირდება.³⁶ აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ „ბრალი სისხლისსამართლებრივი აზრით“ არსებობს იმდენად, რამდენადაც მთელ გარეგან და შინაგან გარემოებებში მართლსაწინააღმდეგო ქცევის გაკიცხვა ამავე „გარემოებებში“ სხვანაირად მოქმედების „საზოგადო“ შესაძლებლობას უკავშირდება.³⁷

ჯერ ერთი, რას ნიშნავს „სპონტანურობა“? „სულიერი ცხოვრების თვისობრივი სხვაობა“ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მეცგერის „სპონტანურობის“ ცნება ძალზე წააგავს ველცელის „ზედდეტერმინაციას“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მიზეზობრიობის გაწყვეტის მისტიკურ ხაზს უხალოვდება. მეორეც, თუ „ემპირიულ სფეროში“ შეუძლებელია იმის დადგენა, „რაიმე როგორი უნდა იყოს ან არ იყოს, მაშინ როგორაა შესაძლებელი ამის დადგენა „პრაქტიკულ სფეროში“? სამართალი რომ ქცევის ზოგადი წესია, დავას არ იწვევს, მაგრამ სხვანაირად მოქმედების „საზოგადო“ შესაძლებლობა, რომელიც ავტორს ბრალის მომენტის საფუძვლად მიაჩნია, ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს. სახელდობრ, თუ მოცემულ შინაგან და გარეგან ვითარებაში ინდივიდუალური ქცევის სუბიექტს არ შეეძლო მოქცეულიყო სხვანაირად, ვიდრე იგი ფაქტიურად მოიქცა, მაშინ მოცემულ „გარემოებებში“ „საზოგადო“ შესაძლებლობაც მოკლებულია საფუძველს, რადგან ყოველი კონკრეტული სუბიექტი მოქმედებს არა „საზოგადოდ“, არამედ — კონკრეტულ გარემოებებში და, მაშასადამე, არავის არ შეეძლო მოქცეულიყო სხვანაირად, ვიდრე მოიქცა. ისეთ პირობებში ბრალის მომენტის „საზოგადო“ შესაძლებლობაზე დაფუძნება პასუხისმგებლობის სხვაზე გადაკისრება იქნებოდა. და, ბოლოს, ეს „საზოგადო“ შესაძლებლობა ეწინააღმდეგება თვით ავტორის დებულებას, რომ სისხლის სამართალში გაუფრთხილებულობის მასშტაბი პიროვნულ-ინდივიდუალურია.³⁸

ამრიგად, დეტერმინიზმისა და პასუხისმგებლობის მიმართების მეცგერი-სული გადაჭრა წინააღმდეგობრივია.

³⁴ Edmund Mezger, *Moderne Wege der Strafrechtsdogmatik*, München, 1950, s. 17.

³⁵ Edmund Mezger, *Strafrecht, Allgemeine Teil*, München und Berlin, 1957, s. 135.

³⁶ იქვე, გვ. 136.

³⁷ Mezger, *Strafrecht*, s. 136.

³⁸ იქვე, გვ. 125.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეტერმინიზმის ახალი ფორმულა არსებითად განსხვავდება ქცევის იმთავითვე განსაზღვრულობის ძველი ანტიმეცნიერული გაგებისაგან სახელდობრ იმით, რომ ახლა საქმე შეეხება კონკრეტული სიტუაციისა და სუბიექტის მიმართებას, მაგრამ პრობლემა აქაც სადავოა. თუ კარლ ენგიში, რომელმაც ამ პრობლემას მიმოხილვითი შრომა მიუძღვნა, მიდის დასკვნამდე, რომ ფორმულა კონკრეტულ სიტუაციაში სხვანაირად მოქმედების შესაძლებლობის შესახებ დაუმტკიცებელია,³⁹ იგივე ფორმულა ამოსავალია ვილჰელმ ზაუერისათვის, რომელიც კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ბრალი მხოლოდ სხვანაირად მოქმედების შესაძლებლობას ემყარება.⁴⁰ ამავე აზრს იცავს იუნგერ ბაუმანიც.⁴¹

როგორც ჩანს, აღნიშნულ ფორმულას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი მოკლებულია ან კონკრეტულ სოციალურ შინაარსს, ან გაყალბებულია პრობლემის უადგილოდ დაყენების გამო. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს რუდოლფ ალფრედის დისერტაცია, რომელიც სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიაში დეტერმინიზმის პრობლემებისადმი მიძღვნილი. ავტორი ამტკიცებს, რომ ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა ფსაქოლოგიური პრობლემაა, რადგან ნებისყოფა, ნდომა და ა. შ. ფსიქოლოგიური გამოკვლევების ობიექტებია.⁴² მაგრამ დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის ბრძოლის ისტორიული ფაქტი ამტკიცებს, რომ ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა პირველ რიგში ფილოსოფიური პრობლემაა, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის არსებითი მომენტია. თუმცა ავტორის ეს პოზიცია ჩვენთვის გასაგებია: მართლაც, თუ იგი დეტერმინიზმის პრობლემას ფილოსოფიურ სიბრტყეზე გადაიტანდა, მაშინ უეჭველად წააწყდებოდა იდეალისტურ წინააღმდეგობას; სხვანაირად, მატერიალიზმის ნიადაგზე უნდა დამდგარიყო, მაგრამ, ავტორის შეხედულებით, მეცნიერების მატერიალისტურობის შესახებ აზრი მინიმალური სამუშაო პიპოთეზაა.⁴³ ეს მინიმალური სამუშაო პიპოთეზა მაინც გულგებაა და არა მეცნიერული დასაბუთება. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ავტორი გაბატონებული კლასისათვის საშიშ კრიმინოგენურ ფაქტორებს გაბედულად ეხება (საზოგადოებრივი წყობილება, რადიო, ტელევიზია, პრესა, ფასების პოლიტიკა და ა. შ.),⁴⁴ მაგრამ მისი დეტერმინისტული დასკვნები მთელ რიგ პუნქტებში დავას იწვევენ. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს. ავტორის დასკვნით, ბუნებისმეტყველური დეტერმინიზმი გამორიცხავს თეზისს სხვანაირად მოქმედების შესაძლებლობის შესახებ, რადგან დანაშაული აუცილებელია.⁴⁵ ამიტომ ეთიკასა და სისხლის სამართალში აქამდე გავრცელებული კანტიანური პრინციპი: „შენ შევიძლია, მაშასადამე, შენ ვალდებული ხარ“, უნდა შებრუნდეს პრინციპით: „შენ ვალ-

³⁹ Karl Engisch. Die Lehre von Willensfreiheit in der Strafrechtsphilosophischen Doktrin der Gegenwart, Berlin, 1963, s. 65.

⁴⁰ Sauer Wilhelm, Allgemeine Strafrechtslehre. Berlin, 1955 s. 41.

⁴¹ Baumann, Strafrecht, Allgemeine Teil, Tübingen, 1961, s. 286.

⁴² Alfred Rudolf. Der Determinismus in der neuere Psychologie und Strafrecht, Zürich, 1968, s. 41.

⁴³ იხ. რუდოლფ ალფრედის დასახ. დისერტაცია, გვ. 38.

⁴⁴ იქვე, გვ. 147—150.

⁴⁵ იქვე, გვ. 176.

დებული ხარ, მაშასადამე, შენ შეგიძლია“.⁴⁶ ბრალისა და შერაცხადობისათვის საკმარისია ჯერარსობით დეტერმინაციის უნარი, რადგან სისხლის სამართალი ნორმების შესახებ მეცნიერებაა, ხოლო ნორმატიული და კაუზალური განხილვა პრინციპულად განსხვავებული ვითარებებია.⁴⁷

ჯერ ერთი, თუ დანაშაულის აუცილებლობა საზოგადოდ მოცემულ პირობებში ქცევის აუცილებლობისაგან განსხვავებული არ იქნება, მაშინ ქცევის იმთავითვე განსაზღვრულობის ძველი მეტაფიზიკური ფორმულა აღორძინდება. მეორე, შესაძლებლობისა და ვალდებულების ასეთი ცალმხრივი წარმოდგენა შეუძლებელს ხდის ეთიკური ჯერარსობით დეტერმინაციის უნარსაც, რაც ძალიან წააგავს ლისტის თეზისს მოტივზე ნორმალური რეაგირების უნარის შესახებ. მესამე, ნორმატიული და კაუზალური მსჯელობათა დაპირისპირება ნიშნავს აგრეთვე სისხლის სამართლისა და კრიმინალოგიის დაპირისპირებას, გამოდის, რომ კრიმინალოგია არის არსის მეცნიერება და მთლიანად კაუზალურ განხილვას ექვემდებარება, მაშინ როცა სისხლის სამართალი არის ნორმათა მეცნიერება, რომელიც ეთიკასთან ერთად სორმატიული განხილვით კმაყოფილდება. ამრიგად, დეტერმინიზმისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა აქაც ძველ ყიდიანზეა დაყენებული.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ (1) ინდეტერმინიზმის კლასიკური თეზისი თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში უარყოფილია. (2) დეტერმინიზმის ძველი თეზისი ქცევის იმთავითვე განსაზღვრულობის შესახებ შეცვლილია ფორმულით, რომელიც კონკრეტული სუბიექტისა და სიტუაციის მიმართებას ემყარება, თუმცა ამ მხრივაც სხვანაირად მოქმედების შესაძლებლობა დღემდე სადავოა. (3) რადგან მხედველობაშია მიღებული კონკრეტული სუბიექტი და კონკრეტული სიტუაცია, „სხვანაირად მოქმედების“ შეუძლებლობის თეზისიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რომ ინდეტერმინისტული დასკვნები თავიდან იქნეს აცილებული. (4) მაგრამ ამ ახალი ფორმულის არსებითი მანკიერება ისაა, რომ იგი მოკლებულია სოციალურ შინაარსს, რის გამოც ფორმალურ-ლოგიკური კატეგორიის სახე აქვს მიღებული. (5) დეტერმინიზმისა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ძველი ანტინომების დაძლევის მნიშვნელოვანი ცდების მიუხედავად, მდგომარეობა თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში შეიძლება დავახასიათოთ თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტის მ. ე. მაიერის შემდეგი სიტყვებით: „ნებისყოფის თავისუფლება წარმოუდგენელია, უპასუხისმგებლობა მოუთმენელია, წინააღმდეგობა არათავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის გარდაუვლია“.⁴⁸

⁴⁶ იხ. რუდოლფ ალფერდის დასახ. დისერტაცია, გვ. 174.

⁴⁷ იქვე, გვ. 172.

⁴⁸ M. E. Meyer. Der Allgemeine Teil des Deutschen Strafrechts. Heidelberg, 1923, s. 447—448.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გიოგრაფიის კამერნიკე უპისანი

ვლ. მასაზმილი

I

სახელოვანი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1872 წლის 14 თებერვალს (ძვ. სტ.) სოფ. ოფიოში (თელავის მაზრა). ლუარსაბის მამა რუსეთის არმიის ოფიცერი იყო. იგი კავკასიის ომში მონაწილეობდა, ერთ-ერთი ბრძოლის დროს ციხის ბურჯიდან გადმოგადგეს, მძიმედ დაშავდა და მალე დაბრმავდა. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი ჯარიდან მაიორის ხარისხით გამოვიდა, თავის მშობლიურ ოფიოში დასახლდა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ხელმოკლე აწაწურს ოფიოში ერთი ციციქნა ხის სახლი ედგა. ოჯახის მთავარ ხაარსებო წყაროს პენსია და ორი „დეხტინა“ ვენახი შეადგენდა. „ნიკო მაიორს“, როგორც მას მეგობრები და მეზობლები ეძახდნენ, მეუღლედ შურაბიშვილის ქალი ელისაბედი (შინაურობაში ლიწად იწოდებოდა) ჰყავდა. მათ ლუარსაბის მეტი შვილი არა ჰყოლიათ. მამა ლუარსაბს ადრე მოუყვდა. შვილის აღზრდისა და განათლების ტვირთი იმთავითვე დედას დააწვა. ელისაბედმა კარგად იცოდა ქართული მწერლობა და ნათარგმნი ლიტერატურაც. იგი იყო ლუარსაბის აღმზრდელი და პირველი მასწავლებელიც. მან სიყრმიდანვე ჩაუთერგა შვილს წიგნის სიყვარული. ლუარსაბს სწორად უთქვამს, „ვეფხისტყაოსანი“ დედის რძესთან ერთად შეგვითვისებო. სულ პაწია ყმაწვილს პომეს მთელი თავები მათი შინაარსი გაუჭირებული და დედის ახსნით მათი შინაარსიც ესმოდა. მას შემდეგაც, როცა ლუარსაბმა საშუალო სასწავლებელი დაამთავრა, ელისაბედი, ხელმოკლეობის მიუხედავად, ცდილობდა, რითაც კი შეეძლო, შესწეოდა შვილს, რათა მას სწავლა გაეგრძელებინა და განათლება მიეღო.

ელისაბედმა, დიდბუნებოვანმა მანდილოვანმა, დიდი გავლენა იქონია შვილის წინეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე. ცნობილია, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის საზოგადოებრივი, პროფესიული და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მართებული შეფასება შეუძლებელია იმ ეთიკური პოზიციის გაუთვალისწინებლად, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე განუხრებლად ადგა. პოზიციისა, რომელიც მის მრავალმხრივ მოღვაწეობას განსაკუთრებული ელფერიით მისაძვდა. ლ. ანდრონიკაშვილის

ჭეშმარიტად ხეტაკი და მტკიცე წინეობრივი წარმოდგენების ფესვები შორეულ სიყრმეშივე უნდა ვეძებოთ. ისინი განუხრებლად უკავშირდებოდნენ დედის ნათელ ხახვს, რომლის ხსოვნასაც იგი სიცოცხლის ბოლო დღემდე ეთაყვანებოდა.

ბავშვობა, თბილისის პირველ გიმნაზიაში მიბარებადმდე, ლუარსაბმა ოფიოში გაატარა. ეს სოფელი ალაზნის ველის შუაგულში მდებარეობს. მისი ყველა კუთხიდან წარმტაცი სანახაობა იშლება: ბუმბერაზი კაკაასიონი, თვალუწვედნელი გაფერადებული ველი, ქაღებში მოლაპლაპე ალაზნით დახერილი, შორს, მდინარის კიდევუქართული ხუროთმოძღვრების სიამაყე, თერთად მოკიაფე ალავერდის ტაძარი. მშობელი მხარის მშვენიერებამ პაწია ლუარსაბი საშუალოდ მოაჯადოვა. შემდეგ მან მთელი რუსეთი მოიარა, უცხოეთშიც ბევრგან იყო, ბუნების ეშში იცოდა და მისი ლაზით მრავალგან დამტკბარა. მაინც, ხანში შესული, იტყოდა ხოლმე, ხილამაზით კახეთს ქვეყანა არა სჯობია, ჩემი ოფიო ხომ ყველას მიჩნევენაო.

ლუარსაბის ბავშვობაზე ცოტა რამ ვიცით. დედა-შვილი ელისაბედის ძმის, ელეფთერ შურაბიშვილის ოჯახის სწორი სტუმარი ყოფილან. იგი თელავში ცხოვრობდა და ხელგაშლილი მახბინძლობით ყოფილა ცნობილი. მასთან სწორად იკრიბებოდა მრავალრიცხოვანი ნათესაობა და მეგობრობა. ცოცხალი სჯა-ბაახს, ქეიფი, მშენიერი გალობა და ციკვა-თამაში სახლს მიმწიდევილობას მატებდა. პატარა ლუარსაბისათვის ბიძასთან სტუმრობა კიდევ უფრო იმით იყო ხანატრელი, რომ აქ იგი თავის ტოლ ბიძაშვილს ილიკოს ხედებოდა ხოლმე და დროს ერთად ატარებდნენ. ელეფთერის ვაჟი ილია შემდეგში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, თეატრისა და ციკვის მოყვარული და დიდი მცოდნე გახდა. ლუარსაბი და ილია მთელი სიცოცხლე მეგობრობდნენ. განსაკუთრებით დაახლოვდნენ ისინი ოცნან წლებში, როცა ლუარსაბი სამშობლოში დაბრუნდა.

გარემო, რომელშიც ლუარსაბი იზრდებოდა, წარუშლელად აღიბეჭდა მის სულსა და გონებაში. ქართული სოფლის ცხოვრებამ, მისმა წინეულებამ ღრმა კვალი დატოვა მგრძნობიარე ლუარსაბის ხსოვნაში. მისი გემოვნების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელი დღესასწაულები და დღეობების ნიარნარმა

სანახაობამ და ფერადოვნებამ, მეტადრე აღავერ-
ლობამ, ხადაც ზღვა ხალხი იკრებებოდა.

ლუარსაბს მეტად კარგი სმენა და მიხვრა-
მოსვრის ნიჭი ჰქონია. თურმე ჩინებულად ცეკ-
ვავდა „პართულს“ და ისე დახელოვნებულა, რომ
სავანგებოდ იწვევდნენ ქორწილებსა და სხვა
ზეიმებში. მაგრამ ლუარსაბს ეს ნიჭი საჭავრე-
ლადაც განდომია. მამაჩემი, გიორგი მაყაშვილი,
ლუარსაბის ტოლი, რომელმაც ბავშვობა ოუიოს
მეზობლად იყალიბა გაატარა, იგონებდა ხოლ-
მე, რომ ლუარსაბი ყოველთვის ხალხისით როდი
თანხმდებოდა, როცა სადმე წასაყვანად შეუჩნ-
დებოდნენ. იცოდა, იქ რაც „ჭაფა“ დაადგებო-
და, ჭიუტობდა და ხშირად, ცრემლმორეული, იხ-
ვეწებოდა შინ დაეტოვებიათ და სხვისი გარ-
თობის მძიმე ვალი არ დაეკისრებინათ.

II

1882 წლიდან ლუარსაბი თბილისშია და თბი-
ლისის პირველ გიმნაზიაში სწავლობს. მისი
ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. აქ ახალი, მა-
ნამდე უცნობი ადამიანები ახვევიან ვარს, მათ-
თან უწევს გამუდმებულ და ახლო ურთიერთო-
ბაში ყოფნა. ლუარსაბის მოწაფეობის ხანაზე მე-
ტი ცნობა მოგვეპოვება. ასეთია გიმნაზიის სა-
არქივო მასალები, უმთავრესად კი — მისი თა-
ნაკლასელის ევგენი მარკოვის მეტად ცოცხლად
დაწერლი მოგონებები, რომლებიც კარგად
ასახავს ამ ხანას.¹

ნიშანდობლივია, რომ ლუარსაბის რთული და
თავისებური ხასიათის ბევრი თვისება და ნი-
ჭის მრავალმხრივობაც, ამ წლებშივე მკვეთრად
გამოსახულა.

ე. მარკოვი აღწერს პირველ დღეს გიმნაზია-
ში, როცა საერთო-სავიმნაზიო პარაკლისის შემ-
დეგ პირველი კლასის ყმაწვილები ერთად შეყ-
რილან. განსაკუთრებით აღნიშნავს ლუარსა-
ბის სიმჯობრეობას, იმას, რომ იგი ლაღად მი-
დიდა ამხანაგებთან, „ეცნობოდა“ და ეხაუბრე-
ბოდა, მაშინ როდესაც სხვები, შემკრთალნი,
მერხებზე ჩამომსხდარიყვნენ, დღმდნენ და ერ-
თმანეთს ვერ დალაპარაკებოდნენ. ამაშიც გა-
მოსჭვავის ლუარსაბის შესანიშნავი თვისება,
რომელიც მას მთელი სიცოცხლე ახასია-
თებდა, ადამიანებთან დაკვეშირების საო-
ცარი უნარი, უნარი ურთიერთობა ჰქო-
ნოდა ყველაასთან, ვისაც კი გარემოება შეაბ-
ვედრებდა. ამას საუფქვლად ელო მისი ცხოვე-
ლი ინტერესი ადამიანის პიროვნებისადმი, რა
ხნისა, სქესისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა
და პროფესიისაც არ უნდა ყოფილიყო იგი. და

იმან, რაც შემდგომში აგრერიგ ხიბლავდა ყვე-
ლას, თავისი ნაყოფი ამჭერადაც გამოიღო. ლუ-
არსაბმა თავისი მონდომებულობით, სილაღითა
და ბუნებრივობით იმთავითვე ავტორიტეტი მო-
იპოვა გიმნაზიელებს შორის და ამ ავტორიტეტ-
მა მერმე იმატა მისი ხასიათის სხვა თვისებების
წყალობით.

ლუარსაბი მალე დაუახლოვდა ამხანაგებს და
დაუმეგობრდა არა მარტო თავის თანაკლასე-
ლებსა და თანატოლებს, არამედ სხვა კლასების
მოწაფეებსაც, უფროსებსაც და უმცროსებსაც.
მან სკოლიდანვე ახლო ურთიერთობა დაამყარა
არაერთ პირთან, რომელიც თბილისის პირველ
გიმნაზიაში აღიზარდა და შემდეგ გამოჩენილი
მეცნიერი და კულტურის მოღვაწე გახდა. ლუ-
არსაბის ხკოლის მეგობრები იყვნენ: ივანე ჯავა-
ხიშვილი, გიორგი გეტმანი, კოტე მარჯანიშვი-
ლი, ალექსანდრე დიასამიძე, მინეილ თაქთაქი-
შვილი, გიგო ქურდიანი და სხვანა. სკოლის
ყველა ამხანაგისადმი ლუარსაბმა ბოლომდე მე-
გობრული გრძნობა შეინარჩუნა. ე. მარკოვი
წერს: „პირველი კაცის ძვირფასი თვისება, — მე-
გობრობის წყურვილი და მტკიცე ერთგულებ-
ა, — მეტად დამახასიათებელია ლუარსაბისათ-
ვის და მის მიმზიდველობას კიდევ უფრო აძ-
ლიერებს“.

ლუარსაბის მეორე თვისება, რომელიც მას
პატარაობითვე მოსდგამდა, სიცოცხლის უშრე-
ტი ხალხის იყო. იგი ხარობდა და აღტაცებით
ენაუბებოდა ცხოვრებას, ესწრაფოდა ყველაფერს,
რის მოცემაც კი მას შეეძლო. იგი ცქრილა,
მხნარული ბიჭი იყო, გატაცებით მისდევდა ნა-
ინარი სასკოლო თამაშს, თვითონ იყო ხოლმე
მისი წამომწყები და მოწაფილე. მას არ აკლდა
იუმორი, მის მხიარულ და უწყინარ სუბრობას
და ოინებს არასდროს სიბოროტისა და შეურა-
ცხყოფის სუსხი არ სდევდა. „რითმე გართულ
ამხანაგს ზურგზე შეხტომოდა და კლასში გაე-
ტენ-გამოეჭენებინა, რომელიმე ჩვენგანისათვის
საკლასო დაფის ბალიში ეთავაზა და თავ-პირი
ერთიანად ცარკით გაეგუნგლა, მზუთხავის წინ
გადაშლილი წიგნები აეყარ-დაეყარა, — ასე-
ეთება და ამისთანებებში ლუარსაბი, იცოცხლდ, მარჯვე იყო“, — იხსენებს ე. მარკოვი.

მოწაფეობაშივე გამოირჩეოდა შრომის უნა-
რით. პატარაობიდანვე ახერხებდა გონივრულად
გაენაწილებინა დრო მეცადინეობის, კითხვისა
და გართობისათვის. ლუარსაბი სწავლას შეგნე-
ბულად ეკიდებოდა, გაკვეთილებს ბეჯითად ამ-
ზადებდა, კარგ მოწაფედაც ითვლებოდა და
კლასიდან კლასში გადასვლის დროს ბევრჭერ
ქების სიგელიც მიუღია.

¹ ე. მარკოვის მოგონებები გადმოშვა ირაკლი ანდრონიკაშვილმა, რისთვისაც მადლობას
ჯუხად.

ლუარსაბმა ადრევე გამოიჩინა ინტელექტუალური ცხოვრების ინტერესი. საათობით იჯდა ხოლმე გიმნაზიის საკმაოდ დიდ ბიბლიოთეკაში. განსაკუთრებით იზიდავდა მხატვრული მწერლობა (სკოლაშივე გადაიკითხა, უფრო კი შეისწავლა, ყველა რუსი და უცხოელი კლასიკოსის თხზულებები), ხელოვნება, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, უფროს კლასებში — ფილოსოფია. გიმნაზიაშივე ჩაეყარა საფუძველი მის ფილოსოფიურ განათლებას, რომელსაც ლუარსაბი მუდმივად აფართოვებდა და ადრევე დადიდა. ფილოსოფიის ინტერესის გაღვივებას დიდად შეუწყობდა ხელი უფროსი კლასის მოწაფემ, ვიქტორ სტაღლენმა, ფრანგული ენის მასწავლებლის ვაჟმა. ამ უადრესად ნაკითხი და განვითარებული ჭაბუკის ხელმძღვანელობით ლუარსაბი გიმნაზიაშივე გაეცნო კანტის, ჰემელის, შოპენჰაუერისა და სხვათა ურთულეს ფილოსოფიურ სისტემებს.

არის ცნობა, რომ იგი საგიმნაზიო აღმანახის აქტიური მონაწილე ყოფილა, მასში ლექსებსაც კი ათავსებდა (სამწუხაროდ, აღმანახი არ შემონახულა).

სერიოზულ მეცადინეობასთან ერთად ლუარსაბი არც ვართობას აკლდებოდა. კარგ მოცეკვავედ ითვლებოდა და გიმნაზისტებთან ერთად დადიოდა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, სადაც მეკლისედი იმართებოდა ხოლმე. მას ფარციაობაც კარგად სცოდნია.

ლუარსაბის ნიშანდობლივი თვისება, რომელიც პატარაობაშივე ახასიათებდა, ემოციურობა იყო; ყოველივეს გატაცებით, აგწებით აკეთებდა. მისი მხურვალე ტემპერამენტი ყველაფერში იჩენდა თავს. დაწყნარებულ და გულგრილ ლუარსაბს კაცი ძნელად წარმოიდგენდა. თან ეს მგრძნობიარობა არ აბრკოლებდა საქმიდან საქმიწე ვადართულიყო. ცხოველი ინტერესი ერთი საგნისა თუ მოვლენისადმი ხელს არ უშლიდა მეორისადმიც ასევე განწყობილიყო. ინტერესების ნაირგვარობა და ეს გადართვის უნარი ხელს უწყობდა და უზრუნველყოფდა ლუარსაბის პიროვნების მარმონიულ განვითარებას, მთლიანად მის ზრდას.

საგანგებოდ უნდა ითქვას ლუარსაბის მისწრაფებაზე სასცენო ხელოვნებისადმი, რაც ბავშვობიდანვე გამოიხატებოდა. შემოქმედლების ფსიქოლოგიის საკითხები, მსახიობური გარდასახვის საიდუმლოება, დრამატული მოქმედების კანონები, რაზედაც ლუარსაბი მთელ სიცოცხლეს ფიქრობდა, მას შეუგნებლად გიმნაზიის წლებშივე აღელვებდა.

იგი ადრე ჩაება სასკოლო წარმოდგენებში. ფიცხი ტემპერამენტი, მგრძნობიარობა, განსახიერებელი პირის განცლით აღწვნების უნარი,

თანაც ნიჭი მისდამი გარეგნულადაც მიმხვავებობისა, ზოგჯერ კი უბრალოდ ნაწახი საწახი გადმოღებისაც, — ყველა ამან ლუარსაბს სახელი მოუპოვა. ჭერ კიდევ თორმეტი წლისამ, მეორე კლასის მოწაფემ მოხუცი ბოიარინი მოროზოვი განსახიერა წარმოდგენაში „მთავარი ხერებრიანი“, რომელიც ა. ტოლსტოის რომანის მიხედვით დაიდგა. ამ როლის შესრულებამ დიდი წარმატება მოუტანა.

თავისი ასაკის კვალობაზე ესოდენ რთულ როლს მან ისე კარგად გაართვა თავი, რომ ზოგმა, ხუმრობით თუ მართლა, ჩათვალა, ვითომ ბერიკაცების განსახიერება მისი ბუნებრივი ამბულა ყოფილიყო. მესხეთე კლასში რომ იყო, ლუარსაბმა ითამაშა ოსიბი ნ. გოგოლის „რევიზორ“-ში, ხოლო შემდეგი კლასის მოწაფემ წარმოადგინა სკალოზუბი ა. გრიბოედოვის პიესაში „ვაი ქკიხისაგან“. მაგრამ ლუარსაბის მსახიობური ნიჭი განსაკუთრებით მასში გამობრწყინდა, როცა მან, 14 წლის ჭაბუკმა, ტ. მ. პლაუტუსის კომედიის „Captivi“ („ტყვენი“) მთავარი როლი შეასრულა. მოხუცებული რომაელის განსახიერებლად მას დასჭირდა რამდენიმე ათასი ტუკები ჭეჭებირებინა ლათინურად. ყველა გაცეხული დარჩა მისი არაჩვეულებრივი მეხსიერებით, რომელსაც მისთვის შემდეგაც არასდროს უღალატია. თავისი მეხსიერებით იგი ანცვიფრებდა ყველას საჯარო გამოსვლისას და პირისპირ საუბარშიც.

გარდასახვის უნარს, ერთგვარ არტისტის მსგავსად ლუარსაბი ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაშიაც იჩენდა. როცა კლასის მორიგე იყო ხოლმე, თვალთმაქცურად მკაცრი, უღმომბელი „უფროსის“ სახეს მიიღებდა, თითქოსდა თანაკლასელებზე მართლაც ძალაუფლება ჰქონოდა, „უწყესობებისათვის“ მკაცრად შეაგონებდა, ზოგჯერ საერთო სიცილ-ხარხარში მოითხოვდა აღტაცება-ზეიმით ხელით მარლა შეეთამაშებიათ და ექანავებით ანდა ნობათად სახლიდან გამოგზავნილი ხილი თუ ტკბილეული მიერთმიათ.

ერთხელ ჩემი თანდასწრებით ლუარსაბს ჰკითხეს, რომ არ გქონიათ სურვილი რომელიმე სხვა პროფესია აგერჩიათო მან უყოყმანოდ მიუგო, დირიჟორობას ვოცნებობდიო. მას მართლაც ჰქონდა საამისო მონაცემები — პატარაობაშივე მუსიკალური იყო, უნაკლო სიმენა ჰქონდა. გიმნაზიაში რომ შევიდა, მალე ფლეთის დაკვრის სწავლა დაიწყო. უკვე მეოთხე კლასიდან საგიმნაზიო სიმფონიურ და სასულე ორკესტრში უკრავდა და ამისთვის ჭილდოებიც მიუღია. სათუთად ჰყვარებია თავისი საკრავი, რომელსაც ამხანაგები ხუმრობით სასტვენს უძახდნენ, ლუარსაბი კი ხუმრობით ამა-



ყოზდა — ფლექტით დიდი კურფიურსტი ფრი-
დრიხიცი იყო გატაცებულიო.

ლუარსაბი აუცილებელი წევრი იყო თავისი
თანაკლასელების ერთი ჯგუფისა, რომელიც გა-
მუდმებით დაიარებოდა მაშინდელ პატარა „სა-
ხაზინო“ თეატრში. თეატრში წასვლის ნება გიმ-
ნაზიედებს მხოლოდ კვირა-უქმე და მათ წინა
დღეებში ჰქონდათ. საოპერო თეატრის ძირითა-
დი შემადგენლობა ძლიერი არ იყო, მაგრამ
დროდადრო ხაგასტროლოდ ჩამოსული გამოჩე-
ნილი, მათ შორის სახელგანთი იტალიელი მომ-
ღერლების მონაწილეობა თეატრისადმი ინტე-
რესს ადვილებდა.

წინააღმდეგობით მოსმენილი ოპერის თაობაზე თე-
ატრში ნამყოფ გიმნაზიელებს შორის ცხოველი
სხა-ბაასი იმართებოდა, ერთმანეთს უზიარებდ-
ნენ აღტაცებას მოსმენილი მუსიკითა თუ არიე-
ბით, ზოგჯერ მომღერლების ხმებისა და თამაშის
მოწონება-დაწუნების გამო ცხარე კამათიც
იმართებოდა. პაექრობას, ჩვეულებრივ, ლუარ-
საბი წარმართავდა. იგი გამოირჩეოდა ნაკითხო-
ბითა და უნარით ჩასწვდენოდა მუსიკალურ ნა-
წარმოებს, განეცადა იგი, შეეფასებოდა ოპერის
შემსრულებლები და დადგმა. ამრიგად, გიმნა-
ზიაში ჩაეყარა საფუძველი მუსიკალურ განათ-
ლებას. ლუარსაბს თანდათანობით უვითარდე-
ბოდა მუსიკის ღრმა გაგება და იხვეწებოდა მი-
ხი ფაქიზი მუსიკალური გემოვნება, თვისებები,
რომლებსაც მერმე პროფესიონალი მუსიკოსები
დიდად აფასებდნენ.

გატაცება მხატვრული ლიტერატურით, ხე-
ლოვნებითა და, მეტადრე, ფილოსოფიით არ შე-
იძლება სასკოლო მეტადინეობას არ დასტუხო-
და. ბოლო ორ კლასში ლუარსაბმა უკლო ბეჭი-
თობას. რათა მეტი თავისუფალი დრო ჰქონო-
და, იგი მერვე კლასში პანსიონიდანაც კი გავი-
და, რომლის წესები, მისი აზრით, ხელს უშე-
ლიდა სრული დაკვირვებით შესწავლა ის, რაც
მას უფრო აინტერესებდა. ამის შედეგი იყო,
რომ მან გიმნაზია თუმცა კარგი ნიშნებით დაამ-
თავრა, მაგრამ დიდი წარმატება არ ჰქონია —
არ მთუდია მედალი, რომელსაც ადრე ბევრი
უწინასწარმეტყველებდა.

III

გიმნაზიის შემდეგ ლუარსაბის წინაშე წამო-
იჭრა საკითხი, თუ რომელი ფაკულტეტი და ხე-

ლობა აერჩია. მან გადაწყვიტა პეტერბურგში
იურიდიულ ფაკულტეტზე შესულიყო (1892 წ.).²

ეს არჩევანი შემთხვევითი როდი იყო. იმ
დროს სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები,
მათ შორის სამართლებრივიც, მოწინავე საზო-
გადოების ყურადღებას იზიდავდა.

გამრჩე ბუნების ადამიანი, ლუარსაბი მხურ-
ვალედ ეხმაურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის მოვლენებს და უნებურად ისეთი პროფესიის
დაუფლებას ესწრაფოდა, რომელსაც თვალსაჩი-
ნო გამოყენებითი მნიშვნელობაც ჰქონდა და
თუკი მოინდომებდა, საზოგადოებრივ სარბიელ-
ზე გასვლის შესაძლებლობასაც მისცემდა.
ამ მხრივ სამართლის შესწავლა ფართო გზას
უხსნიდა მას. შესაძლოა თურისტიკის სპეცია-
ლობის არჩევის დროს ლუარსაბი ერთ-
გვარად წაახალისა მქვევრმეტყველების ნიქ-
მაც, პაექრობისა და დარწმუნების უნარმა,
რაც ბევრად უფრო ადრე გამოუმუქავდა, ვიდ-
რე გადაწყვეტდა სამართალმცოდნეობას დასწა-
ფებოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის იური-
დიული ფაკულტეტი ცნობილი იყო თავისი პრო-
ფესურითაც. უნივერსიტეტის ერთ-ერთმა უძვე-
ლესთაგანმა ფაკულტეტმა, რუსული იურიდიუ-
ლი მეცნიერების საუკეთესო ტრადიციები შე-
ითვისა. ლუარსაბი ისმენდა სამართლებრივი
აზრის გამოჩენილი წარმომადგენლების ლექცი-
ებს და მათთან სემინარებში მუშაობდა. ესენი
იყვნენ: კორკუნოვი (სამართლის თეორია),
სერგევიჩი (სამართლის ისტორია), სერგეევს-
კი (სისხლის სამართალი), ფოინიცი (სისხლის
სამართლის პროცესი), დიუვირენუა (სამოქალა-
ქო სამართალი), მარტენსი (საერთაშორისო სა-
მართალი) და სხვ. და მაინც მარტოოდენ სამარ-
თლებრივი დისციპლინების შესწავლა არ აკმა-
ყოფილებდა. ლუარსაბი ბევრს მუშაობდა თა-
ვისი ფილოსოფიური ცოდნის გაღრმავებისათვის.
მან იცოდა, რომ შემუშლებელი იყო სამართლის
პრობლემების არსს ზიარებოდა, თუ მკვიდრი
ფილოსოფიური დასაყრდენი არ ექნებოდა.

უკვე მესამე კურსის სტუდენტი, ლუარსაბი
1894 წელს თავს ანებებს პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტს, მიდის გერმანიაში და შედის ფი-
ლოსოფიის ფაკულტეტზე ჰერ ჰეიდელბერგის,
ხოლო შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტ-

² მოიპოვება ცნობა, რომ სტუდენტობაში ლუარსაბი იღებდა სტიპენდიას „შეუძლებელ
მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებ“-ისაგან, რომელიც გი-
ორგის ერისთავის თაოსნობით 1878 წელს დაარსებულა. ამ საზოგადოების სტიპენდიანტ-სტუ-
დენტებს შორის სხვა ახალგაზრდები, მომავალში ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიც ყოფილან:
შიო ჩიტაძე, კოტე მყაშვილი, ია კარგარეთელი და სხვ. (იხ. ვ. გაგუა, სახალხო განათლება
მე-19 საუკუნის რეფორმის შემდეგ საქართველოში, თბ., 1974, გვ. 239). ეს ცნობები მომაწოდა
ი. ფუტყარაძემ, რისთვისაც მაძლობას ვუძღვნი.



ში — ფილოსოფიური განათლების მაშინდელ მსოფლიო ცენტრებში, ორნახევარი წლის განმავლობაში ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსების, კუნო ფიშერისა და ვინდელბანდის ხელმძღვანელობით გულდასმით სწავლობს ფილოსოფიის კლასიკოსების თხზულებებს და საფუძვლიანად ეცნობა ახალ ფილოსოფიურ მიმართულებებს, რომლებიც იმ დროს სწორედ გერმანიაში წარმოიშვა და იპყრობდა ყველას შურადღებას, ვისაც ფილოსოფიური აზრის შესწავლა აინტერესებდა. ამასთანავე ლუარსაბი სამართლის გამოჩენილი თეორეტიკოსების ელინგის, ლაბანდისა და სხვათა ლექციებზეც ისმენდა.

1897 წლის დამლევს ლუარსაბი დაბრუნდა რუსეთში, ხოლო 1898 წელს აღიდგინა თავი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. მას მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნებისა და ესთეტიკის მხურვალ ინტერესი არ შეენიღებია და საუნივერსიტეტო მეცადინეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა წრეში, რომელსაც ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, ესთეტიკოსი და კრიტიკოსი აკიმ ვოლინსკი ხელმძღვანელობდა. ამ წრის პირველსავე კრებაზე ლუარსაბმა სიტყვა ითხოვა, მეტად საინტერესოდ ილაპარაკა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

ამავე ხანებში გაეცნო ლუარსაბი გურგენიჩების ოჯახს და მასთან ურთიერთობამ თვალსაჩინო როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. ოჯახის უფროსი, ცნობილი პედაგოგი იაკობ გურგენიჩი, მოწინავე იდეების კაცი იყო. მან მოაწყო გიმნაზია, რომელსაც თავისი პროგრესული მიმართულების გამო ინტელიგენციაში დიდი მოწონება ჰქონდა. იგი, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი კითხულობდა ლექციებს შუა საუკუნეების ისტორიაში და გარდა ამისა რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ პედაგოგიურ ჟურნალს „რუსკაია შკოლა“-ს. გურგენიჩების უფროსი ასული, დიუბოვ, ცნობილი მწერალი და თეატრის მცოდნე სტანისლავსკის იდეების დანერგვას უწყობდა ხელს. იგი სულ ახალგაზრდა იყო, როდესაც 1891 წელს სქელტანინი ლიტერატურული ჟურნალის „სევერნი ვესტნიკ“-ის გამოცემას შეუდგა. ამ ჟურნალს მხარს უჭერდნენ ა. ჩეხოვი და ლ. ტოლსტოი. მასში ახალგაზრდა მ. გორკი იბეჭდებოდა. ჟურნალის იდეური შთამბეჭებელი იგივე აკიმ ვოლინსკი იყო — ლიტერატურულ-ფილოსოფიურ წრეს რომ ხელმძღვანელობდა. ვოლინსკის წყალობითვე იყო, რომ ლუარსაბი ეზიარა „სევერნი ვესტნიკის“ საღამოებს, სადაც პეტერბურგის ლიტერატურულ-მხატვრული ინტელიგენციის მშვენიერა იკრებიებოდა

ხოლმე. ამ გზით დამყარდა ლუარსაბის ნაცნობობა ა. გურგენიჩის ასულებთან — დიუბოვთან, ეკატერინესთან, უმცროს და ანასთან, რომელიც თავის დროზე ბოლშევიკების პარტიის აქტიური წევრი გახდა.

გურგენიჩებთან დაახლოებამ ხელი შეუწყო ლუარსაბის ლიტერატურული გემოვნების დახვეწას და უკეთ ჩაახელა იგი იმ ამოცანებში, რაც მაშინდელი რუსული მხატვრული ლიტერატურის წინაშე იდგა. მისმა კეთილშობილურმა ქცევამ, თანაგრძნობამ და მომხიბვლელივით მალე მოინადირა ყველას გული გურგენიჩების ოჯახში და ლუარსაბი მათ ძალიან გაუშინაურდა. მასი კავშირი ამ ოჯახთან დღითი დღე მტკიცდებოდა და ბოლოს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1899 წლის შემოდგომით ლუარსაბმა შუათანა და ეკატერინე ცოლად შეირთო.

იგი მეუღლის არჩევანში არ მოტყუებულა. ეკატერინე განათლებული და იმეათი სულიერი იღვწის ქალი იყო. მართალი, ცბიერებას მოკლებული, ნივთიერი კეთილდღეობის არადაჩამკვდები, მორიდებული, მომთმენი და მეტად სათნო ურთიერთობაში, ეს თვისებები ქალი, როცა საქმე პრინციპზე მიდგებოდა, შეუვალ სიმტკიცეს იჩენდა; ხოლო თუ წინეობრივი მოთხოვნა იდგებოდა უნდა შებღალთულიყო, ამჯობინებდა მსხვერპლი გაეღო, ოღონდ კომპრომისზე არ წასულიყო. მთელი ცხოვრების მანძილზე, მეტადრე მოწინააღმდეგე თვალსაზრისითა დაპირისპირების ვითარებაში, მეუღლე ნიდავ ბურჯად მხარში ედგა ლუარსაბს, საიმედო მოწიარე იყო იმ წინეობრივი პოზიციის გამოუმუშავებისა, რომელსაც იგი იჭერდა ხოლმე რთულ ვითარებაში, თავის პროფესიულ და სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ლუარსაბი ადვოკატურაში შევიდა, ჯერ ნაფიც ვეჟილ ვატსონთან ჩაეწერა თანაშემწედ, ხოლო შემდეგ თანაშემწედ მუშაობდა ვინავერთან. ახალგაზრდა ადვოკატს უჭირდა, პროფესიული შემოსავლით ოჯახს ვერ ინახავდა და იძულებული გახდა კერძო გაკვეთილებით ხელი მოეწავებინა, თავის სიმამრის გიმნაზიაში კლასის დამრიგებლობაც კი ეჭირა; მასვე ევალებოდა შეეგესო სხვა მასწავლებლებისაგან გაცდენილი გაკვეთილები ბასით ნაირგვარ თემაზე. ლუარსაბმა მალე დაინახა თავი გიმნაზიას, ამჯობინა ადვოკატურასთან ერთად იურისკონსულტობა დაეწყო (მას სხვადასხვა დროს ვხვდავთ საქალაქო გამგეობის იურისკონსულტად ბაქოში, პეტერბურგსა და ბათუმში). ადვოკატობის პირველ წლებში მან ხელი მიჰყო ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნასაც — თარგმნა და გამოაქვეყნა რუსულად კუნო ფიშერის შრომა



დეკარტის შესახებ. მაგრამ სულ მალე გამო-
 ავყვითა მისი მოღვაწეობის მთავარი ხაზი. იგი
 სულ უფრო ხშირად მონაწილეობს პოლიტიკურ
 ხასიათის პროცესებში და ნიჭიერი მადლებული
 პოლიტიკურ დამცველებს შორის იხსენიება. ლუ-
 არსაბის ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვანსა
 და ბრწყინვალე ხანას, რომელმაც მას გამოჩე-
 ნილი იურისტისა და მეფის თვითმპყრობელო-
 ბის მტარვლობისაგან რევოლუციონერების უან-
 გაროთა და თავდადებით დამცველი საზოგადო
 მოღვაწის სახელი მოუხვეჭა, — მიძღვნილი
 აქვს თინათინ წერეთლის მონოგრაფია; იგი სა-
 დაცაა მკითხველს ხელთ ექნება და ამიტომ ამ
 საგანზე აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებ.

IV

თებერვლის რევოლუციამ ძირფესვიანად შეც-
 ვალა ლუარსაბის ცხოვრება. საქმედეგი თვით-
 მპყრობელობა დაიქცა, საპყრობილეთა კარი
 გაიღო. დაბრუნდნენ გადანასახლები პოლიტი-
 კური პატარები, თავისუფლებას ეღიროსნენ
 ისინიც, ვისაც სასამართლოში ლუარსაბი იცავ-
 და და ბევრი ის, ვინც სახრჩობელასაც გადაარ-
 ჩინა. ლუარსაბი სინარულით შეეგება რევოლუ-
 ციას, აღსრულდა მისი დიდი ხნის ნატვრა. ამ
 ბოლოქარ დღეებში მრავალმა ინტელიგენტმა
 ვერ აუღო ადლო შექმნილ სოციალ-პოლიტიკურ
 ვითარებას, ვერ შეიძინა თუ როგორ წარიმარ-
 თებოდა მოვლენები. მათ ვერ შეიშინეს, რომ
 არ შეიძლებოდა რევოლუცია შუა გზაზე შეჩე-
 რებულყოფო, რომ მან გამოადგინა ხალხს, შთა-
 ბერა მას დევგმირული ძალა და კანონზომიერი
 იყო ამ ძალას მთელი საზოგადოება ძირფესვი-
 ნად გარდაეჭვნა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომ-
 ლებიც საღად აფასებდნენ შექმნილ ვითარებასა
 და მომხდარ ძვრებს და კარვად გრძნობდნენ სა-
 ზოგადობრივი განვითარების ახალ ტუნდენ-
 ციებს. ლუარსაბი სწორედ ერთი ამათაგანი
 იყო მეტად მეტყველ სურათს გვიხატავს
 საამისოდ მწერალი ექტორ ოგოლევეცი.
 ეს არის მწარე საუბარი ლურსაბსა და მის ყო-
 ფილ თანაშემწეს, ნაფიცი ვეჭილობის სტაჟიორ
 კერენსკის შორის, რომელიც ამ დროს უკვე
 დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი იყო.
 ამ კამათში ერთმანეთს შეეჯახნენ ხალხის ინ-
 ტერესებს მოწვევებილი გაქნილი კარიერისტი და
 პოლიტიკანი, მოლაყებ დემაგოგი და ბრძენი
 ადამიანი, რომელიც მახვილი თვალთ უკვირ-
 დებოდა და ღრმად სწვდებოდა მაშინდელ მოვ-
 ლენებს.

„ადოკატ სტაროკოვისას ჩაის მაგიდას ვუს-

ხედვართ, — მოგვითხრობს ვ. ოგოლევეცი, —
 ქვეყანაში დატრიალებულ ამბებზე ვსჯელობთ,
 იმაზე თუ საით წარიმართებთან ისინი, თვითონ
 მასპინძელი პასიანსით ერთობა. ანდრონიკოვი
 ადოკატ დემიანოვის მეუღლეს, ულამაზეს ოლ-
 და ნაუმოვნას ემუსაიფება. მიხეილ გილიამოვი
 ბერენშტამი³ დროდადრო თავისებურ მახვილ
 სიტყვას გამოუტრევს და საერთო ხარხარს იწ-
 ვებს. დერეფანში გაბმულად ნაწყვეტ-ნაწყვეტ⁴
 ზარის ხმა ისმის, თითქოს სადმე ხანძარი გაჩე-
 ნილიყო. წუთი და ოთახში ტყვიასავით კე-
 რენსკი შემოვარდა, სწორედ რომ შემოვარდა,
 სხვანაირად ვერ იქმის. მარჯვენა ხელი სახვევ-
 ზე ჩამოკიდებული აქვს. შავი კურტაკი, მარცხე-
 ნა სახელოში ხელდაყრილი, მარჯვნიდან მხარზე
 აქვს წამოვადებული. ყველას მარცხენა ხელს
 ართმევს, სწრაფად და მაღალი ხმით ლაპარა-
 კობს. როცა ის ოთახშია, სხვას ხმას აღარ ამო-
 დებინებს. თავისი თავის გარდა ყურს არავის
 უგადავს. ახლაც ერთი კი ჩამოჯდა, მაგრამ მა-
 შინვე წამოიჭრა და სასადილოში აქეთ-იქით
 ხიბილი დაიწყო. მისვლა წამოხსნაროლი სიტყ-
 ვებით კაცი მიხვდებოდა, რომ ეს-ეს არის სა-
 ხელმწიფო სათათბიროდან მოსული, ერთი წა-
 მით თავისთან შეჭრილა (იმავე სახლში ცხოვ-
 რობდა) და აქ გამოქცეულა. მანამდე კი მინის-
 ტრია ხატვის სხდომა ჰქონია, უცხოური მონ-
 პოლიების წარმომადგენლები სწევინა...

და კიდევ კრონშტადტშიც ყოფილა, სადაც
 მას მეზღვაურები შეხვედრიან.

— უნდა გენახათ ეს შეხვედრა, — სხაბა-
 სხუბით გაძვიროდა იგი, — ერთი იქ უნდა
 ყოფილიყავით!.. მაშინ თქვენ, ლუარსაბ ნიკო-
 ლოვის-ძევ, ვეღარ იტყოდით, კერენსკი ყბელი
 და ქარაფუტააო... მჭიდროდ შემომეხვეინენ,
 ყველა ამ ყოჩად ბიჭს, გინდა თუ არა, ჩემთვის
 ხელი სურდა ჩამოერთმია... მეც, რაღა თქმა უნ-
 და, არ ვუარობდი, კეთილი... მაგრამ ბოლოს ისე
 დამიჭყლიტეს თითები, რომ ხელი გამისციდა და
 დამიბოჟდა, და იძულეული ვავხდი ჩამომება...
 მერმე მოჰყვა ლაპარაკს, „საბოლოო გამარჯ-
 ვებადმდე“ უნდა ვიომოთო...

ანდრონიკოვი ლამობდა დაემტკიცებინა მის-
 თვის, თუ რაოდენ უთავბოლო იყო ეს ლო-
 უხუნი.

— და თუ გიფიქრათ, ალექსანდრ ფეოლო-
 როვიჩი, ვინ არის თქვენს გარდა, ვინც ომზე
 თავს დასდებს? — ეკითხებოდა იგი. — შეიგ-
 ნეთ, ჯარისკაცებს ომი აღარ სურთ... თქვენ გინ-
 დათ დააჯეროთ?.. მაგრამ თქვენი შეგონება ერ-
 თი წამით სჭრის. ისინი „ურა“-ს გაიძახიან,
 თქვენს დემაგოგიურ ლათაიებს რომ უსმენენ,

³ ცნობილი პოლიტიკური დამცველი.

ნამდვილად კი მშვიდობისა და პურის მეტი არა უნდათ რა... „მთავარდამყოფილები“ („Главнотоваривающий“) ტყუილად კი არ შეგარქვეს...

— თქვენ ასე მხოლოდ იმიტომ მსჯელობთ, — უბახუბა კერენსკიმ, — რომ არაფერი გინახავთ და გსმენიათ. ერთი ნახეთ, ჩემო კარგო, ჭარისკაცები ჩემს გამოსვლებს როგორ ეხმაურებიან, სწორედ რომ ხელით მატარებენ... და ეს განა შემთხვევითია, არა, ბიძა, ხალხი — ჯარი ხალხისაგან შედგება და მე მწამს მათი... აი გინახავთ, ვისი გაიტანს. ვითარცა მთავარსარდალი, ხვალვე ფრონტზე მივდივარ და თვითონვე წაუძღვები ჩემს ლეგიონებს საიერიშოდ... ეს გადამწყვეტი ბრძოლა იქნება და თქვენ ნახავთ, გერმანელები როგორც მოკურცხლავენ...

— ყველასათვის, თქვენს გარდა, სრულიად ცხადია, — წყნარად მიუგებდა ანდრონიკოვი, — რომ რევოლუცია არსებითად ომის დასრულებას ნიშნავს, მაგრამ ეს, ეტყობა, სათქვენო არ არის და თქვენს უგუნურ გეგმებს არ ეგუება... თქვენ, ვგონებ, მართლაც ნაპოლეონობას იჩემებთ, მისი მიხვრა-მოხვრაც კი შეგითვისებიათ, ცალი ხელი კურტაკის უბეში გაქვთ, მეორე ზურგს უკან დაგიჭერიათ... ოღონდ ეს როლი სათქვენო არ არის... მოვა და სიტყვა არას გიშველით, საქმე ის არის, მოვლენების არს საღი გონებით სწვდებოდეთ... და თქვენ გგონიათ, ვითომ თქვენი თავის განდიდებით რუსეთის ბედ-იღბალი გადაიჭრება?..

ასე ამბობდა ანდრონიკოვი და კერენსკის თანდათან რისი აკლდებოდა. მას ახსოვდა, რომ ამას ეუბნებოდა ის კაცი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მას, როცა იგი ადვოკატურაში სტაჟირობას ეწეოდა.⁴

თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებიდან ლუარსაბის ძირითადი საქმიანობა იცვლება. თუმცა იგი კვლავ განაგრძობს ადვოკატობას, მაგრამ ამას მისთვის უწინდებური მნიშვნელობა აღარა აქვს. ლუარსაბი მიიწვიეს მონაწილეობა მიეღო საკანონმდებლო კომისიაში, რომელიც დროებითა მთავრობამ 1908 წლის სისხლის სამართლის სჯულდების გადასახიჩად და გასახლებლად ჩამოაყალიბა. კომისიის წევრებად ცნობილი სწავლული კრიმინალისტები იყვნენ — ა. კონი, ნ. ტაგანცევი, ა. უილიენკო, ი. ლიუბლინსკი და სხვანი, მასში ცნობილი ბრაქტიკოსი იურისტებიც მონაწილეობდნენ. ლუარსაბს დაევალა სჯულდების ორი თავი მო-

ემზადებია — პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ დანაშაულთა თავები.

1917 წლის აპრილში დროებითა მთავრობამ ლუარსაბი დანიშნა სენატის წევრად, ისეთ გამჩენილ სწავლულ იურისტებთან ერთად, როგორიც იყვნენ: სამართლის თეორიის სპეციალისტი პეტრაჟიციკი, ცივილისტი პროფესორები ლაშბაროვი და გრიმი, სამართლის ისტორიკოსი დიაკონოვი და სხვები. როდესაც ლუარსაბი საბჭოთა საქართველოში გადმოსახლდა და 1928 წელს მისთვის სამეცნიერო წოდების მინიჭების საკითხი წამოიჭრა, ლაშბაროვი თავის ხათხათად წარდგინებაში წერდა: „მე შემიძლია ვითარცა თვითმნილველმა დავადასტურო, რომ მთელი სენატი, თავისი დეპარტამენტის ხელმძღვრე, განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა ხოლმე ანდრონიკოვს და როგორც წესი ეთანხმებოდა კიდევ“.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ძველი სახელმწიფო აპარატი, მოშალა ყველა მისი დაწესებულება და წესები და საფუძველი ჩაუყარა ახალ, კაცობრიობის ისტორიაში მანამდე უნახავ საბჭოთა სახელმწიფოს. საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მთელი საზოგადოების გარდაქმნის ამოცანა დასახა, ესაჭიროებოდა მუშაკები, რომლებსაც ამ ამოცანის გაგება შეეძლოთ და უნარი შესწევდათ თავისი საქმიანობის განსახორციელებლად წარემართათ. იმ დროს ინტელიგენციის ერთი ნაწილი მტრულად იყო განწყობილი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ან ცხადად ებრძოდა მას; ანდა საბოტაჟს მიმართავდა; ბევრი „უკეთესი დროის“ მოლოდინით, უცხოეთში გადაიხვეწა. ინტელიგენციის მეორე ნაწილმა შეიგნო ოქტომბრის რევოლუციის არსი და მნიშვნელობა, შეიცნო მოვლენათა კანონზომიერება, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის მოწოდებას პირველი ქვეყანა გამხდარიყო, რომელიც სოციალიზმისა და შემდგომ კომუნისმის მშენებლობის გზას განუხრებლად დაადგებოდა.

ერთ აზრზე არც ყოფილი პოლიტიკური დამცველები იყვნენ, მათგან ოქტომბრის რევოლუცია მხოლოდ მცირე ნაწილმა გაიზარა, ხალხის ინტერესებს არ უღალატა და საბჭოთა ხელისუფლების გულწრფელ თანამშრომლობაზე დასდო თავი. „...ოქტომბრის რევოლუცია, — წერს ყოფილი ნაფიცი ვეჟილი, ხოლო შემდგომ ცნობილი საბჭოთა სწავლული იურისტი ბ. უტევსკი, — ის სასინჯი ქვა გამოდგა, რომელსაც მხო-

⁴ ვიქტორ ოგოლუვეცის მოგონებების ეს ნაწყვეტი ლუარსაბის ვაჟმა ირაკლიმ წაიკითხა 1963 წლის 21 თებერვალს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც მისი მამის დაბადების 90-ე წლისთავს მიეძღვნა.



ლოდ თითო-ორიოა პოლიტიკურმა დამცველმა გაუძლო. მათ ლ. ანდრონიკოვიც ეკუთვნის“.⁵

თავის მოგონებებში ბ. უტევსკი ავგოწერს ყოფილი ნაფიცი ვეჟილები და მათი თანაშემწეების სხდომას, რომელიც „სასამართლოს შესახებ“ 1917 წლის 24 ნოემბერს გამოცემული დეკრეტის გამო სასწრაფოდ მოეწყო. ამ დეკრეტით მეფის სასამართლოსა და პროკურატურასთან ერთად ადვოკატურაც უქმდებოდა. ბ. უტევსკის ცნობით ბევრი დამსწრის სახეზე შიში, გაბოროტება და უიმედობა ამოიკითხებოდა, ხოლო წარმოქმნილ სიტყვებში რევოლუციის, ბოლშევიკებისა და საბჭოთა ზელაუფლების სიძულვილი გამოხატულია: „ხოლოდ რამდენიმე დიდი ადვოკატი იყო, — წერს ბ. უტევსკი, — რომლებიც ამ გამხეცბული ხალხის ორგანიზაციაში არ გარეულა. მე ლ. ანდრონიკოვის შორიანლას ვიგეტი და მის მოღუშულ მტყველ სახეს ვუყურებდი. იგი დუმდა, მაგრამ დიდი გულთამხილაობა არ უნდოდა იმის შეტყობას, რომ ეს სანახაობა არაფრად ებიტნავებოდა. ხანგამოშვებით ვატყობდი, მის სახეზე ზიზღი აღებუტებოდა. კადეტთა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, საქმაოდ ცნობილმა იოსებ გესენმა, რომელიც ამ კრებას თავმჯდომარეობდა, შეპარვით გააჩინა თავისი მოჩმახული დადგენილება კონტრრევოლუციური შინაარსისა. „დადგენილების კენჭის საურელად გატანა გესენმა ვერ გაბედა, — წერს ბ. უტევსკი. — მას აფრთხობდა წარბშეკრული ნიშშვიდ და მღუშარე გულისწყრომა ისეთი დიდი ადვოკატებისა, როგორიც ლ. ანდრონიკოვი, ძმები მ. და ვ. ბერენშტამები, ვ. ბობროშჩევიშვინი და ნ. სოკოლოვი იყვნენ. გესენი და სხვები ეტყობა, შიშობდნენ, რომ პეტერბურგის ადვოკატურის კორიფები ალაპარაკდებოდნენ და მათ უწმინდურ დადგენილებას ჩაშლიდნენ“.

სასურსათო კრიზისმა, რომელიც 1918 წელს გამწვავდა, აძულა ლუარსაბი ლენინგრადს გასცლოდა. ოჯახითურთ ცოდისძმა იაკობ იაკობის ძე გურგენის შეეკედლა, რომელმაც იმ ხანებში მიიღო მიწის ნაკვეთი, შრომითი ნორმა, თავისი დედის, ილინის ასულის, ყოფილ მამულში, ტულის გუბერნიაში. ლუარსაბი, რომელიც არასდროს არავითარ სამუშაოს არ თაკილობდა, სახოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაება. ამავე დროს იგი თარგმნიდა რუსულად გერმანელი ავტორების იურიდიულ თხზულებებს. მასთან თარგმნა მან ენეკტრუხის დიდატიანის შრომა „გერმანული სამოქალაქო სამართლის კურსი“ და ოტო მაიერის „დამინისტრაციული სამარ-

თალი“.

1919 წლის დასაწყისში ლუარსაბი მიდის ტულაში და იწყებს მუშაობას იურისკონსულტად და თანაც — ლექციების კითხვას ახალ ფილოსოფიაში ტულის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამას მართო იმის სურვილი როლი უყარნახებდა, რომ ოჯახი ნივთიერად უზარუნველყო (ხელფასის გარდა იგი სასურსათო უზღუფასაც იღებდა, რაც იმ დროს უფრო ფასობდა), არამედ აგრეთვე მოთხოვნილებით, რომ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს თავისი პროფესიული და სამეცნიერო ცოდნითაც გამოხდგომოდა.

იწყება ახალი, მანამდე დიდად განსხვავებული ხანა ლუარსაბის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მან დირსეულად ადასრულა თავისი ვალი რევოლუციონერებისა და პროგრესული მოღვაწეების დაცვით. ამიერიდან იგი სამუდამოდ ზელს იღებს ადვოკატობაზე და მისი მოღვაწეობა ორი მიმართულებით ვითარდება, ერთი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობაა, მეორე საკონსულტაციო, რომელიც საბჭოთა უმაღლესი და სამეურნეო ორგანოების მომსახურებას გულისხმობს. 1920 წლის ბოლიდან ლუარსაბი ოჯახსანად მოსკოვში ბანაკდება, მუშაობს რსფსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი სამქვის იურისკონსულტად და სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს სასამართლო მჭევრმეტყველებაში.

როცა 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, წამოიჭრა საქითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტიც დაარსებულიყო. ამის გამო უნივერსიტეტმა მიიარა ლუარსაბს, საქართველოში წამოსულიყო და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის (თუ განყოფილების) შექმნის მოწიარე გამხდარიყო. იგი მხურგამდე გამოეხზაშურა ამ მოწოდებას და სამუდამოდ სამშობლოში გადმოსახლდა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენში იურიდიული განათლების მოწყობა-წარმართვაში, ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების აღზრდა-მოზადებაში, ქართული სამართალმცოდნეობის განვითარებაში. მრავალი წელი მოღვაწეობდა იგი ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესსა და სამეურნეო ორგანოებში, როგორც კონსულტანტი. მაგრამ მთელი ეს მრავალმხრივი დაუცბრომელი საქმიანობა, რომელსაც ლუარსაბმა თავის სიცოცხლის ორი ათწლეული შეაღია, უკვე დამოუკიდებელ თემას შეადგენს, საგანგებო და დრმა შესწავლას მოითხოვს.

⁵ პროფესორ ბ. უტევსკის მოგონებებიდან, რომლებიც მან თინათინ წერეთელსა და მე გაღმოეკცა.

ქართული იუკისჯი ქაღები

ბ. ხარბიშვილი

იურისტის პროფესიის მიღების უფლება ქალმა მხოლოდ გასული საუკუნის ბოლო წლებიდან მოიპოვა. თუმცა ჩვენს პლანეტაზე დღესაც არის სახელმწიფოები (არა მარტო აზიასა და აფრიკაში, დასავლეთ ევროპაშიაც კი), სადაც ქალს ეს უფლება არა აქვს.

ბურჟუაზია ყველა ღონისძიებას მიმართავდა, რათა ქალი არ გამოსულიყო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე. ქალის უფლებების შეკვეცის მიზნით ბურჟუაზიის მეცნიერებამ დაიწყო მტკიცება თითქოს ქალის აზროვნება სუსტი იყოს, თითქოს ქალს შემოქმედებისათვის არ ჰქონდეს საკმარის ინტელექტი და სულიერი ძალები. ფიზიოლოგი ბიშოფა ამ დებულების დამტკიცებას ცდილობდა ფიზიოლოგიის კანონებით, ლომბროზო — ანტროპოლოგიით, შოპენჰაუერი — ფილოსოფიით და ასე შემდეგ. ბურჟუაზიას ისიც კი დასჭირდა, რომ აეწონა ქალის ტვინი და შეედარებინა კაცის ტვინის წონასთან. ასეთი ექსპერიმენტი ბავარიაში ჩაატარა ბიშოფმა, ინგლისში ბოიდუმ, შვეიცარიაში რეციუსმა.

ავგ. ბებელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქალის დამონება უფრო ადრე მოხდა, ვინემ მონობა დაკანონდებოდა“. ყველა ეპოქის ექსპლუატატორები ცდილობდნენ ქალის დაკანონებას და დამცირებას, ქალი კი კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე შეუბოვრად ამტკიცებდა თავისი ინტელექტის და სულიერი ძალების თანაფარდობას მამაკაცთან — საფო, დიოტიმა, ვიპატია ალექსანდრიელი, მადამ როლანდი, მარია უოლსტონკრაფტი, ოლიმპია გემუჟი, ყანა დარკი, ჟორჟ სანდი, სოფია პეროვსკაია, ვერა კოვალევსკაია, როზა ლუქსემბურგი და მრავალი სხვანი, პრაქტიკულად ამტკიცებდნენ მაღალ ინტელექტის ძალას. ფეოდალიზმის ეპოქაში, როდესაც ქალს საერთოდ აკრძალული ჰქონდა სახელმწიფოს ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (გარდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესით მიღებისა), ქალები მაინც ახერხებდნენ სახელმწიფოში დიდი თანამდებობის მოპოვებას. XVII საუკუნის ბოლოს ფილიპე V მეფობის წლებში ფრეილინა მარია ტრემულიო 13 წელი, როგორც პირველი მინისტრი, წარმატებით მართავდა ესპანეთის მთელ პოლიტიკურ საქმიანობას, ასეთივე როლი ითამაშეს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლუდოვიკო XIV და ლუდოვიკო XV მეფობის დროს მენტენონმა და პომპადურმა.

ინგლისელებს ისეთი დიდი წარმატებები ჰქონდათ მეფე ქალების მეფობის დროს, რომ როდესაც გარდაიცვალა ინგლისის დედოფალი ვიქტორია, ლორდთა პალატის ერთმა წევრმა მთელი სერიოზულობით დასვა საკითხი რათა ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლება მხოლოდ ქალებზე განხორციელებულიყო.

ბურჟუაზია ამტკიცებდა ქალის ინტელექტის სისუსტეს, მაგრამ XIX საუ-

კუნის მიწურულში სწორედ ქალმა მარია კიურიმ (თავის ქმართან პიერ კიურისთან ერთად) გადაჭრა მეცნიერებაში უდიდესი პრობლემა, პირველმა გამოიკვლია ატომბირთვის რთული აღნაგობა და შესაძლებელი გახდა ატომის ენერჯის გამოყენება. ამის შემდეგ ბურჟუაზიამ დაყარა ფარ-ხმალი და იძულებული გახდა ქალისათვის გაეხსნა გზა მეცნიერებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეფის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქალები იურიდულ განათლებას არ ეტანებოდნენ, რადგან არ იყო მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა. ქალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი. არც 1864 წლის სასამართლო რეფორმამ გაუხსნა გზა ქალებს იუსტიციაში, ნაფიც ვეჟილთა წოდების დებულებით, რომელიც სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით შეიქმნა რუსეთში, ქალს უფლება არ ჰქონდა ემუშავა ადვოკატად. ასევე იყო საქართველოში და მთელს კავკასიაში. ოქტომბრის რევოლუციამდე მამაკაცებთან ერთად ბევრმა ქართველმა ქალმა მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთის თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები გახდნენ, მაგრამ არცერთ მათგანს იურიდიული განათლება არ მიუღია.

ჩვენს ქვეყანაში ქალს უფლება აქვს იყოს იურისტი. ეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია. ოქტომბრის რევოლუციამ პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოახდინა ქალის სრული ემანსიპაცია და იგი უფლებრივად გაათანაბრა მამაკაცთან. რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პირველი ღონისძიებანი იუსტიციის დარგში, როგორც იყო 1917 წლის 22 ნოემბრის „დეკრეტი № 1 სახალხო სასამართლოების შესახებ“, 1918 წლის 30 იანვრის „დეკრეტი № 2“ და 1918 წლის 30 ნოემბრის „დებულება სახალხო სასამართლოების შესახებ“, იუსტიციის ორგანოებში მუშაობის უფლებას ანიჭებდა ორივე სქესის წარმომადგენლებს. პირველმა, საბჭოთა კონსტიტუციამ, რომელიც დაამტკიცა 1918 წლის 10 ივლისს სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობამ, ერთხელ და სამუდამოდ დააკანონა ქალის თანწორუფლებიანობა მამაკაცთან.

ქართველი ქალები იურისტის სპეციალობის დაუფლებას შეუდგნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1922 წელს დაარსებულ სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის პირველ გამოშვებისთანავე. ქართველი იურისტების პირველი აღმზრდელები იყვნენ დიდი მეცნიერი პედაგოგები: ლ. ანდრონიკაშვილი, კ. კეკელიძე (ბიზანტიის სამართალი), დ. უზნაძე (ფსიქოლოგია), გ. ჩუბინიშვილი (კულტურის ისტორია), გ. ნანეიშვილი, გ. რცხილაძე, ი. ტატიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი (ზოგადი სტატისტიკა), ა. ვაჩიეშვილი, გ. პოლიევქტოვი (საბჭოთა ხალხთა ისტორია), შ. ნუცუბიძე (სამართლის მოძღვრებათა ისტორია), გ. ნათაძე (საქართველოს ისტორია), რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა ქართველ იურისტთა პირველი თაობები, როგორც მეცნიერებისათვის, ისე პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ქართველმა იურისტმა ქალებმა თავიდანვე საპატიო ადგილი დაიკავეს მეცნიერებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მოღვაწეობდნენ როგორც მოსამართლენი, პროკურორები, გამომძიებლები, ადვოკატები, ნოტარიუსები, იურისკონსულტები. ქალის იუსტიციის ორგანოებში აქტიური მონაწილეობის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: საქართველოს საბ-

ჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დღეს 164 სახალხო მოსამართლეა, რომელთა შორის 29 ქალია. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს 42 მოსამართლიდან 8 ქალია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ რამდენი იურისტი ქალი მუშაობს დღეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის სისტემაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იურისკონსულტანტებად, რამდენი იურისტი ქალი მოღვაწეობს თბილისის უნივერსიტეტში, რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, გამოვა, რომ დღეს ჩვენს რესპუბლიკაში სახეზეა იურისტ ქალთა მთელი არმია.

თბილისის უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის პირველსავე გამოშვებაში იყვნენ ქალებიც, რომელთაც ფაკულტეტი იურიდიული განხრით დაამთავრეს. ესენი იყვნენ: ქსენია ჯიმშელიშვილი, ანიკო კორძია, რომლებიც შემდეგ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურნენ ქართული საბჭოთა ადვოკატურის საზოგადოებრივ და ზნეობრივ იდეალებს. პირველთა შორის იყო ლ. ანდრონიკაშვილის საყვარელი მოწაფე, შემდეგში ცნობილი ქართველი ლიტერატორი ფატმან გოკიელი.

ფ. გოკიელმა, პირველმა ქართველ იურისტ ქალთა შორის, დაწერა იურიდიული მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომა, იმ წლებისათვის იურიდიულ მეცნიერებაში შეუსწავლელ პრობლემაზე — „სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთების (ზღვევები, მდინარეები, წყაროები) იურიდიული ბუნება“, თუმცა დაცვა არ შემდგარა. მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო სამართლის, კერძოდ, რომაული სამართლის, ისეთი სახელმძღვანელოს მომზადებაში, როგორიც იყო უნივერსიტეტის მიერ 1928 წელს გამოცემული ცნობილი ვერმანელი ცივილისტის დერნბურგის „პანდექტების“ პირველი ტომის გამოცემა. აი, როგორ ახასიათებდა „პანდექტების“ ქართული გამოცემის რედაქტორი პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი ფ. გოკიელის ღვაწლს: „სრულიად განსაკუთრებული როლი ერგო ამ მუშაობაში ფატმან გოკიელს, რომელიც ჩემთან ერთად თავიდან ბოლომდე სიტყვა-სიტყვით ადარებდა ქართულ ტექსტს რუსულთან, რუსულ ტექსტს გერმანულის მეშვიდე გამოცემასთან, ე. ი. ორიგინალთან და უკანასკნელს კი მერვე ახლად გამოცემულ ტექსტთან.“¹ სამწუხაროა, რომ ეს ფრიად ნიჭიერი და დიდი მომავლის იურისტი ქალი იძულებული გახდა ადრევე ჩამოშორებოდა იურიდიულ მეცნიერებას. ფ. გოკიელი 1933—1936 წლებში თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში თეატრის ისტორიას ასწავლიდა, 1941 წელს უნივერსიტეტში დაამთავრა ასპირანტურა ლიტერატურისმცოდნეობის განხრით. 1939—1952 წლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, კითხულობდა რუსული და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიას, იყო რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის და უცხო ენების კათედრების გამგე, უცხო ენათა ფაკულტეტის დეკანი, 1948 წელს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „აღორძინების ეპოქის ფრანგული სოციალ-პოლიტიკური ლირიკა“ და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1952 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა თბილისის უცხო ენათა და

¹ დერნბურგი — „პანდექტები“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1928 წ. გვ. V.

პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, როგორც პედაგოგი და კითხულობდა საზღვარგარეთის ლიტერატურის კურსს.

ქართველმა იურისტმა ქალებმა ფრიად საპატიო ადგილი მოიპოვეს მეცნიერებაში. მათ შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ წერეთელი, რომლის დაბადების 70 წელი ახლახან საზეიმო ვითარებაში აღნიშნა რესპუბლიკის მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ.

თ. წერეთელი ერთერთი პირველი ქართველი იურისტი, რომელმაც იურიდიული განათლება მშობლიურ უნივერსიტეტში მიიღო და მისმა მეცნიერულმა შრომებმა აღიარება ჰპოვეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. დიდა თ. წერეთელის დამსახურება სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში. თ. წერეთელი ღირსეულად აგრძელებს თავისი მასწავლებლის პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის დაწყებულ საქმეს, იკვლევს სისხლის სამართლის ურთულეს და აქტუალურ პრობლემებს. თუ დღეს ქართული იურიდიულ აზროვნებას იცნობენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრები, ეს თ. წერეთლის მეცნიერული გამოკვლევების წყალობითაა. და მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს დიდი მეცნიერი იურისტი დღეს მოწყვეტილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, სადაც უნდა მომზადდეს ახალი მეცნიერული და პრაქტიკოს იურისტთა კადრები.

მეცნიერ იურისტ ქალთა შორის უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს სსრ აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თამარ ცაგურია, რომელიც ადრე მოღვაწეობდა ადვოკატურაში, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ სამოქალაქო სამართლის დარგში. თ. ცაგურიამ ფართო განათლებით, მაღალი კულტურით, პრინციპულობით, ობიექტურობით დაიმსახურა საყოველთაო პატივისცემა.

თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან დოცენტი მზია ლეკვეიშვილი, დოცენტი ნუნელი კორძაია-სამიდაშვილი, მასწავლებელი ვიოლა გეწაძე. დოც. მ. ლეკვეიშვილი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, რაც ახალგაზრდა მეცნიერის დიდი მეცნიერული და პედაგოგიური ავტორიტეტის მაჩვენებელია. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე მუშაობს პროფ. თ. წერეთლის მოწაფე, ახალგაზრდა იურისტი ქალი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნიბლია უგრეხელიძე, რომელიც მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სისხლის სამართლის დარგში. აქვე უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პლენუმის მდივანი, იურისტი ქალი ლამარა ისაყაძე, რომელიც წლების მანძილზე პრაქტიკულ საქმიანობას საუკეთესოდ უთავსებს მეცნიერულ კვლევას და ჟურნალისტიკას. იგი ავტორია საინტერესო გამოკვლევებისა საავტორო უფლების დარგში, ამავე თემაზე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა კიდევაც სადისერტაციო შრომა იურიდიული მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იგი ავტორია მთელი რიგი პორტრეტებისა, რომლებიც ქართველ იურისტ ქალებზე დაიბეჭდა ქართულ და რუსულ პრესაში.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტიმა ლილი გვარამაძემ საბჭოთა ბალეტის მომავალ ვარსკვლავებთან გ. ულიანოვასთან, ტ. ვიჩესლოვასთან და ვ. ჭაბუჯიანთან ერთად 1927 წელს დაამთავრა ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებელი და თბილისის ოპერის და ბალეტის პრიმა ბალერინა გახდა. 1928—1932 წლებში კი დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ხანმოკლე იურიდიული საქმიანობის შემდეგ შეუდგა ქართული ხალხური ცეკვების სოციალური გენეზისის მეცნიერულად გამოკვლევას. ამჟამად ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორია და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მოღვაწეობს როგორც პედაგოგი და მკვლევარი.

იმ იურისტ ქალთა შორის, რომლებიც სახელმწიფო ორგანიზაციებში მოღვაწეობენ, უნდა მოვიხსენიოთ თამარ დადიანი, ლიდა დადიანი, ნორა აბულაძე.

თამარ დადიანი ადვოკატურაში მოღვაწეობის შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტია რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟში მოღვაწეობს, თავდაპირველად, როგორც რეფერენტი, კონსულტანტი, შემდეგ კი სახელმწიფო არბიტრი. თამარ დადიანმა შესანიშნავად იცის სამეურნეო სამართალი, მაღალი კულტურისა და მრავალმხრივი განათლების მქონე ქალია. ასეთივე ნიშნებით ხასიათდება მისი უფროსი დის ლიდა დადიანის იურიდიული საქმიანობა, როგორც იურისკონსულტისა თბილისის მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებში. ნორა აბულაძე თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში წავიდა სამუშაოდ იურისკონსულტად და ორ ათეულ წელზე მეტია რაც ამ თანამდებობაზე მოღვაწეობს. თავდაპირველად იგი მუშაობდა ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის აღმასკომში, ამჟამად ოქტომბრის რაიონის აღმასკომის იურისკონსულტია. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც აღმასკომის კოლექტივში, ასევე სასამართლოს ორგანოებში სადაც მას ხშირად უხდება გამოსვლა.

საპატიო ადგილი დაიკავეს ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებში იურისტმა ქალებმა. ზემოთ ციფრებიც მოვიშველიეთ იმის ნათელსაყოფად, რაოდენ გაიზარდა დღეს იუსტიციის ორგანოებში ქალთა რაოდენობა. სასამართლოს და პროკურატურის ცხოვრებაში ქალთა მასობრივი ჩაბმა კანონზომიერია. ქალს თავისი სულიერი სამყაროს სიფაქიზით და მორალური სიწმინდით, საუკეთესოდ შეუძლია განახორციელოს სამართალი, და შემთხვევით არ იყო, რომ ანტიკურმა ბერძენებმა მითებში სამართლიანობა ქალმცემთა თემიდას სახით წარმოსახეს. მოსამართლის მოვალეობა მეტად მაღალი და რთულია. მას ცოცხალ ადამიანთან აქვს საქმე, მის ხელშია ადამიანის ბედი. ისე, როგორც დასტაქარს არა სწორი ოპერაციით შეუძლია დაღუბოს ადამიანი, ასევე მოსამართლის ერთ შეცდომას შეუძლია მოსპოს ადამიანი ფიზიკურად და მორალურად. მოსამართლის ყოველი განაჩენი თუ გადაწყვეტილება საზოგადოებრივი და მორალური მნიშვნელობის ფაქტია და ამიტომ მას ბევრი მოეთხოვება. მოსამართლისათვის არაა საკმარისი უანგარო სამსახური—პატიოსნება. მოსამართლეს ესაჭიროება ღრმა და ნათელი ინტელექტი, მრავალმხრივი განათლება, კანონის კარგი ცოდნა. იგი ვათვითცნობიერებული უნდა იყოს ფსიქოლოგიასა, სოციოლოგიასა და ეთიკაში. უნდა იყოს პრინციპული და ობიექტური.

ჩვენ გვყავს ქალები, რომლებიც მთელი შეგნებით და სულიერი სიწმინდით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან სოციალისტურ მართლმსაჯულებას. ასეთი მოსამართლე ქალთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ძველი ბოლშევიკი ნატალია სიხარულიძე, ნინო ერქომაიშვილი, მაყვალა ხუციშვილი, ლიზა ცაბულოვა, ეთერი ჩიქვინიძე, ნინო მირიანაშვილი, ანიკო ქუმსიშვილი, ლუბა ბრელიძე და სხვ. ნუ მიწყენენ თუ მათ საქმიანობას არ ვიცნობ.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში მომუშავე ქალთა შორის უნდა დავასახელოთ — თამარ ფოცხვერია, ვალენტინა შადური, თამარ თარაშვილი, ახალგაზრდები — მარია ქოსაშვილი და დალი იმნაიშვილი, რომელთა ყოველი ნაბიჯი სასამართლო პროცესზე თუ წინასწარ გამოძიებაში ხასიათდება კანონის ღრმა ცოდნით, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების დაცვით, ადამიანის ღირსების პატივისცემით.

სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელებაში დიდ როლს ასრულებს ადვოკატურა, რომლის რიგებში მამაკაცების გვერდით წარმატებით მოღვაწეობენ ადვოკატი ქალები — თამარ ხატიაშვილი, ლეილა ზედგინიძე, ცუცა თოფურია, თამარ ფაღავა, ეკატერინე ხარატიშვილი.

1975 წელი გამოცხადებულია ქალთა წელიწადად ჯამდება ჩვენი ქალების მიღწევები, რომელიც მათ მოიპოვეს საკოლმეურნეო მინდვრებზე, ქარხანა ფაბრიკებში, მეცნიერების და კულტურის დარგში. საქართველოს მოწინავე ქალთა შორის სამართლიანად ერთ-ერთი საპატიო ადგილი მიეკუთვნებათ იურისტ ქალებს, რომლებიც მთელი ცოდნითა და ენერგიით ემსახურებიან სოციალისტურ მართლმსაჯულებას.

მ რ ი ს კ ა ც ი

გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო კეცხოველს ამასწინათ წიგნისათვის — „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“ მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია. ბატონ ნიკოს დიდი დამსახურება მიუძღვის ერის წინაშე. მეცნიერი, მწერალი, სპორტსმენი, ჩვენი ფლორისა და ფაუნის ქომაგი, ენის მოჭირნახულე, ერისკაცი — ასეთად იცნობენ მას საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. არ შეიძლება დავივიწყოთ ის ღვაწლი, რაც ნ. კეცხოველმა დასდო ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მუშაობის პერიოდში იგი დაუცხრომლად ზრუნავდა ახალგაზრდა სწავლულ იურისტთა კადრების გამოზრდისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისათვის. მის ხელში გავლილი ჩვენი დარგის ბევრი სტუდენტი და ასპირანტი დღეს უკვე ცნობილი მეცნიერია.



ქართველ იურისტთა და მრავალრიცხოვან მკითველთა სახელით ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო კოლეგია მხურვალედ ულოცავს ბატონ ნიკოს დამსახურებულ ჯილდოს და უსურვებს დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს.

მკითხველებს ვთავაზობთ პრემირებული წიგნის ერთ ნაწყვეტს. იგი გარკვეულ ინტერესს აღუძრავს ყველას. მასში მოთხრობილია თუ წარსულში როგორ წყდებოდა სოფლად მივობლური კონფლიქტები, რა როლს ასრულებდა საზოგადოებრიობა, რათა ეს დავები დანაშაულში არ გადაზრდილიყო.

ხევისკაშოვა

პეპა სოფელში მოწინავე კაცი იყო, სოფლის თავკაცებში ითვლებოდა. ქვეთკირის სახლი ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიდგა, ყოველ შემთხვევაში, ბავშვობიდანვე მახსოვს მისი ორსართულიანი სახლი. დანარჩენ მეზობლებს მაშინ მიწური სახლები ჰქონდათ.

პეპა, ჩვეულებრივ, ჩუსტებს იცვამდა, გრძელ ახალუხს, იხურავდა ყალმუხის ქუდს.¹ კვირა დღეს კი ჩოხას იცვამდა, აზნაურთა წესის მიხედვით,² ხოლო ქამარ-ხანჯალს არ ატარებდა, იყო მშრომელი, უფრო დიდ ოჯახში სარიტის მიმცემი, ოჯახი დიდი ჰქონდა და, ასე ვთქვათ, წამსვლელ-მომსვლელის დამხვდური

1 ჩემი ბოლოების დროს, ე. ი. 1917 წლამდე, ქართლელი გლეხის სანიადგო ტანსაცმელი იყო კობით ამოსხმული ქალამანი, წინდა, პაიჭი, ზოგჯერ საცვეთიც იცოდნენ. შარვალი ლურჯი, ლაინისა, პერანგად თეთრი ნარმა ან მოწინწკალუი ჩითი, შავი ხალათი. ზევიდან სალდათის მაზარა (ნახპარი 2-3 მან. ღირდა, ახალი 5 მან.) უქმე დღეს ჩუსტი ან გორული თეთრი ქალამანი, ჭრელი წინდა, ჭრელი პაიჭი, სახლში ნაქსოვი შალის ლურჯი ან შავი შარვალი, მოკლე ახალუხი და ყარაჩოლული ლურჯი ჩოხა. ქუდი ნაბდისა, მაგრამ კახურ ქუდზე გაცილებით პატარა.
2 აზნაურნი იცვამდნენ წულა-მესტებს, უმთავრესად შავ შარვალს, გრძელ შავ ახალუხს, ჩოხას (შავი, ლევა, ზანგელა), რომელსაც მოსევადებული მასრები ჰქონდა, ან ძვლისა, ქუდი ყალმუნისა იყო. ქამარ-ხანჯალი ან სადა, ან მოსევადებული ვერცხლისა. ხელმოკლენი იცვამდნენ ჩუსტებს, ხანჯალსაც ყველა არ ატარებდა.

იყო. პური მის ძმას, ვასოს, მოჰყავდა, ის იყო გუთნიდელა, ოთხი უღელი ხარკამეჩი რომ შემოვიდა, არ მიიღო, ზეზეურად ხნავსო, როგორც მიწირია, ისე ვწირავო; „რკინი გუთნით მოვხნა და იმან სიმინდი ვერ მოიყვანოს, ხო იცი, სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიანო. მამაჩემმა რომ გაიგოს, საფლავში გადატრიალდებო“ — იტყოდა ხოლმე, როდესაც რკინის გუთანს შეუქებდნენ.

— არა, ისე ჩემი აშენებული გუთნით უნდა ვანგრიო მიწა...

ბიჭები წამოეზარდა, მაგათზე იყო ნათქვამი, დავწვრილშვილდი დავიწიე, დამეზარდნენ ავიწიეო. ბაღიც წამოესწროთ, ცოტაოდენი ფული გაუჩნდათ. ტყვიავსა, ქერესა და კარბს სახასო მიწები ბევრი იყო, თვალი დაადგეს. პეპა ხშირად დადიოდა ჩვენსა, მამაჩემს სთხოვდა, არზა დამიწერეო. მამა ამ საქმეში აქტიურად ჩაერია, „მამული გლეხმა უნდა ჩაიბაროსო“ და, მართლაც, საადგილმამულო ბანკის დახმარებით შეიძინეს.

პეპა გულმართალი კაცი იყო, მყვირალა, ყველას პირში მიახლიდა სიმართლესაც და მის მტყუნობასაც, მაგრამ ამავე დროს გულქართლი, უხვი კაცი იყო, სტუმართმოყვარე, მომღურავი თითქმის არა ჰყავდა.

გადამთიელი რომ ყოფილიყო, სახლში მიიწვევდა, სუფრას გაუშლიდა, გულს გადაუხსნიდა (მეზობლებსაც გადასძახებდა, მომხედეთ, მარტო კაცი პურისჭამამიაც ბრაღიაო. თვით კარს არავის აუტალახებდა, მობრძანდის კაცი თუ არ ეახლებოდა; შემთხვევით არ იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს (იმ წელს სოფელში დავრჩი) გამომეცხადა და მახარა: ხევის კაცებად აგვირჩიეს შენა, ჯაშაანთ ლექსო და მეო.

მე პირი დავადე.

— პეპა, მე რა ხევისკაცი ვარ, სოფლის ადათ-ჩვეულება...

— ეე... მაგას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა: ჯერ ერთი, სოფელიც იცი, მეორე — წიგნი იცი, ბრმებში ცალთვალეც სარდალიაო. მესამე, უბრალოდ ჩაყრილ ჯამთან ჯდომა არ გიყვარს. დათვი დათვსა ჰპატიებდა, სხვის ვენახში მიპყავდაო. ასეთ კაცს არ ეკარები, განა ვერა ვხედავთ!

მაინც უმეაფიქრიანა. ხევისკაცობა ნიშნავდა სოფლისათვის სამართლის მიცემას. ხევისკაცს ეკითხებოდა: წანახედი, მიწაწყალზე და მიჯნაზე დავა, ქურდობა, წყლის დახვევა, წყლის ქურდობა და ვინ იცის კიდევ რა.

— რატომ არა მკითხეთ?

— რო გვეკითხა, უარს იტყოდი. ახლა კი სოფლის გადაწყვეტილებას სად წაუხვალ? — და კეთილად გაიღიმა. რაღა მეთქმოდა, დავთანხმდი, სიძნელეზე ისევ პეპამ გამიკეთა გული, „ომში რა ჯობიან და ხელში რაც მოგხვდებო“.

ის-ის იყო, მზე გადაიხარა და ჩრდილი დაგრძელდა, რომ პეპა და ლექსო კარზე მომადგნენ, მათ ახლდა პაპიანთ მათე, რომელსაც ჩია ტანის გამო „მაჩვის ტაბიკს“ ეძახდნენ (მათეო, რომ გეთქვათ, ბევრი ვერც კი გაიგებდა, მაგრამ „მაჩვის ტაბიკი“ ყველასათვის ცნობილი იყო).

— პანტელაანთ კამეჩებს მათეს სიმინდი წაუხდენია, დამიხარიდან გაპარულან და ისეო.

— მერე და რა იციან, რომ სწორედ პანტელაანთ კამეჩებია?

— ამას რა ცოდნა უნდა, კვალის მიტანა ადვილია, ნაფეხური ხომ ისე წერს, როგორც შემი კალამი ქალაღზეო.

— კვალში ჩავუდგეთ და იმათ გუთანთან მიგვიყვანს...

— ჩემი კამეჩები არ იყვნენ, — უარობდა პეტრე.

— აქ რა წყალი ვნაყოთ, წავიდეთ მინდორში, ჩაუღვებთ კვალში, ვნახოთ ნაფეხური და რასაც ის გვეტყვის. ჩვენც ის გადავწყვიტოთ.

მივედით სიმინდთან, თითქმის ნახევარი კვალი გაძოვილია. გარინდებულნი მივყვებოდით და გულისყურით ვისმენდი მათ მსჯელობას:

— ორივე შენი კამეჩია, პეტრე, ნიკორაცა და შაქარაც, რას იტყვი?

— რაღა მეთქმის? ძალიან კი არ დამჩაგროთ.

— ჰოდა აგაშენა ღმერთმა. სიმინდს რომ მოსჭრი, ორ კოდნახევარი უნდა მიუყწო. არა, ალექსი, შენა — ჩვენო წიგნის ოსტატო!

მე თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

— უდანოთ ყელსა მჭრით და ეგაა. ე ნახევარ კვალს მაგდენა გამოვა? დაკარგული ფური ბევრს იწველიდაო, თქვენ ისე სჭრით.

— ცოტაა!.. — ყვირის მათე.

— მართალია! — უდასტურებს პეპა.

— ბევრია!

— შენც მართალი ხარ! —

ჩვენ გვეღიმება, ეღიმება პეპასაც.

ჩვენს სოფლებში ფართოდ იყო გავრცელებული ზედმეტი სახელი, რომელიც ხშირად გამოსახავდა ადამიანის თვისებას: სიხარბეს (მგელი), ეშმაკობას (კუდიანი), სიჯიუტეს (ჯიქი), გარეგნობას (ნიკორა, ყურა, ჯაგრია); შემდეგ ამ სახელიდან მათ შვილებს (ვაჟებს) ერქმეოდა მგლიბიჭი, კუდიანი-ბიჭი, ნიკორას ბიჭი. იყო სახელები, რომელიც შეიძლებოდა ქართველი ტომების პირველ სახელებს აღნიშნავდეს (ბაბაიღ ბათრაჯა, კუწა, ბოკო, შოთია, კუჭია, შეთე, ფოხო და სხვა), „ზნაჩიტა“ — ჯარიდან რომ დაბრუნდა, სულ „ზნაჩიტს“ გაიძახოდა, „გულკოჭა“ — იმერეთიდან გადმოსული ტაბარუკი იყო. როცა გაჯავრდებოდა, იტყოდა: „გულს კოჭი მიმიყვანეო“. გარდა ამისა, არსებობდა სახელები, რომელნიც დღეს არაფერს გამოსახავენ (ტეკანე, ტოტობა, ჭიკია, ჭრიკი, ცოცობა, ტოტო და სხვა.) ხშირად ზედმეტი სახელით ოჯახი იხსენებოდა — ქვაკრეფიანი — ქვაკრეფია, კუდიანიანი — კუდიანი, მჭედლიანი, მღვდლიანი — (ოჯახის უფროსის პროფესია) და სხვა ასეთი ზედმეტი სახელი ერქმეოდა ვაჟებს, იშვიათად ქალებსაც.

— ცოტა — ვისაც ბევრი აქვს, ბევრია — ვისაც ცოტა აქვს.

— ჩვენ შუა ნათელ-მირონი რო არა ტრიალებდეს, მე ვიცოდი, მაგრამ თქვენ საღ გაგექცევათ კაცი, — ამბობს პეტრე.

— ჰოდა, რახან ეგეც იცი, შინ წადი და ჩვენც მალე ჩამოვალთ, თიკოს უთხარი, არა დაგვაკლოს რა. გარდიგარდმოებშია კიდევ რაღაც წინახელი, იმასაც ვნახავთ და მალე თავს დაგიკრავთ.

ორივე სოფლისაკენ წავიდა, პეტრეც და მათეც. ჩვენ კი გარდიგარდმოებში ვნახეთ ერთი სიმინდი.

— თქმა არ უნდა, ძელანთ ხარებია — აი, ეს, ბეჟანას კვალი, ეს ჭოტასი, — თქვა პეპამ, კვალს რომ დახედა.

— ჰო, იმათასა ჰგავს.

— ახლა იმათ როგორ მიუღდება კაცი...

— მიუღდება. სოფელს ვერ გაექცევიან. არც ისეა საქმე, მელიას კულის ნოქნევამ ქათამს თვალი გამოსთხარაო. აყვიებია, მაგრამ მოველებია, ხომ იცი, სოფელი ღონიერია, — დინჯად თქვა ლექსომ და დასალიერზე გახედა გაწითლებულ მზეს.

ჩავედით სოფელში, პეტრეს დერეფანში სუფრა გაეშალა. ყველი, მწვანელი, წნილი, კარგი მახობელა³ პური და სველი ხელადა. პეპამ ხელადა აიღო ხელში. ცოტა შეაქანა, სავსეა თუ არაო. ცოტა ხნის შემდეგ მათეც მოვიდა, ცალ ხელში ლურჯსუფრაგადაფარებული ხონჩა ეჭირა, მეორეში — სველი სადგინე.

— ეპ, მათე, შენ აგაშენა ღმერთმა, აი, მაგაზეა ნათქვამი: კაი კაცი სუფრაზეო, თანაც ხელდამშვენებული.

გაავსო ჯამი და მიაწოდა. იმანაც ჩამოართვა, უღვაწეზე ხელი გადაისვა, წამოახველა, მალლა აიხედა, „ღმერთს შეხედა“.

— აგაშენოთ, — დაგამშვენოთ, ხვაგი და ბარაქა არ გამოილიოს თქვენს ოჯახში — და ღინჯად შეუდგა ჯამის გამოცლას.

— გაამოს, ჩემო მათე! — შეაწია პეპამ.

— რატომ არ იამება რა? — ვერ მოითმინა პეტრემ.

— პეტრე, ხანდახან არა ხარ კაი კაცი.

— რატომ რა, მე ვის შევეუწვი გველის თავი?

— არც მათეს ჩაუხვევია ვისმესთვის მარგალიტის საკინძე.

— რა, ღვინომ ხომ არ მოგტაცათ თავი? — ცოტა არ იყოს შეუტია ლექსომ.

— ვინა თქვა, მაგრამ არ მიყვარს ორენა კაცი. აბა ერთი სატალახოც და მორჩა.

ეზომში რომ გამოვედით, ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. პეპა არ ისვენებდა — რათა თქვა პეტრემ მრუდე სიტყვაო.

— კარგი, პეპა, ხო იცი, პეტრეც მოუსვენარია...

— მოუსვენარი, თორემ რკინის კარი არ ჩამომხსნას; მაგრამ მაინც კაი მასპინძელი იყო, ააშენოს ღმერთმა.

მეორე დღეს ისევ პეპა და ლექსო მომადგნენ კარზე.

— კაცო, არ გესმის შუა უბანში რა ჟივ ჟავია?

— კიდევ არა, რაღაცას მოვკარ ყური, მაგრამ საქმემ თავი წამართვა და...

— ხაბაზიანთ ჩხუბი მოსვლიათ, ჯაგრიას გიორგისათვის თავი გაუტეხია. ძმათა შვილები მაინც არ იყვნენ.

— აბა, მაშ იქნება შერიგებისა, თავგასამტეხლო...

— შენ ეგა თქვი და!..

ჩავედით. ბანზე ხალხია შეგროვილი, ვაჟი თუ ქალი.

ყველაზე მეტს გიორგას ცოლი წიწინებდა, დიდი მგელიგლეჯია ქალი იყო, რო დაგვინახა, უფრო უმატა, წუთში ორას სიტყვას მაინც ამბობდა.

პეპა ჯოხზე დაეყრდნო.

— აბა, რაშია საქმე?

უცბად სიჩუმე ჩამოვარდა. გიორგა წინ წამოდგა. თავი თეთრი ხილაბანდით აქვს შეხვეული, თეთრ ტილოს სისხლის წვეთები ატყვია, როგორც ჩანს, მართლა გაუტეხიათ თავი, მაგრამ ჭრილობა მსუბუქი ჩანს, მოსამართლისათვის კი სულ ერთია, სისხლი დაღვრილია...

³ მახობელა პური ქართლში იცოდა: „მახობელა“ პურის ჯიში არაა, „მახობელი“ ერთწლოვანი დატოტიანებული სარეველა ბალახია, იზრდება ნახევარი ან ერთი მეტრის სიმაღლე. მისი თესლი ხორბლის სიმსხოა და ზოგი მათგანი ცხრილის შემდეგ დასაფქვევ ხორბალში რჩება. შეიცავს ზეთს (ოსმალეთში მას ცალკეც თესავენ ცხიმის მისაღებად). ცხიმო ჰაერთან შეხებით ლურჯდება და ამიტომ აქვს პურს ლურჯი ფერი, არბილებს კიდევ პურს. ადვილად არ ფაშრდება.

მეცნიერულად მას „ცეპპალარია სირიაკა“ ეწოდება.

დაობენ კედელზე. კედელი ორი ოჯახისათვის საერთოა, დასავლეთით ერთი ცხოვრობს, აღმოსავლეთით მეორე.

— ეს კედელი ჩემია, უსისხლოთ არავის დავანებებ!

— როგორ თუ შენია!.. — აქნევს რკინის ფიწალს თავშეხვეული გიორგა.

— აბა, მოიტა ფიწალი, — პეპამ ჩამოართვა და ბაღს მისცა — „წადი, საბძელში შეიტანეო“.

— სოლომონ! — მიმართა პეპამ ოთხმოცდაათი წლის პაპიანთ სოლოს, — რამდენი წელიწადია ეს კედელი აქ არის?

— რამდენი? აბა რა ვიცი, რაც თავი მახსოვს, ეგრეა.

— ერთი ესეც მითხარი, მაგათ მამა-პაპის ჩხუბი გაგივია ამ კედელზე?

— ამ კედელზე? ვის გაუგონია, რომ მე გამეგონოს.

— ჰოდა, თქვენ რაღა ძველი ჭეშმარიტი შეგეწიათ, რა თავბირს ამტვრევთ ერთმანეთს, არც სახლის-კაცობა გწამთ და არც ძმათაშვილობა?

ხან ერთმა სარჩლა და ხან მეორემ, თანაც ერთმანეთს თათხავდნენ, სახლი უნდა ავაშენოთ და კედელი სწორედ აქ მოდისო. ჩანდა, გიორგა მიზეზიანობდა, მკლავი უჭრიდა და იმის იმედი ჰქონდა. ჩვენ ცოტა წავითათბირეთ და პეპამ გამოაცხადა:

— კედლის ნახევარი სიგრძეზე ერთსა, ნახევარი მეორეს, თუ გინდა, დაანგრეთ და ნახევრის ლარზე ახალი კედელი აიშენეთ. ამ განაჩენის და პირის გამტებს გაუწყრეს წმინდა გიორგისა და ძველი ჭეშმარიტის მადლი, ამინ.

— ამინ, — ვთქვით მე და ლექსომაც და მოჩხუბრებს გადავხედეთ. მათ ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ მაინც თქვეს „ამინ“...

— კაი სიტყვაა, ამინ... — თქვენს ბანზე შეკრებილებმა...

— ჰოდა, თქვენც მართალი ხართ... ჯაგრია, რაღასა დგებარ? ჩადი, სად არის შენი დედაკაცი?

იქვე იდგა ისიც, სანდომიანი სახის კეკლუცი მანდილოსანი, ჩახმაზე შეყენებულივით იყო, ცოტაც და ისიც ტყვიამფრქვევივით აკაკანდებოდა.

— თადარიგი დაიჭით, შუა უბანში ჩავალთ და მალე მოვბრუნდებით. შუა უბანში რაზმთან შეპროს ლიჩელის ძალი მოეკლა და ახლა ის უნდა გაგვერჩია. იქაც იყო დავა, აყალმყალი, შექრა, ღვთის წინაშე, კაი ვაყვაცი იყო, მზის ჩამონატეხსა ჰგავდა დალოცვილი, — რა ვქნა, ყურძენსა ჭამდა და ვერ მოვითმინე, ვენახიდან მოვდიოდი და ფეხი უკანა მრჩებოდაო.

პეპამ „შენც მართალი ხარ, შენცაო“ და საქმე მალე მოაგვარა, მეზობლები შევარიგეთ.⁴

— პეპა, ეგ როგორ არის, რომ ყველას ეუბნები შენც მართალი ხარ, შენცაო, — შევეკითხე უკან რომ მოვდიოდი. პეპას თვალებში რაღაც მხიარული ეშმაკი ჩაუდგა და იქიდან გამომძახა:

— შენც მართალი ხარ. ხომ ხედავ; სამართლის ქნა მახოხის ჭამა კი არ არის!

— მაგათი ღვინო ვალად დარჩება. — სთქვა ალექსიმ.

— რად გინდა? მაგათი დედაკაცები ისეთი ქვაწვიები არიან, ღვინო ყელში არ ჩავა.

— არც ეგრეა, — თქვა ლექსომ, — თითო კოჭობი ყველას ოჯახში დუღს, ზოგში რა იხარება და ზოგში რა.

⁴ როგორც ხედავთ, ხევის კაცები თავისებური მსაჯულები არიან. ერთად-ერთი მათი გამარჯვლო იყო სახელდახელო „სადლი“ ან „ვახშამი“, რომელიც გამტყუნებულს ევალებოდა.

— უკვე მოსალამოვდა, როცა ჯაგრიასთან მივედი; პირი დაებანა, ახალი ახალუხი ჩაეცვა, მისი ცოლი კეკლუცა ფუსფუსებდა: ლამაზი სუფრა გაეშალა, ფეხებამოტრიალებული დედალიც იდო, წნილიც, მწვანელიც, სველი ხელადაც.

— გიორგა არ მოვიყვანო? — ჰკითხა პეპამ მასპინძლებს.

— რავი, თქვენ თვითონ იცით, თუ მოვა, მაგას რა აჯობებს.

— შეარიგეთ, თქვენი ჯანის ჭირიმე, — სიტყვა შეაწია კეკლუცამ.

— აბა, ლექსო, გაატარე სიტყვა!

შემოვიდა მურწასმული ლექსო.

— არ მოდის, თავი გამიტეხა და როგორ მოვიდეთ?

— მართალია, აბა ერთი შენ მიხედე, რაც ბებრებმა ვერ გავაკეთეთ, იქნებ თქვენ იმარჯვოთ — გამატანა ორლესული სიტყვა პეპამ.

გიორგასაც დაებანა პირი, ახალი ტანისამოსი ჩაეცვა. მისი „ამოღებულ ბნალი“ — ცოლი — ხონჩას უტრიალებდა, თან ტკრციალებდა:

— გაგონილა? თავი გაუტეხონ და აქ გადმოდიო...

ახლა არ მახსოვს, რა სიტყვა ვუთხარი, მაგრამ გიორგა წამომყვა. თუმცა რა ვუთხარი? წამოსასველად მზად იყო.

— იი, შენ აგაშენა ღმერთმა! — შესძახა ნასიამოვნებმა პეპამ.

— ჩამოართვით ხელი! — უბრძანა პეპამ.

ხელი კი გაუწოდეს ერთმანეთს, მაგრამ თვალებში არ უყურებდნენ. პეპამ იდო პურის ნატეხი და გაუწოდა ჯაგრიას, „თქვი რაც წესიაო“.

— ამ წმინდა, გლეხის ალალი მარჯვენით მოყვანილი პურის მადლი გამიწყრეს, თუ როდისმე კიდევ ირიბად გავხედო ჩემ კარის მეზობელს გიორგასა.

ასევე მოიქცა გიორგაც.

პეპამ აავსო ჯამი, შეხედა ჭერს და წარმოთქვა:

— იხარე ჭერო, მოკვდი მტერო, სიამტკბილობის მეტი არა გამეგონოს რა თქვენ შორის.

დაცალა ჯამი, დადგა და აავლიჯა ქათამს ბარკალ-თეძო, შეატრიალ-შემოატრიალა, სიამოვნებით გაიღიმა და გამომიწოდა:

— აბა, ჩვენო ხვეიკაცო... იმდენი სითბო იყო ამაში, რო დღესაც მახსოვს, როგორც უძვირფასესი საჩუქარი. უხაროდა, რომ მშრომელი ხალხი შერიგდნენ.

თითო ჯამი რომ ჩამოვარიგეთ, პეპამ სუფრული წამოიწყო, გიორგა ადგა და ჩუმად გავიდა. მალე შემობრუნდა სავსე საღვინითა და ხონჩით ხელში, თან მალხაზიც შემოჰყვა.

— თქვენ სმეულეზას გაუმარჯოს!

— უჰ, მალხაზ, მობრძანდით, — გაეხარდა პეპას.

— რად გვინდოდა, კაცო...

— განა გვაკლია, მაგრამ ხო იცი, ირემმა ირემს გაუწოდაო... ჩემმა დედა-კაცმა — კობრჩხილის წნილი და კაი ნიგვზიანი თაბასარა იქნება ეამოთ ღვინოზე.

— მართალი ხარ, გიორგა, მართალი. აბა, მალხაზ, მომყე.

„ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში
ლხინსა და ლხინის სუფრასა,
ვაყების ქორწინებასა,
ქალების გათხოვებასა“.

ახლა მალხაზმა უთხრა:

„ანო, ქალო ანო, ხელბირი დაგებანო,
შენი პირსახის ნატეხი ცივ წყაროს ჩამომდგარო,
შივ ღიაკვანი დამხრჩვალა, საბრალო დედის ერთაო“.

მერე ჯაგრიამ თქვა, თქვა და ისე თქვა, კინალამ ჭერი ახადა.

ერთხელ კიდევ თქვა პეპამ „იხარე ჭერო“, დალია საყველაწმინდო და სა-
ტალახო და, ხომლი რომ ცაზე გამართულიყო, მაშინ გამოვედით კარში. მკლავი
მკლავს გადახვეულმა ჯაგრიამ და გიორგამ გამოგვაცილეს.

მოდირდა პეპა და მოღიღინებდა.

— კაი საქმე გაკეთდა, არა?

— ძალიან კარგი!

— მერე და ვინ გააკეთა?

— შენა, პეპა.

— მართალი ხარ. მაგრამ უთქვენოთ რო არ ვარგვივარ. ის როგორ არის,
რო დაწვები, იკითხავ: ქვეყანას რა ვარჯიო?

— მე სხვაც ვიცი.

— აბა, აბა?

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“...

— ოჰ? რაო... კაცი არ ვარგა, სოფლისათვის არ იყვესო? კარგია, არა?
დაილოცოს მაგის მთქმელი! — და შემოსძახა:

— „ქალი მოგვეყავს, ქალთამზეო, ღვინო შევესვით ძირამდეო, ჰეი დაა“...

მესამე დღეს კიდევ გაჩნდა სახევისკაცო. პანტი-რუზე წყალი დაეხევებინათ
მგლიბიჭებსა და ბაბაიას სიმინდი სულ წაელო. ესეც გავარჩიეთ. დავაკისრეთ
სათავის ამოყვანა და სიმინდის წანახედი სამ კოდამდე.

მოგდივარ სახლისაკენ და ვფიქრობ, სოფელში არ დაილევა ჩხუბი და
წანახედი, ძაღლისა და გოჭის მოკვლა და, მე რომ ყოველ სუფრას დავესწრო,
სად წავა?

— პეპა, — ვეუბნები! მოდი, პირობა დავდოთ, ჩვენი ხევისკაცობის პირ-
ველ ნახევარში შენთან ვიქნები, მეორეში ველარ გამოგყვები.

ჯერ ვერ მიმიხვდა, მერე როცა გავაგებინე, თავი გადააქნ-გადმოაქნია და
თან დაატანა:

— მეტი რა ჯანია, შენც მართალი ხარ! — მითხრა.

მაგრამ ხანდახან ვერ გვექცეოდი ხოლმე, მით უფრო, თუ სასიამოვნო ოჯა-
ხი იყო, აი, ისეთი, ნათელი გადასდისო, რომ იტყვიან.

ასეა თუ ისე, ხევისკაცობას დიდი სიამოვნებით ვიგონებ, ბევრი რამ ვის-
წავლე და დიდ მასწავლებელთა შორის პეპაც იყო.

პასუხი ბანაყენებულ რეზენგენს*

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის № 1-ში გამოქვეყნდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ენუქიძის რეცენზია „ქართული სამართლის ძეგლების გამოცემის გამო“. წერილი ეხება ჩვენი სერიის — „ქართული სამართლის ძეგლების“ (გამოქვეყნდა 5 ტომი) პუბლიკაციას. რეცენზენტი უარყოფითად აფასებს ჩვენ მიერ გამოცემული იურიდიული ძეგლების მეცნიერულ ღირებულებას და ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს აღნიშნული პუბლიკაციის დადებით მხარეებს. მართლაც ფაქტის აღნიშვნაც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ რეცენზენტის ტენდენციურობასა და არააღბეჭტურობაში.

ვიდრე რეცენზენტის ცალკეული შენიშვნების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს მოვავსოთ ქართული საისტორიო საბუთებისა და იურიდიული ძეგლების გამოცემის მდგომარეობა ჩვენი სერიის გამოქვეყნებამდე. ქართული საისტორიო წყაროების შეკრებისა და გამოცემის საშვილიშვილო საქმეს, როგორც ეს ნათქვამია ჩვენი II ტომის წინასიტყვაობაში, თაოსნობდნენ XIX და XX სს. გამოჩენილი მეცნიერები: მ. ბროსე, ბ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, დ. ჩუბინაშვილი, დ. ფურცელაძე, ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, ნ. შარი და ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ისტორიკოსების თ. შორდანიას, ექ. თაყაიშვილის, ხ. კაკაბაძისა და ნ. ბერძენიშვილის დამსახურება, რომლებმაც მრავალი საისტორიო წყარო და საბუთი მოიპოვეს, შეკრბეს, რამდენიმე ტომად გამოაქვეყნეს და, ამრიგად, ბევრი პირველხარისხოვანი საისტორიო ტექსტი, რომელთა ხელნაწერები შემდგომ დაიკარგა, სამუდამო დაღუპვას გადაარჩინეს. თ. შორდანიას „ქრონიკებისა“ და ექ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენის“ გარეშე დღეს წარმოუდგენელია ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობა.

აფახებდა რა თ. შორდანიას, ექ. თაყაიშვილის და ხ. კაკაბაძის პუბლიკაციებს, აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „იმ დიდი უცოდლობელი დეაწლისდა მიუხედავად, რომელიც ზემოდასახელებულ


ბულ გამოცემელთ მიუძღვით, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათი გამოცემათაგანი თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, არც ერთ მათგანს გამოქვეყნებული საბუთები გამოცემამდე თავისდათავად, ვითარცა დიპლომატიკის ძეგლი, არ შეუსწავლიათ და დაუფასებიათ და სწორედ ამიტომაც არის, რომ იქ ნამდვილი და ნატყუარი საბუთები ერთიერთმანეთშია არეული და უაღბო ნამდვილად არის მიჩნეული. უველა ამ თვისებისა და ნაკლის გამო ზემოაღნიშნული კრებულები შეიძლება მხოლოდ წინასწარ გამოცემებზე და ჩაითვალოს და მათი ხელახალი, ჭეროვანი გამოცემა ახლო მომავალში აუცილებელია“ (ქართული დიპლომატიკა, 1928 წ. გვ. 19).

სახელოვანი მეცნიერი ამ საკითხს კვლავ უბრუნდება 1938 წელს, როცა ამბობს: „თუ ჩვენ ახლავე არ შევუდევით ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას, შემდგომი საკვლევი მუშაობისას პირდაპირ გადაუღწავ დაბრკოლებას წავაწყდებით. ჩვენ ორიოდვე ძეგლს გარდა არაფერი მოგვეპოვება წესიერად გამოცემული“.

რაც შეეხება იურიდიული ძეგლების გამოცემას, აქ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო. 1940 წლისათვის მხოლოდ ორიოდ ძეგლი იყო რეგინად გამოცემული: „ქელმწიფის კარის გარიგება“ და „გვანის ქუაბთა განგება“. ამავე წელს გამოვიდა ნ. ბერძენიშვილის „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, რომელიც საისტორიო საბუთების კრიტიკული გამოცემის პირველ ცდას წარმოადგენდა.

ქართული სამართლის ძეგლების შესწავლა ჩვენ ჭერ კიდევ ომამდე, ასპირანტურაში სწავლის დროს დაიწყო, როცა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას ხელმძღვანელობას გვიწვედა აკად. ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ სისტემატურა და გეგმაზომიერი მუშაობა მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ განვაგრძეთ. 1958 წელს უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოაქვეყნეთ „ბექასა და აღბუღას სამართალი“.

* ბეჭდება უცვლელად რედაქციაში წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით.



რომელსაც ვრცელი გამოკვლევა და იურიდიული ტერმინების ლექსიკონი დაუვრთეთ. 1957 წელს აგრეთვე ორი უძველესი ხელნაწერის მიჩადვით გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ გამოკვეციტო, ხოლო 1960 წელს — „საქართველოს ჩვეულებებითი სჯული“. აღნიშნულ ძეგლებსაც დართული აქვთ საკმაოდ ვრცელი გამოკვლევები და ლექსიკონები.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული ტექსტებზე თითქმის 15 წლის მუშაობის შემდეგ, 1963 წელს გამოაქვეყნეთ „ქართული სამართლის ძეგლების“ პირველი ტომი, რომელშიც პირველად დაიბეჭდა „მეფე-მეცნიერის“ მიერ 250 წლის წინათ შედგენილი ქართული სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი კრებული. პირველ ტომს დართული აქვს ვრცელი გამოკვლევა, ტერმინთა საძიებელი და ლექსიკონი.

1. სამართლის წიგნთა კრებულის ორი უძველესი ნუსხის შესახებ

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტები, რომლებიც „ქართული სამართლის ძეგლების“ პირველ ტომში დაიბეჭდა, დადგენილია ჩვენ მიერ ორი უძველესი, ვახტანგის დროინდელი ნუსხის მიხედვით. გამოკვლევაში, რომელიც პირველ ტომს ერთვს, ამის შეთანხმებ ნათქვამია: „ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტი იბეჭდება უძველესი, თვით ვახტანგის მიერ ნარედაქციევო, ხელნაწერის (S 3683) მიხედვით, რომელიც აღნიშნულია A ლიტერით. ამასთან ერთად გამოყენებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციებში აშ ცოტახნის წინათ გამოვლინებული და აღწერილი ჩინებული ხელნაწერი (Q 575), რომელიც კრებულში შესული ყველა საკანონმდებლო ძეგლის ტექსტს შეიცავს. ამ ნუსხის 87 V ქვემო კიდზე, სადაც კრებულის საძიებლის ტექსტი მთავრდება, ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ქ ს ტ უ შ“, ე. ი. საძიებელი გადაწერილია 1710 წელს. რაც შეეხება კრებულის სამართლის წიგნთა ტექსტს, იგი გადაწერილია სხვა ხელით, მაგრამ უდავოა, რომ შესრულებულია იმავე 1710 წელს ან, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1711 წლისა, ე. ი. ვახტანგის გამგებლობის უკანასკნელი წლისა, რაც დასტურდება ხელნაწერის ყველა ფურცლის r-ს ზედა აწიანზე გაკეთებული მინაწერით: „ქ უ რ თ ხ ე უ ლ მ ც ა რ ის გ ა ნ მ გ ე ბ ლ ო ბ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა“. ეს ხელნაწერი ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით. B ნუსხა გამოყენებული გვაქვს კრებულის შესავლის, ბერძნული და ხომხური სამართლის, ბაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის

წიგნის ტექსტის დასადგენად. რაც შეეხება „მოსეს სამართალს“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებას“ და „ბეჭახა და აღბუღას სამართალს“, მათ გასამართავად სხვა უფრო ძველი ნუსხები გამოვიყენეთ (ტ. I, გვ. 563).

შრომაში „ძველი ქართული სამართალი“, რომელიც 1948-1952 წლებში დაიწერა და 1953 წელს გამოქვეყნდა, S 3683 ხელნაწერის შესახებ ნათქვამია, რომ აღნიშნული ნუსხა ექთაყანაშვილს მიაჩნია ვახტანგის დროინდელ ხელნაწერად, რომელიც ხელთ ჰქონია ვახტანგ მეფეს და ზოგიერთი მუსხლი (207, 262, 263, 270) თვით მის მიერ არის ნაწერი (Описание... ტ. II, გვ. 614-615). პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრითაც, რომელმაც ვახტანგის კრებულის აღნიშნული ხელნაწერის მიხედვით ხომხური სამართლის ქართული ვერსია გამოსცა, ხელნაწერი S 3683 ვახტანგის სიცოცხლეშია დაწერილი და თვით ვახტანგის მიერვეა გადახიზული და შესწორებული (სამართალი ხომხური, 1927, გვ. X-XI).

აკად. ივ. ჯავახიშვილმა ეჭვი შეიტანა შემოადინებულ შეხედულებაში და გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ხელნაწერი S 3683 არ უნდა იყოს ვახტანგის დროინდელი. მისი აზრით, ეს ხელნაწერი გადმოწერილი უნდა იყოს სხვა დაზიანებული დედნიდან, ხელნაწერის ტექსტში ადგილი აქვს სარვეზებს და ამავე დროს თვით კანონთა ტექსტი დამახინჯებულია. შემოადინებულის გამო, აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ეს ხელნაწერი ვახტანგის მერმინდელი უნდა იყოს, იმ დროისა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში თურქთა და სპარსთა ბატონობის წყალობით ზოგი ხელნაწერი სრულებით დაიღუბა, ზოგი ძალზე დაზიანებული გადარჩა და XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან განახლებულ იქნა“ (ქართ. სამართ. ისტ. I, 122). ამასთან სხელოვანი მკვლევარი იქვე დასძენდა, რომ მოუცლელობის გამო სათანადო ადგილების შედარება ვერ მოვასწარი და ამიტომ საბოლოო დასკვნისათვის, რასაკვირველია, ჭერ კიდევ აღნიშნულ ხელნაწერს გულდასმითი შესწავლა სჭირდებაო.

ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერებიდან ჩვენს გამოცემას საფუძვლად დაუვლეთ S 3683 ხელნაწერი, რადგან იგი უძველესია და ვახტანგის რედაქციული ხელი ატყვია. აზრი ამ ხელნაწერის ვახტანგის დროინდელი ხელნაწერის დასაბუთებულია დამაჩერებლად, რასაც ცხადყოფენ კანონთა ზოგიერთი მუსხლები, ტექსტში გაკეთებული შენიშვნები და მინაწერები, რომლებიც თვით ვახტანგ მეფის ხელითაა შესრულებული.

შემოსენებულ მსჯელობას ვამთავრებთ შემ-

დეგი სიტყვებით: „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერმა მუშაკმა თ. ენუქიძემ საფუძვლიანად განიხილა ვახტანგის კანონთა კრებულის S 3683 ხელნაწერი და დაწვრილებით ანალიზის საფუძველზე ნათელყო, რომ აღნიშნული ნუსხა ვახტანგის დროინდელია და სამართლის მთელი რიგი მუხლები და აგრეთვე მინაწერები თვით ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი (ძველი ქართული სამართ., 1953, გვ. 75).

„ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში, რომელიც 1963 წელს გამოვიდა, ვწერთ: „ვახტანგის სამართლის წიგნის ნუსხების შესწავლა და ტექსტის კრიტიკულ დადგენაზე დიდი და საპატიო მუშაობა გასწია ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა თ. ენუქიძემ, 1955 წელს მან სამი ძირითადი ტიპის ნუსხების მიხედვით გამოაქვეყნა ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტი, რომელსაც წაუმძღვარა ხელნაწერთა აღწერილობა, გამოკვლევა და დაურთო ტერმინთა საძიებელი“ (გვ. 564).

როგორც ვხედავთ, ჩვენ არ უგულებელვავყავით თ. ენუქიძის ნაშრომი და, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულადაც შევაფასეთ იგი.

მაგრამ ამავე დროს აღვნიშნეთ, რომ ვახტანგის სამართლის ტექსტზე მომუშავე მეცნიერების საპატიო ამოცანა ის არის, რომ ძეგლის ნუსხების შემდგომი ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ანალიზის შედეგად მართებული ვასწორებანი შეიტანოს ტექსტში მიხი ჯეროვნად გამართვისა და დადგენის მიზნით. ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის ჩვენი გამოცემაც ამ მიზანს ემსახურება. Q 575 ხელნაწერს, რომელიც S 3683 ხელნაწერთან ერთად ჩვენს გამოცემას დაელო საფუძვლად, 1955 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო გამოკვლიებული და შესწავლილი. ამიტომ ამ ნუსხის ვარიანტები თ. ენუქიძის გამოცემაში ვერ აიხსნა, მაგრამ მის მიერ გამოყენებულია ამ ტიპის ნუსხის გვიანდელი პირი, რომელიც მას თავის გამოცემაში C ლიტერით აქვს აღნიშნული.

„დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს იმ თავისებურებასა და განსხვავებას, რომლებსაც ჩვენი გამოცემა შეიცავს სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემასთან შედარებით. ეს თავისებურება გამოიხატება არა მარტო ტექსტში შეტანაზე ვასწორებზე, არამედ ტექსტის დაყოფით კარებზე, თავებზე, მუხლებზე სამართლის წიგნის სისტემის შესაბამისად. აგრეთვე მუხლების ტექსტის აზვაცებად დაწვევრებითა და განსხვავებული პუნქტუაცით“ (ტ. I, გვ. 565).

ჩვენსადრინდელ პუბლიკაციებს რომ ეხებ-

და, თ. ენუქიძე თავადაც იძულებულია აღიაროს: „სავსებით კანონზომიერი იყო, რომ აკად. ი. დოლიძე მის მიერ შესრულებულ განმეორებით გამოცემაში ქართული სამართლის ძეგლების ტექსტოლოგიური და არქეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე მოგვემდია სრულიყოფილ, ხანიმუშო მონოგრაფიულ(?) ნაშრომს, რომელშიც გათვალისწინებული და გამოყენებული იქნებოდა ადრინდელი გამოცემები და თანამედროვე მეცნიერების მიღწევები“ (საბჭ. სამართ. გვ. 74).

ჩვენივე გაუგებარია რას გულისხმობს რეცენზენტი აქ „მონოგრაფიულ ნაშრომად“. ალბათ არც ავტორს ესმის ამ ფრაზის შინაარსი. თუ რეცენზენტი ამ ცნებაში ძეგლების ისტორიულ-ფილოლოგიურ და იურიდიულ კომენტარებსაც გულისხმობს, ჩვენ ასეთი მიზანი არ გვქონია და არც ამოცანად დაგვისახავს. ახეთი სამუშაო არა თუ ერთი კაცის, არამედ მთელი კოლექტივის ძალას მოითხოვს. ჩვენი მიზანი იყო ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ძეგლების ტექსტების დადგენა და რიგთან გამოცემა. რაც შეეხება ტექსტოლოგიურ კომენტარებს, იგი მომავლის საქმეა.

რეცენზენტი ბრალს გვდებს, რომ ჩვენ უგულებელვავყავით სხვა ავტორთა ნაშრომები და არ გავითვალისწინეთ თანამედროვე მეცნიერების მიღწევები. აქ იგი პირველ რიგში მის მიერ გამოცემულ ვახტანგ VI სამართლის წიგნის ნუსხების არქეოგრაფიულ აღწერას გულისხმობს.

როგორც ვთქვით, ჩვენი მიზნად არ დაგვისახავს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტების კრიტიკული გამოცემა ყველა არსებული ნუსხების გათვალისწინებით. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა რეცენზენტის საყვედური, რომ „აკად. ი. დოლიძე ვერ გაერკვა ჩვენს შრომაში დადგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის (და სურთოდ კრებულის) რედაქციებსა და ხელნაწერთა ტიპებში“ (საბჭ. სამართ. გვ. 78). როდესაც თ. ენუქიძის მიერ გამოცემულ ტექსტს გულდასმით გავვცანით, დავრწმუნდით, რომ ამ გამოცემის დაბრუნება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება არა ტექსტის დადგენით, არამედ ტექსტის სქოლიოებში ძირითადი ნუსხების კითხვა-სხვაობის ვარიანტების დართვით. ტექსტი კრიტიკულად დადგენილი არ არის, გამოცემედ მას არც მის ტექსტის შინაარსი, ბევრი მცდარი წაკითხვა ტექსტშია შეტანილი, ხოლო მართებული სქოლიოებშია ჩატანული, მუნქტუაცია ნახმარია უმ-

ართებულად, კანონთა ტექსტი დაუოფილი არ არის კარებად; ქვეთავებად და აბზაცებად. ყოველივე ამის გამო ჩვენ ვერ მივიჩნით შესაძლებლად მის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტზე დაურღწობა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის გამოცემას, როგორც ითქვა. საფუძვლად ორი შემოსხენებული უძველესი ნუსხა დაუვადეთ. პირველი ნუსხის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული. რაც შეეხება მეორე ნუსხას (Q 575), როგორც ვიცით, მისი გამოვლინება ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის დიდი ქუთათელაძის დამსახურებაა და არა ჩვენი რეცენზენტისა, რომელიც ამას იჩემებს. ამ ძვირფასი ხელნაწერის შესახებ აუცილებელი ცნობები (სრული არქეოგრაფიული აღწერა მიზნად არა გვქონია) „ქართული სამართლის ძეგლების“ ბირველი ტომისადმი დართულ გამოკვლევაში მოვათავსეთ (იხ. გვ. 564-565).

ამ ხელნაწერის შესახებ ჩვენს მოსაზრებებს არ იზიარებს თ. ენუქიძე. რომელიც არასწორად თვლის ხელნაწერის 1710-1711 წლებით დათარიღებას, არ მიაჩნია იგი ტექსტის დადგენისათვის უკეთეს ნუსხად, გვისაყვედურებს, რომ ვერ გავიკვივით მის მიერ დადგენილ ვახტანგ VI სამართლის წიგნის რედაქციებში, არ შეგვისწავლია ხელნაწერისათვის დართული ორი ტიპის საძიებელი და არ ვიკვლევთ, თუ რატომ წყდებდა ამ ხელნაწერის ტექსტი 288 მუხლზე.

ჩვენი მოსაზრების დასაბუთება იმის შესახებ, რომ Q 575 ხელნაწერი 1710-1711 წლებით უნდა დათარიღდეს, მიუხედავად ვრცელი ექსკურსისა, რეცენზენტმა ოდნავადაც ვერ უპაუცია. იგივე უნდა ითქვას ჩვენი მეორე დებულების შესახებაც, რომლის თანახმად სამართლის ტექსტის დადგენისათვის Q 575 ხელნაწერზე უკეთესი ნუსხა არ გაგვაჩნია, რომ ამ ნუსხის ვარიანტი თ. ენუქიძის გამოცემაში ვერ აისახა, ანდა როგორ აისახებოდა, როცა თვით ეს ნუსხა იმ დროს გამოვლინებული არ იყო. ჩვენი რეცენზენტი მაინც ჭიუტად მსჯელობს და „ღვლარქნულად“ ამბობს: საქმეც ისაა, რომ ამ ნუსხის წავითხვები ჩვენს გამოცემაში აისახაო, ხოლო ამის უარყოფა „ჩვენი შრომის გაუფასურებას ისახავს მიზნად“. არა, არ ისახავს; მაგრამ რაც არ გავიკეთებიათ, იმას ნუ მისაკუთრებთ. თქვენ ამ ნუსხის გვიანდელი ბირი გაქვთ გამოყენებული და არა თვით ნუსხა-დედანი.

Q 575 ხელნაწერი რომ ტექსტის დადგენისათვის უკეთესი ნუსხაა, ეს ცხადად დადასტურდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა ჩვენ მიერ გამოცემული ტექსტებით. ამას დიდი სპეცია-

ლისტი არ სჭირდება, ეს უზრალო მკითხველის თვალთაც ადვილად შესამჩნევია.


რაც შეეხება რეცენზენტის სხვა შენიშვნებს Q 575 ხელნაწერის შესახებ, ისინი ჩვენი მისამართით არ უნდა იყოს ნათქვამი, რადგან სამართლის წიგნის ტექსტის დადგენისათვის იმ საკითხების გარკვევა სრულყოფილად სჭირდებოდა ჩვენს რეცენზენტს. ჩვენ ტექსტს ვადგენდით, მაგრამ ნუსხის გაწვიადებული არქეოგრაფიული აღწერა თვითმზინად არ დაგვისახავს.

2. ჩვენს გამომცემებში შესული ზოგირითი ძეგლის შესახებ

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეორე ტომში № 168 საბუთად შევიტანეთ ჩვენ მიერვე ადრე გამოცემული „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“. რეცენზენტს მიაჩნია, რომ ტომში ამ ძეგლის შეტანა საჭირო არ იყო. ნუთუ ესეც რეცენზენტი ეკითხება, რომელი ძეგლი შევიტანოთ ჩვენს გამოცემაში და რომელი არა. მაგრამ მთავარი მანძი ის არის, რომ რეცენზენტი არაფერს ეუბნება მკითხველს ჩვენი იმ მოსაზრების შესახებ, რომელიც ლეგენდაშია გამოთქმული: „ჩვეულებითი სჯული ქართული ადათობრივი სამართლის კრებულია და არა საქანონმდებლო ძეგლი. მაგრამ რაკი იგი წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მოქმედ დაუწერელ სამართალს, „ქართული სამართლის ძეგლების“ წინამდებარე სერიაში მისი შეტანა აუცილებელია არა მარტო გამოცემის მთლიანობის, არამედ მოქმედი სამართლის ისტორიის თვალსაზრისითაც“ (ტ. II, გვ. 644).

ამავე ტომში ჩვენ № 181 საბუთად შევიტანეთ „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“, რომლის ტექსტი სათანადო გამოკვლევით ჩვენმა ყოფილმა ასპირანტმა ი. ფუტყარაძემ გამოსცა. ტომის სათანადო ადგილას მითითებულია, რომ ტექსტი იბეჭდება ი. ფუტყარაძის გამოცემის მიხედვით. ჩვენს რეცენზენტს ალბათ ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნია ამ ძეგლის ელახლა გამოცემა. მაგრამ მას ავიწყდება ტომის შედგენის პრინციპი, რომლის შესახებ წინახიტყვობაში ნათქვამია: „წინამდებარე ტომში შეტანილია საერო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომლებიც შერჩეულია გამოკრებით“ (ტ. II, გვ. VI).

„ძეგლების“ მეორე ტომში ჩვენ დავბეჭდეთ „ქელმწიფის კარის გარიგება“ (საბ. № 81) და ვახტანგ VI-ის „დასტურლამაი“ (საბ. № 89).



რეცენზენტი საყვედურს გვეუბნება, ამ ძეგლებში გამოცემა საჭირო არ იყო, რადგან მათ პროფ. ივ. სურგულაძე ამზადებდა გამოსაცემად.

გამოკვლევაში, რომელიც „ქელმწიფის კარის გარიგებას“ დაუერთეთ, ჩვენ მთელი რიგი ახალი მოსაზრებები გამოვთქვით ტექსტის დადგენისათვის და ვცადეთ ტექსტის პირვანდელი თანმიმდევრობის აღდგენა. თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა, ამის შესახებ თვით პროფ. ივ. სურგულაძე წერს: „პროფ. ა. დოლიძის ფრთხილ სერიოზული და ნაყოფიერი შრომა გაუწევია ძეგლზე ... ავტორის მოსაზრება ძეგლის პირვანდელი აგებულების აღდგენის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ა. დოლიძე ხავსებით მართალია, როცა წერს, რომ „ქელმწიფის კარის გარიგების“ წინამდებარე ტექსტი კრიტიკული და დამოუკიდებელი გამოცემის ცდას წარმოადგენს“ (ქართ. სამართ. ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, 1970, გვ. 5).

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. რაც შეეხება ვახტანგ VI-ის „დასტურლამას“, იგი გამოცემულია ჩვენ მიერ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული უძველესი (1729 წ.) ხელნაწერის მიხედვით. ძეგლისადმი დართულ გამოკვლევაში აღვნიშნავთ იმ ღვაწლს, რომელიც ამ ძეგლის შესწავლაში მიუძღვის პროფ. ვ. გაბაშვილს. შემდეგ ვწერთ, რომ გორის ხელნაწერს „სანამ ღედანი არ აღმოჩენილა, დასტურლამალის ტექსტის დადგენისათვის იმ დედნის მნიშვნელოვან აქვს. იგი საფუძვლად უნდა დაედოს დასტურლამალის ტექსტის კრიტიკულ გამოცემას... იმის გამო, რომ დასტურლამალის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლისას 1729 წლის ნუსხა ინარჩუნებს დამოუკიდებელი პირველწყაროს მნიშვნელოვანს, მისი ცალკე გამოცემა „ქართული სამართლის ძეგლების“ წინამდებარე სერიაში არა მარტო მიზანშეწონილია, არამედ აუცილებელიც“ (ტ. II, გვ. 630).

ამრიგად, „დასტურლამალის“ ტექსტი ჩვენ გამოვეცით უძველესი და უნიკალური ნუსხის მიხედვით, რისთვისაც მადლობა გვეკუთვნის და არა საყვედური. ამასთან ძეგლის კრიტიკული ტექსტის დადგენა და გამოცემა, რომელიც პროფ. ივ. სურგულაძემ განახორციელა, ჩვენ სრულიადაც არ გვქონია განზრახული.

„ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომში, რომელიც ორიგინალური საეკლესიო

საკანონმდებლო ძეგლების კორპუსს შეიცავს შეტანილია XIII საუკუნის ცნობილი ძეგლი „ვაჰანის ქვაბთა განგება“. შენიშვნაში ვწერთ: „ვაჰანის ქვაბთა განგების ტექსტი მინაწერებითურთ პირველად თ. უორდანიამ გამოცა (შია მღვიმის საბუთები, გვ. 80-49), ძეგლის მეორე, სანიმუშო და ცალკე წიგნად გამოცემა ეკუთვნის ლმუსხელიშვილს (ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939 წ.). ეს გამოცემა მხოლოდ ტაბიკონის ტექსტს შეიცავს, მინაწერების გარეშე. ტექსტ წამდვარებული აქვს ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც გაუთქვულია ვაჰანის ქვაბის ადგილმდებარეობა, ტაბიკონის შედგენის თარიღისა და შემდგენლის ვინაობის, ხელნაწერის შედგენილობის, ტექსტის კრიტიკისა და დადგენის საკითხები. ამას მოსდევს ძეგლის კრიტიკული ტექსტი, რომელსაც დართული აქვს ლექსიკონი და სახელთა საძიებელი... ტიპიკონის ტექსტი იბეჭდება ლ. მუსხელიშვილის გამოცემის მიხედვით“ (ტ. III, გვ. 1146-1147).

ჩვენ რეცენზენტი თავად აღიარებს, რომ „ამდენი დროის გასვლის შემდეგ, მართალია, მისი გამოცემა საჭიროა, მაგრამ რატომ ვუკარგავთ ავტორობას იმ კარგ მეცნიერს“. მკითხველმა თავად განსაჯოს, რამდენად ღირსეულად გვაქვს აღნიშნული ცნობილი მეცნიერის დამახსურება და ვუკარგავთ თუ არა მას ავტორობას იმით, რომ ძეგლი მისი სახელითა და მისი გამოცემის მიხედვით დაბეჭდეთ. ვიმეორებთ, ეს გამოცემა სანიმუშოა და, მომავალში სრული კრიტიკული ტექსტიც (მინაწერებითურთ) რომ გამოქვეყნდეს, იგი თავის მეცნიერულ ღირებულებას არახოდეს დაკარგავს. მეორე მხრივ, შეუძლებელია ქართული საეკლესიო ძეგლების კორპუსი გამოიცეს და მასში ეს ძეგლი შეტანილი არ იქნეს.

„ქართული სამართლის ძეგლების“ იმავე მესამე ტომში დაბეჭდეთ XI საუკუნის ცნობილი საეკლესიო ძეგლი „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი“. ტიპიკონის ტექსტისადმი დართულ გამოკვლევაში ვწერთ: „ტიპიკონის ძველქართული ტექსტი იბეჭდება მიხეილ თარხნიშვილის გამოცემის მიხედვით. მანვე ამ სერიის მეოთხე ტომში გამოაქვეყნა ტიპიკონის ქართული ტექსტის ლათინური თარგმანი. მ. თარხნიშვილის გამოცემაში ქართული ტექსტი დაბეჭდილია გაუმართავად, ხელნაწერის ორთოგრაფიისა და განკვეთილობის ნიშნების დაცვით. ჩვენს გამოცემაში ტექსტის ორთოგრაფია და პუნქტუაცია გამართულია, ტექსტი დაყოფილია აბზაცე-



ბაღ“ (ტ. III, გვ. 1188). ამ ორი გამოცემის ზე-
რეფე შედარებითაც მკითხველი ადვილად
დარწმუნდება, თუ რა განსხვავებაა მათ შორის.
ამასთან, ცხადია, ჩვენ თარხნიშვილისეული
ტექსტის აღდგენა არ გვიკისრია და ვერც ვი-
კისრებდით. ამიტომაც ვწერთ, რომ ტექსტი მი-
სი გამოცემის მიხედვით იბეჭდება. როგორც
ჩანს, ჩვენს რეცენზენტს მ. თარხნიშვილის ხსე-
ნებული გამოცემა თვალთაც არ უნახავს.

**8. რეცენზენტის უსაფუძვლო
პრეტენზიების შესახებ**

„ქართული სამართლის ძეგლების“ პირველ
ტომს დართული აქვს გამოკვლევა „კრებულის
სახელწოდებისათვის“, სადაც აღნიშნულია, რომ
კრებულის სათაური „ვახტანგ VI-ის კანონთა
კრებული“ ამ ძეგლის 1828 წლის რუსული გა-
მოცემის საფუძველზე წარმოიშვა („Сборник
законов... Вахтанга VI“), რომ არსად ქართულ
წყაროებში კრებული ამ სახელწოდებით არ იხ-
სენიება. აკად. ფ. ჯავახიშვილმა პირ-
ველმა მიაქცია ყურადღება ამ საკითხს და სა-
ჭიროდ დანახა კანონთა კრებულის ამგვარი
დასათაურების შეცვლა. მან ამ კრებულს „ვახ-
ტანგ VI-ის კოდექსი“ უწოდა. მაგრამ
ტერმინი „კოდექსი“ უცნობია გვიანდელი
ხანის ქართული სამართლის ძეგლებისათვის. მას
არც ვახტანგ VI-ის საყოფიფიკაციო კომისია
იხსენიებს. ამიტომ ამ ტერმინის ასეთი მნიშ-
ნელობით გამოყენება რამდენადმე ხელოვნურად
და შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს. ვახტანგის
კრებულში შესული თვითეული ძეგლი ასეა და-
სათაურებული: „სამართალი ბერძულად“, „სამარ-
თალი სომხურად“, „სამართალი ბატონიშვილის
ვახტანგისა“ და სხვ. ეს სახეებით ვახაგებია,
რადგან საერო სამართლის ძეგლებს „სამართ-
ლის წიგნი“, ხოლო მსოფლიო და ადგილობრივი
საეკლესიო კრებების დადგენილებებს „კა-
ნონი“ ეწოდებოდა. შემოთქმულის გამო ამ
კრებულს „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა
კრებული“ უნდა ეწოდოს“ (გვ. 567—568).

რეცენზენტი გვისაუკედურებს, რომ ასეთი
კვლევა-ძიების ჩატარება საჭირო არ იყო, რად-
გან კრებულის ეს სახელწოდება სამეცნიერო
ლიტერატურაში ჩვენი ნაშრომის შედეგად დამ-
კვიდრდა. რეცენზენტის პრეტენზიები უსა-
ფუძვლოა შემდეგ გარემოებათა გამო: ჭრი-
ერთა, არსად თავის ნაშრომში მას ამ საკითხზე
არაფეთარი მსჯელობა არა აქვს და, როგორც
ჩანს, არც ხეციალურ ლიტერატურას იცნობს;
მეორეც, ცნობები კრებულის სახელწოდების
შესახებ, თვით კრებულისა და ვახტანგის სამარ-
თლის შესავალშია დაცული და ამ „აღმო-

ჩენას“ ჩვენი რეცენზენტი ვერ დაიხეებს; მე-
სამეც, დიდმა მეცნიერმა ჩვენზე უკეთ იცოდა,
რომ ასეთი ცნობები დაცულია კრებულის შესა-
ვალსა და სამართლის წიგნებში, მაგრამ მანაც
საჭიროდ მიიჩნია კვლევა-ძიების წარმოება
კრებულის სახელწოდებისათვის და მას „ვახ-
ტანგ VI-ის კოდექსი“ უწოდა; მეოთხეც, არა-
სწორია რეცენზენტის მტკიცება, თითქოს კრე-
ბულის სახელწოდება უკვე დამკვიდრდა ლიტე-
რატურაში; დღესაც ბევრ სტატიასა და გამოკვ-
ლევაში ამ კრებულს „ვახტანგის კანონებად“ ან
„ვახტანგის კოდექსი“ იხსენიებენ; და მეხუთეც,
როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენი მოკრძალებული
მსჯელობა ეხება გამოჩენილი მეცნიერის
მოსაზრებას და არა სამართლის ძეგლის მო-
ხალისე გამოცემებს.

იგივე უნდა ითქვას შესახებ ჩვენი ნარკვევისა
„კრებულის შესავლისათვის“, რომელიც თ. ენუ-
ქიძეს შედმეტად მიაჩნია იმ მოსაზრების გამო,
რომ ამ საკითხს ისიც ეხება თავის ნაშრომში.
ამასთან მკითხველს საქმეს ისე წარმოუდგენს,
თითქოს ჩვენ არ ვიხსენებდით მის ნაშრომს.
მოგვყავს რა სამეცნიერო ლიტერატურაში გა-
მოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრე-
ბულის შესავალი წარმოადგენს ჩანარს, რომე-
ლიც შედგენილია ვახტანგის შემდეგ (დ. ბაქ-
რაძე), ვწერთ: „მაგრამ, როგორც ამჟამად უკვე
დადგენილია (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგ-
ნი, თ. ენუქიძის გამოცემა, 1955, გვ. 11),
კრებულის შესავალი შედგენილია ვახტანგ VI-ის
დროს“ (ტ. I, გვ. 570). ამასთან ერთად Q 575
ხელნაწერის, რომლის არსებობა თ. ენუქიძის
სათვის 1955 წ. ცნობილი არ იყო, შესავლის
ანალიზის საფუძველზე დავასკვნით, რომ ეს
ხელნაწერი „კოდექსი“ უნდა იყოს, რომელიც
ეს მისი სასარგებლოდ, რომ შესავალი დაწერი-
ლია კრებულის შედგენისთანავე“ (ტ. I, გვ. 571).
ვერ გავვიგია, ყოველივე ეს რატომ მიაჩნია შედ-
მეტად რეცენზენტს.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ თ. ენუქიძის
მცდარი მოსაზრება აქვს კრებულის შესავლის
ავტორის ვინაობის შესახებ. მისი აზრით, კრე-
ბულის შესავლის ავტორი მდივანმწიგნობარი
გივი თუმანიშვილია (ვახტანგ VI, სა-
მართლის წიგნი, გვ. 12—15). ნუთუ შეიძლება
ამაზე სერიოზული მსჯელობა, რომ მდივანმწიგ-
ნობარი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრე-
ბულის შესავლის ავტორად გამოვაცხადოთ (?).
როგორც მთელი კრებულის, ისე მისი შესავლის
ავტორად თავად ხელომდებელი მეფე ითვლება.
ცნობილია, რომ მდივანმწიგნობრები წერდნენ
და გადაწერდნენ კანონებისა და სიგელ-გუჯრე-
ბის ტექსტებს და, ზოგჯერ შეიძლება მის შედ-
გენაშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ საბუთების



ავტორებად შეფეხები ითვლებოდნენ, რომელთა სახელითაც ეს აქტები გაიცემოდა ან ქვეყნდებოდა.

როგორც ცნობილია, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში პირველ ძეგლად მოთავსებულია „სამართალი მოსესი“. ამ ძეგლის ტექსტის განსამართავად ბიბლიის ხელნაწერთაგან ე. წ. მცხეთის (A 51) ბიბლია გამოვიყენეთ, რომელიც ხაბას ნარქედაქციევად ითვლება. კიხივა-ხხვაობანი, რომლებიც ტექსტების შეჩერების შედეგად მივიღეთ, სქოლიოებში დავუერთეთ. მოსეს სამართლის ქართული ვერსია წარმოადგენს გამოხატვას „მეორე სჯულიდან“. გამოკრებისას ზოგჯერ ფრაზა ან მთელი წინადადება გამოტოვებულია. რაც ალაგ-ალაგ გადასწერის მექანიკური მუშაობის შედეგი უნდა იყოს. გარდა ამისა, შეინიშნება პატარ-პატარა დანართები ან დანაკლისები. „მოსეს სამართალი“, გარდა ერთი მუხლისა, მთლიანად ამოკრებილია „მეორე სჯულიდან“. რაც შეეხება „გამოსლვათა“ წიგნს, იქედან მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში არც ერთი მუხლი არაა შეტანილი (ტ. I, გვ. 572).

რეცენზენტი არ იხიარებს ჩვენს მოსაზრებას და ამბობს: „ეს დასკვნა სწორი არ არის. მოსეს სამართალში „გამოსვლათა“ და „მეორე სჯულის“ ხაერთო მუხლებიც არის გამოყენებული“ (საბჭ. სამართ. № 1, გვ. 78). უარყოფა დამტკიცება არ არის, ხოლო დამტკიცებისათვის რეცენზენტი თავს არ იჭუბებს. ასეთი ლიტონი განცხადება მეცნიერს არ შეეფერება. რაც არ შევხსნავლიათ და არ გიკვლივით, ხვობს იმაზე დავას ნუ დაიწყებთ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. კვლავ ვიმეორებ, „გამოსლვათა“ წიგნიდან არც ერთი მუხლი მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში შეტანილი არ არის.

ისიც ნიშანდობლივია, რომ ჩვენს გამოცემაში ზოგან დაშვებულ კორექტურულ შეცდომას რეცენზენტი უკრიტიკოდ იმეორებს და ბიბლიის წიგნის მართულ სახელწოდებას „გამოსლვათა“ ყველგან დამახინჯებით „გამოსვლათა“—დ წერს (იხ. გვ. 79—80).

„ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში შესული რამდენიმე უთარილო საბუთი დათარიღებულია კათალიკოსთა ზეობის წლებების მიხედვით. კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგის განსაზღვრის დროს ჩვენ სამი ნუსხით ვსარგებლობთ: 1. „საეკლესიო კალენდრის“ სრული ნუსხით, რომელიც თავის დროზე აკად. კ. კეკელიძემ შეადგინა, 2. ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ბ. დომინაძის ნუსხით, რომელიც მე-17—18 სს. კათალიკოსთა რიგს აწუსტებს და 3. კათალიკოსთა ზე-

ობის იმ თარიღიანი საბუთებით, რომლებიც „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომშია დაბეჭდილი და რომლის საფუძველზეც ჩვენ კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგის საყუთარი ნუსხა გვაქვს შედგენილი.

რეცენზენტი გვისაყვედურებს, რომ ზემოაღნიშნული საბუთების ლეგენდებში ჩვენ დამოწმებული არა გვაქვს ბ. დომინაძის ნაშრომი, „რაც სხვისი შრომის არა მარტო მიჩქმალვის, არამედ მითვისების კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშია“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეფეთა და კათალიკოსთა ქრონოლოგია, რომელიც სამცხე-ერო ლიტერატურაში დადგენილია და საყოველთაოდ ცნობილია, საბუთის მეტისმეტად მოყვლე არქეოგრაფიულ ლეგენდაში არ საქირებს იმის აღნიშვნას, თუ ვინ, სად და როდის დააწესა ეს ქრონოლოგია. მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში ჩვენ ვერ შევხვდით ასეთ დამოწმებას. ამავე დროს ზემოხსენებული საბუთების ლეგენდებში ჩვენ არ გვითქვამს და არც შეგვიძლო გვეთქვა, რომ „საბუთის დათარიღება ჩვენ გვეკუთვნის“ ან „დათარიღებულია ჩვენ მიერ“. ვითვალისწინებთ რა კათალიკოსთა უკვე დადგენილ ქრონოლოგიურ რიგს, ვწერთ „საბუთი თარიღდება კათალიკოსის ზეობის წლებით“.

ჩვენი ნაშრომის განქიებით გატაცებული რეცენზენტი ზოგიერთი ისეთი საბუთის დათარიღებაშიც გვედავება, რომელთა გამო ჩვენი მოსაზრება გვაქვს გამოთქმული.

საბ. № 228 „წყალბობის წიგნი დომენტი კათალიკოსისა წინამძღვარ ონოფრესადმი“. ეს საბუთი ჩვენ 1724 წლით დავათარიღეთ სამი მონაცემის მიხედვით: „საბუთი თარიღდება ქართლში ოსმალეთის დამყარების (1724 წ.) რეკებ ფაშას მიერ დომენტის კათალიკოსად აღდგენის (1724 წ. იხ. АКТЫ, ტ. I, გვ. 71) და დომენტის კონსტანტინოპოლში წასვლის წლით (1724 წ.)“ გვ. 1182.

№№ 254—257 საბუთებს 1739—1741 წლებით ვწერთ: „საბუთი შედგენილი უნდა იყოს კათალიკოსის ზეობის წლებით. მაგრამ საბუთი შედგენილი უნდა იყოს 1742—1752 წლებს შორის,

№ 287 „საბუთი თარიღდება ბესარიონ კათალიკოს დომენტის ექსორციციდან დაბრუნების ვათარიღებით და სამივე საბუთის ლეგენდაში ე. ი. ბესარიონის ზეობის პირველსა და ალექსანდრე მეფის უკანასკნელ წელს შორის“ (გვ. 1189).

„უქმებ.“ (გვ. 1186—1187).

ასეთთა საბუთების დათარიღების „მითხების თვალსაჩინო ნიმუში“, რომელსაც რეცენზენტი გვიკეთინებს. ალბათ რეცენზენტი იმასაც მითვისებდა ჩაგვითვლის, რომ ზოგიერთი უთა-



რილო საბუთის დათარიღებისას ვამბობთ: „საბუთი თარიღდება ვახტანგის ჯანიშინობის წლებით“ (1704—1711).

რეცენზენტი რამდენიმე ადგილას მიგვითითებს, რომ ჩვენს გამოცემებში ადგილი აქვს „სხვა მეცნიერების შრომების იგნორირებას“, არ ვიხსენიებთ „წინამორბედ მკვლევარებს“, მიზნად ვისახავთ რეცენზენტის „შრომის გაუფასურებას“, ვახდენთ მისი „აზრების პერიფრაზებს“. გადაკერით ამბობს თავის საკანდიდატო დისერტაციაზე, რომლის არაოფიციალური ოპონენტ უფაცო და წერილობითი რეცენზაცია დაწერით საატესტაციო კომისიაში წარსადგენად. რეცენზენტმა უნდა იცოდეს, რომ თუ ამ ბრალდებებს ვერ დაადასტურებს, ფაქტი კი არც ერთი არ მოჰყავს და არც შეუძლია მოიყვანოს, იგი შეიძლება მორალურზე უფრო მძიმე პასუხისმგებლობის წინაშე აღმოჩნდეს.

თ. ენუქიძე თავად პირშავად გამოიყურება ამ საქმეში, რაშიც სხვას ბრალსა სდებს. მოვფვანთ მხოლოდ ორ მაგალითს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის S 8688 ნუსხა რომ უძველესი და უფრო ვახტანგის ნარედაქციევი, ეს აზრი ექ. თაყაიშვილის ეკუთვნის. თ. ენუქიძე ცდილობს სახელოვანი მეცნიერის ეს დამასხურება მიჩქმალოს და თავად მისაკუთროს. ეგებარა აღნიშნულ ხელნაწერს, იგი მოურიდებლად წერს: „ახეთ ხანდო ხელნაწერად ჩვენ მივიჩნით (?) საქართველოს სახელმწიფო მუსეუმის ხელნაწერთა განყოფილების ყოფილი წ/კ გამაგრცელებელი საზოგადოების ფონდის S 8688 ხელნაწერი“ (ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 8—4). და იქვე დასძენს: „პროფ. ექ. თაყაიშვილის ვარაუდი (?) ამ ხელნაწერის სიძველისა და მისი ვახტანგის ხელში ნამყოფობის შესახებ ქეშარიტეხანთან ახლოს“ (?) (გვ. 8).

თ. ენუქიძის ორთაბახსხვეროანი ნარკვევის ძირითადი „დასკვნა“, რომელიც ავტორს მნიშვნელოვან აღმოჩენად მიაჩნია და ტექსტში კურსივით გამოუყვია, ასეთია: „თავდაპირველად ვახტანგის სამართლის ტექსტი მთავრდებოდა 204 მუსლითა და ბოლოს ტყუავობით... ამ მოცულობისა უნდა ყოფილიყო ვახტანგის სამართლის წიგნის I რედაქცია“ (იქვე, გვ. 20).

ეს აზრი პროფ. ალ. ხახანაშვილის ეკუთვნის: „ვახტანგ მეფის კანონები თავის თავად ორს ნაწილად განაყოფიერება: პირველი მისდის მე-204 მუსლამდე და შემდეგ იწყება მეორე ნაწილი, რომელსაც წინ უძღვის ახალი შე-

სავალი“ (ბატონყმაბა საქართველოში, 1910, გვ. 116—117). თ. ენუქიძე, ცხადია, იცნობს ამ ნაშრომს, მაგრამ არხად არ იხსენიებს, რაც „სხვისი შრომის არა მარტო მიჩქმალვის, არამედ მითვისების კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშია“.

4. ბუბლიკაციაში დაშვებული შეცდომების შესახებ

როგორც ცნობილია, თუმცა ეს ჩვენი რეცენზენტის სურვილის წინააღმდეგ მოხდა, „ქართული სამართლის ძეგლების“ ხუთი ტომი უკვე გამოქვეყნდა. მთელი ეს ბეჭდური მასალა 250 თაბახსა და 1650 ძეგლს შეიცავს. 1—4 ტომს დართული აქვს მეტ-ნაკლებად ვრცელი გამოკვლევები, არქეოგრაფიული შენიშვნები, პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებლები, ხოლო მე-5 ტომს — მოკლე არქეოგრაფიული აღწერა და შენიშვნები. ქართულ წყაროთმცოდნეობაში ჩვენ არ მოგვევსოვება მეორე ასეთი ვრცელი ბუბლიკაცია. ეს ნაშრომი ჩვენი მრავალი წლის სამეცნიერო-ტექსტოლოგიური მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს.

ამიტომ, ბუნებრივია, რეცენზენტისაგან ჩვენ მოველოდით გამოცემის არა მარტო შეცდომებისა და უარყოფითი ნიშნების გულმოდინე ძებნას, არამედ ნაშრომის დადებითი მხარეების აღნიშვნასაც. სამწუხაროდ, რეცენზენტის არაობიექტურობის გამო ეს არ მოხდა. რეცენზენტი მხოლოდ ცალმხრივად ატყუვდა ციფრულ სასიათს ატარებს.

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეორე ტომში, რომელიც 1966 წელს გამოვიდა, დაიბეჭდა: უმნიშვნელოვანესი საერო საკანონმდებლო აქტები (X—XIX სს.). ტომის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „საბუთების ერთი ნაწილი მოპოვებულია სარქივო ფონდებში და პირველად ქვეყნდება“. რაც შეეხება ტომში შესულ წინათ გამოცემულ საბუთებს, რომელთა ნუსხები დედნისა თუ პირების სახით შემონახულია, ისინი ხელნაწერების მიხედვით იბეჭდება, მაგრამ გათვალისწინებულია დაბეჭდილი ტექსტებიც: დაბოლოს, დოკუმენტების ნაწილი, რომელთა ხელნაწერები დღეისათვის დაკარგულად ითვლება, იბეჭდება არსებული ბუბლიკაციების მიხედვით. ამასთან ჩვენი გამოცემა, როგორც მკითხველი დარწმუნდება, ტექსტის გაგებებსა და გამართვის (ბუნებრივად, მუსულმად და აბზაცებად დაყოფა) მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება

ამ საბუთების წინათ გამოქვეყნებული ტექსტებისაგან. მხოლოდ ორიოდე კარგად გამართული და გამოქვეყნებული ტექსტი იბეჭდება ჩვენს გამოცემაში უცვლელი სახით“. (ტ. II, გვ. X).

ამრიგად, ჩვენ წინასწარ ვაუწყებთ მკითხველს ჩვენი პუბლიკაციის ძირითადი პრინციპები. თანაც დავძინეთ, რომ ჩვენ მიერ გამოცემული ტექსტები იკრიტიკებულად დადგენილი არ არის.

რეცენზენტი ამაოდ ცდილობს დაამტკიცოს, რომ პუბლიკაციის ჩვენ მიერ აღიარებულ პრინციპებს არ ვიცავთ. ჩვენს გამოცემაში არ არის არც ერთი საბუთი, რომლის ფონდში ან პუბლიკაცია მითითებული არ გვქონდეს. რეცენზენტს შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, როცა ბრალად გვდებს, რომ ჩვენ სხვის პუბლიკაციებს, გარდა ჩვენ მიერ მითითებული შემთხვევებისა, უცვლელად ვბეჭდავთ. იგი ვერც ერთ ფაქტს ვერ დაასახელებს. ამასთან თავისთავად ცხადია, რომ, რაკი ჩვენ ზოგიერთი საბუთის ნუსხა ხელთ არ გვქონდა და ტექსტი სხვისი პუბლიკაციის მიხედვით დავბეჭდეთ, „არქეოგრაფიული ხასიათის სამუშაოს“ შესრულების მოვალეობას ვერავინ დაგვაკისრებს. მხოლოდ რეცენზენტს შეუძლია ასეთი პრეტენზია წამოგვიყენოს. ჩვენ მხოლოდ იმ წყაროს ვუთითებთ, რომლის მიხედვითაც საბუთის ტექსტს ვაქვეყნებთ.

რეცენზენტს ვერ გაუგია ან მხედველობიდან გამორჩენია, რომ ჩვენი ტომები თემატიკურად არის შედგენილი. ამიტომ საყვედური იმის შესახებ, რომ XIII ს. მეტად საინტერესო საბუთი „სარჩელი სისხლისა“ (Hd 1589) ჩვენს გამოცემებში შეტანილი არაა, სრულიად უსაფუძვლოა. არ არის და არც უნდა იყოს.

რეცენზიაში აღნიშნული ტექსტოლოგიური შეცდომები და არასწორი წაკითხვები, თუმცა ჩვენ ხელნაწერებთან მათი ხელახალი შეჭერება ვერ მოვასწრებთ, არსებითად ხადვოდ არ მიგვაჩნია. მაგრამ ისინი არ იძლევიან საფუძველს რეცენზენტის დაუკვირებელი წამოძახილისათვის, რომ „დოკუმენტებისა და ტექსტების ასეთი გამოცემა მცინიერებისათვის ხაზინაა“. დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება

საისტორიო საბუთების არც ერთი პუბლიკაცია, სადაც ანალოგიური შეცდომები არ იყოს, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია ასეთი განცხადების გაკეთება. რეცენზენტი ბრაზობს, მაშასადამე, მართალი არ არის.

საბუთების გამოცემის ყველაზე ცუდ მაგალითად რეცენზენტს III ტომში შესული XV საუკუნის ძეგლი „მცნება სასჯულოა“ მოჰყავს და აწვადებს იმ შეცდომებს, რომლებიც ჩვენს ტექსტშია დაშვებული. როგორც მკითხველი დარწმუნდება, ეს შეცდომები უმთავრესად ორთოგრაფიული ხასიათისაა და ტექსტის აზრს არ ამახინჯებს. ამასთან რეცენზენტს არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ საბუთის დედანი (ეტრატი) მეტად დაზიანებულია, მარცხენა კიდეზე და შუაშიც ამოგლეჯილია, ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია. ამრიგად, მან მკითხველს განზრახ დაუმალა ძეგლის აწინდელი პდგომარეობა, რომელიც აღწერილი გვაქვს საბუთის ლეგენდში. თანაც მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, როცა ამბობს: ტექსტის დომინისეული დამუშავება „უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა“ ხელნაწერის ნიშნებს. მუხლებად დაყოფის არავითარი ნიშნები ტექსტში არ არის. მიუხედავად აღნიშნული შეცდომებისა, ძეგლის ამ სახით გამოცემაც დადებით მოვლენას წარმოადგენს, რადგან არსებითად იგი პირველად ქვეყნდება.

ცნობილია, რომ ტექსტის გამოცემისას, მთუმეტეს ასეთი დიდი და მრავალრიცხოვანი ძეგლებისა, შეცდომებისაგან არავინ დაზღვეული არ არის. შეცდომები გამოჩენილ ტექსტოლოგებსაც მოსდით. მოვიყვან მხოლოდ ორიოდე მაგალითს: „ქრონიკები“, II, გვ. 170: „სოფელი ნოსტე მი დო ბლი (?) სი ძეთ აგან შემოწირული“ — ხელნაწერშია: „სოფელი ნოსტე მი დო ბლი სი ძეთ აგან შემოწირული“; „საქართველოს სიძველენი“, II, 20: „...დაგწერეთ და გიბოძეთ... ხოლო სა თქუენსა შვილსა“ — ხელნაწერშია: „...დაგწერეთ და გიბოძეთ... ხოლას, ივანეს, შალვას“. ასეთი შეცდომები საისტორიო საბუთების ბოლოდროინდელ გამოცემებშიც საკმაოდ მოიპოვება.

შეცდომები და არასწორი წაკითხვები უხვადაა ჩვენი რეცენზენტის მცირერიცხოვან პუბლიკაციებშიც. უადგილობის გამო მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიტანთ.

ზანტანაის სამართლის წიგნი, 1955 წ.

„თუ მთხრობლით სწამობდეს და ღმრთა-მებელს მთხრობლის ტოლი ყმა ყვანდეს, კმაღში გაატანოს“ (მუხ. 38).

ხელნაწერშია

„თუ მთხრობლით სწამობდეს და ღმრთა-მებელს მთხრობლის ტოლი ყმა ყვანდეს, კმაღში გაატანოს“.

გამომცემლის ეს შეცდომა პროფ. გ. ნაღარევიშვილმა გაასწორა, რაც ჩვენს რეცენზენტს დიდი ხალისით არ მიუღია.

„იქნების, რომე კაცს კაცთან მართი ბაბრი ქონდესო, უთამასუქოდ, უთავდებოდ თეთრი ევალეზინოს“ (მუხ. 147).

„იქნების, რომე კაცს კაცთან მსტიზბარი ქონდესო, უთამასუქოდ, უთავდებოდ თეთრი ევალეზინოს“.

თ. ენუქიძის სიტყვა „ბარი“ საძიებელშიც დაუკანონებია ტექსტის დამოწმებით: „ბაბცე კაცთან მართი ბარი ქონდესო“ (გვ. 123).

წარმოუდგენელი გაუგებრობაა. გამომცემელს არ ესმის მუხლის შინაარსი და ამიტომ ტექსტში გადამწერის დამახინჯებული წაკითხვა შემოაქვს. მსტიზბარი უცხო სიტყვაა, რაც ნდობას ნიშნავს. მაშასადამე, აღნიშნულ მუხლში ლაპარაკია ნდობით, უთამასუქოდ სესხის მიცემაზე და არა ბარზე ან თოხზე. ალბათ ეს შეცდომაც „კარნახიდან მომდინარეობს“. ასეთი მცდარი წაკითხვები იშვიათად როლი გვხვდება ხსენებულ გამოცემაში. თვით სამართლის წიგნიც გამომცემლის მიერ დასათურებელია არასწორად. უძველეს ნუსხებში ძეგლს „სამართალი ბატონის შვილის ვახტანგისა“ ეწოდება და ასეც უნდა დარჩეს, რადგან იგი შედგენილია მისი ჯანიშნობის დროს.

იმის თვალსაჩინო ნიმუშად, რომ ჩვენი რეცენზენტი ვერ ერკვევა იურიდიულ ტექსტებში, საკმარისია დავასახელოთ დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის 1620 წ. განაჩენი, რომლის ტექსტი თ. ენუქიძემ 1962 წელს გამოაქვეყნა (ხელნაწირობის ინსტიტუტის მოამბე IV, გვ. 277—286). ამ გამოცემაში ტექსტი იხე შერწყმულია, პუნქტუაცია იმდენად გაუმართავია, რომ ვერ გაიგებთ, სად მთავრდება ერთი ხასისხლო დავა და სად იწყება მეორე. განაჩენში 13 სადავო საკითხია ცალ-ცალკე განხილული და გადაწყვეტილი. თ. ენუქიძე კი წერს, რომ „შვიდი სადავო საკითხია წამოყენებული“ (გვ. 277). თანაც რამდენიმე ადგილას ტექსტიც მცდარად წყუთხავს (გვ. 280, 283, 284). საბუთის ენუქიძისეული დასათურებაც მცდარია. ტექსტშივე სწერია, რომ საბუთი არის „განაჩენი“ და არა „გადაწყვეტილების წიგნი“, რაც თ. ენუქიძის რუსულად უთარგმნია: «документ (?) решения суда».

1971 წელს თ. ენუქიძემ გამოაქვეყნა სტატია „აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი“ („მრავალთავი“, I, გვ. 301—326), რომელშიც გამოტოვებულია არა ერთი მდივანბეგი, ქრონოლოგიაც არაზუსტია და მდივანბეგთა ბეჭდის ლეგენდებიც წაკითხულია შეცდომებით. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. ავთანდილ მდივანბეგის (წერილის ავტორმა არ იცის, რომ ავთანდილი გვარად

ერისთვის შვილია) შესახებ წერს: „უძველესი დოკუმენტი, რომელშიც იგი მდივანბეგად იხსენიება 1715 წლიხაა, მაგრამ მისი ბეჭდის ერთ-ერთი ლეგენდით — „მონა ლისა, ყმა გიორგისა, დივანბეგი ავთანდილ“ — ჩანს, რომ იგი გიორგი XI დროს უკვე მდივანბეგია, ამიტომ მისი მდივანბეგობის დასაწყის თარიღად გიორგი XI მეფობის უკანასკნელ წლებს ვიღებთ (1703—1709), ხოლო დასასრულად 1717 წ.“ (გვ. 308). მთელი ეს მცდარი მსჯელობა ბეჭდის ლეგენდის არასწორ წაკითხვაზე დაფუძნებული; ლეგენდა ასე იკითხება: „მონა ლისა, ყმა ვახტანგისა, დივანბეგი ავთანდილ“ (იხ. Hd 9686). მაშასადამე, ავთანდილ ერისთვის შვილი ვახტანგ VI-ის მდივანბეგი ყოფილა და არა გიორგი XI-ისა, როგორც თ. ენუქიძეს ჰგონია. ამ მართებული წაკითხვის საფუძველზე საკითხი ავთანდილის მდივანბეგობის წლების შესახებ თავისთავად წყდება.

რაც შეეხება ჩვენი პუბლიკაციის შეცდომებს, „ქართული სამართლის ძეგლების“ სათანადო ტომების სამუშაო ეგზემპლარებში გაცილებით მეტი შეცდომები გვაქვს აღნიშნული, ვიდრე დაინტერესებულმა რეცენზენტმა შენიშნა. ამ გასწორებებს ჩვენ თავის დროზე ხერხის ერთ-ერთ ტომს დავურთავთ. მაგრამ მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ჩვენი პუბლიკაცია მეტად საჭირო და სახარგებლო გამოცემაა, რომელიც მტკიცედ დაშვებულა და სამეცნიერო ლიტერატურაში და დიდ დახმარებას უწყევს საქართველოს ისტორიის ყველა დარგის მკვლევართ.

ქართული საისტორიო წყაროებისა და იურიდიული ძეგლების კრიტიკული გამოცემისათვის მზადდება მხოლოდ ახლა იწყება. აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა საისტორიო წყაროების კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ძეგლების გამოცემის 15-წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა. სხვა სერებს შორის ვათვალისწინებულა „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოსაცემად მომზადებაც. რა თქმა უნდა, ავტორთა კოლექტივი გაცილებით უკეთ განახორციელებს ამ საქმეს, ვიდრე აქამდე ერთი კაცი აკეთებდა.

სხვა საკითხებზე აღარ შევიჩერდებით. მით-

უმეტეს, რომ რეცენზენტი უმზრახად არის ჩვენთან 1967 წლიდან, როცა ზემდგომ ორგანოებში ანალოგიური „ქეზანი“ დაგვიწერა, ალბათ ამით აიხსნება რეცენზენტის მიერ მცნეიერული პაექრობისათვის სრულიად შეუფერებელი ტონისა და ეპიტეტების გამოყენება.

ჩვენი პასუხი „ჭართული სამართლის ძეგლების“ III ტომის წინასიტყვაობის ერთი ადგილით გვინდა დავამთავროთ: „საქმეში ჩახედული მადლიერი მკითხველი ტექსტებისა და შენიშვნების გაცნობისას „განწმენდილთა გონების თვალითა“ ცხადად დაინა-

ხავს იმ შრომას, რაც ჩვენ წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ტექსტების დადგენაზე გავწიეთ და ამის გამო ზოგ შეცდომახაც გვაპატიებებს, „რამეთუ ვინცა კაცთაგანმან უძლო ყოვლისავე უცთომელად წარმოთქუმაღ“.

რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვყავდა განწმენდილი გონების თვალის მქონე მადლიერი და არა უმადური მკითხველი, რომელიც არათუ შრომას დაგიფასებს და შეცდომას შეიწყნარებს, არამედ უსაფუძვლო ბრალდებებსაც კი წამოგიყენებს.

ი. დოლიძე



ოფიციალური მასალა

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე უ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უხარისხო მშენებლობისათვის კასუხისგზავლობის გაკლიერების შესახებ

უხარისხო მშენებლობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს 161¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 161¹. უხარისხო მშენებლობა

სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სამუშაოთა მწარმოებლების, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობის განმანორციელებელ თანამდებობის პირთა მიერ უხარისხოდ, ან ხელშეკრულებისა და პროექტის პირობების შეუსაბამოდ აშენებული საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკული და სხვა ნაგებობების საექსპლოატაციოდ ჩაზარება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ზუთ წლამდე ან ვამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ“.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 161¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამოძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მესამე ნაწილს ციფრის „160“ შემდეგ დაემატოს ციფრი „161“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუწინძე.
საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 იანვარი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე უ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებითა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

„დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 25 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 304¹ მუხლი:

„მუხლი 304¹. დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის წესი

განაჩენის დადგენისას სასამართლო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად წყვეტს იმ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების საკითხს, რომელთა ჯანმრთელობა დაზიანდა განზრახ დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად.

თუ აღნიშნული სახსრების გადახდებიდან შესახებ სამოქალაქო სარჩელი არ უოფილა წარდგენილი, სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის დადგენის დროს საკუთარი ინიციატივით გადიწყვიტოს აღნიშნული სახსრების გადახდების საკითხი.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს არ მიუღია გადაწყვეტილება ამ სახსრების გადახდებიდან შესახებ, მათი გადახდებიდან ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.

2. კოდექსის 320-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. გადაწყვეტილებას განზრახ დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ცნობილი იქნეს შესაბამისად მე-3 და მე-4 პუნქტებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1975 წლის 21 თებერვალი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლში დაბადების შემტანის შესახებ

„დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 25 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„სახსრები, რომლებიც დაიხარჯა იმ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობისათვის, რომელნიც დაბადებულნი ვანზრახი დანაშაულებრივი

მოქმედების შედეგად იმ შემთხვევების ვარდა, როცა დამნაშავე ზიანს მიაყენებს დაზარალებულს იმის გამო, რომ მან გადააჭარბა აუცილებელი თავდაცვის ფარგლებს ან დაზარალებულის არამართლობიერმა მოქმედებამ უფორად გამოიწვია დამნაშავეს ძლიერი სულიერი მღეღვარება) სახელმწიფო შემოსავალში გადახდებთან იმ ბირებს, რომლებიც მსჯავრდებულთ არიან ამ დანაშაულისათვის. აღნიშნული სახსრების ოდენობა გამოინგარიშება განაკვეთებით, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1975 წლის 21 თებერვალი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღგენს:

1. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანამდე მოქმედებენ საქართველოს სსრ სკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო ნოტარიატის საქმიანობას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კანონს.

2. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული არიან 1975 წლის 1 აპრილამდე.

3. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება ფულისა და ფასიანი ქაღალდების იმ პირისათვის დაბრუნების შესახებ, რომელმაც ისინი შეიტანა დეპოზიტში (დეპოზიტორისათვის), ვრცელდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც ფული და ფასიანი ქაღალდები მიღებულია სახელმწიფო სანოტარო კანტორის დეპოზიტში 1975 წლის 1 აპრილამდე.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1967 წ., № 6, მუხ. 353; 1973 წლის № 4, მუხ. 53).

5. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1975 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოჭანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1975 წლის 21 თებერვალი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯოჯიბერო საბანონომდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღგენს:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. კოდექსის 65-ე მუხლის მეორე და მესამე

ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ნოტარიულად დღასტურებულ რწმუნებულებს უთანაბრდება:

— პოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფი სამხედრო მოსამსახურის და სხვა პირის რწმუნებულებანი, რომლებიც დასტურებულია ამ პოსპიტლის, სანატორიუმის



სა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსი და მორიგე ექიმის მიერ; სამხედრო მოსამსახურის რწმუნებულება, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორა და სანოტარო ოქმების შემსრულებელი სხვა ორგანო, აგრეთვე მუშა-მოსამსახურის, მისი ოჯახის წევრების და სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრების რწმუნებულება, რომელიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ;

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირის რწმუნებულება, რომელიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ“.

2. კოდექსის 67-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რწმუნებულება, რომელიც განკუთვნილია საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად და არ შეიცავს მითითებას მისი მოქმედების ვადის შესახებ, ინარჩუნებს ძალას რწმუნებულების გამცემი პირის მიერ მის გაუქმებამდე“.

3. კოდექსის 552-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 552. ანდერძი, რომელიც უთანაბრდება ნოტარიულად დადასტურებულ ანდერძს ნოტარიულად დადასტურებულ ანდერძს უთანაბრდება;

1) საავადმყოფოში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფი ან მოხუცებულია და ინვალიდია სახლში მცხოვრები მოქალაქის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულია და ინვალიდია სახლის დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ;

2) სსრ კავშირის აღმით მცურავი საზღვაო ან შიდა ნავსადგომის გემზე მყოფი მოქალაქის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ გემის კაპიტანის მიერ;

3) სადაზვერვო, არქტიკულ და სხვა მათ შიგნით ექსპედიციებში მყოფი მოქალაქის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ ექსპედიციის უფროსის მიერ;

4) ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებაში სამკურ-

ნალოდ მყოფი სამხედრო მოსამსახურის და სხვა პირის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსი და მორიგე ექიმის მიერ;

5) სამხედრო მოსამსახურის ანდერძი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანო, აგრეთვე მუშა-მოსამსახურის, მისი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრების ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ;

6) თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ“.

4. კოდექსის 553-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„მონადერძის შეუძლია აგრეთვე მოშალოს ან შეცვალოს ანდერძი განცხადების შეტანის საშუალებით სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ხოლო იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორა არ არის — მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში“.

II. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. კოდექსის 58-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სასამართლოში საქმის აღძვრამდე წარმოებს სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ, სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონით გათვალისწინებული წესით“.

2. კოდექსის 253-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) საჩივარი სანოტარო მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის შესახებ“.

3. კოდექსის 286-ე და 287-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 286. საჩივრის შეტანა

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უმართებულოდ მიაჩნია შესრულებული სანოტარო მოქმედება ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა, უფლება აქვს ამის შესახებ საჩივარი შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახელმწიფო სანოტარო კანტორის, მშრომელთა დებუტატების სა-



ქალაქო, სადაბო, სასოფლო-სამეურნეო აღმასრულებელი კომიტეტის აღვლილსამყოფელის მიხედვით.

საჩივარი სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 552-ე მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა მიერ ანდერძისა და რწმუნებულების უმართებულო დადასტურების ან მის დადასტურებაზე უარის თქმის გამო შეაქვთ სასამართლოში შესაბამისად საავადმყოფოს, სხვა სტაციონარული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების, სანატორიუმის, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის, ექსპედიციის, პოსპეტლის, სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების, ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულების, სოხედრო სასწავლებლის, თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადვოკატურის მიხედვით.

საჩივარი სსრ კავშირის აღმზიანი სახლგარეშე შიდა ნაოსნობის გემის კაპიტანის მიერ ანდერძის უმართებულო დადასტურების ან მის დადასტურებაზე უარის თქმის გამო შეაქვთ სასამართლოში გემის მიწერის ნავსადგურის მიხედვით.

საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ათი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა სანოტარო მოქმედების შესრულება ან მის შესრულებაზე უარის თქმა.

დანიტრეგებულ პირებს შორის წარმოშობილ დავას იმ უფლებების შესახებ, რომელიც დამყარებულია შესრულებულ სანოტარო მოქმედებაზე, განიხილავს სასამართლო სსრ კავშირისა

და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სასარჩევლო წარმოებას წესობს.

„მშხლი“ № 7. საბჭოთაო განხილვა.

სასამართლო საჩივარს განიხილავს განმცხადებლის, სახელმწიფო ნოტარიუსის ან იმ თანამდებობის პირის მონაწილეობით, რომლის მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გამო შეტანილია საჩივარი, ამასთან მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის გადაწყვეტას.

4. კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სტევვა „ნოტარიუსის“.

III. „საქართველოს სსრ შრომელთა დებუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 12, მუხ. 191) შეტანილ იქნეს შემდეგ იცვლილთა:

კანონის 22-ე მუხლის „მ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) აწარმოებს სანოტარო მოქმედებას სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად“.

IV. „საქართველოს სსრ შრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის კანონის 25-ე მუხლს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ. № 12, მუხ. 212) დამატოს „რ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„რ) აწარმოებს სანოტარო მოქმედებას სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 მარტი.

საბჭოთაო საქართველო

1. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა წყდება დადგენილი წესით სარჩელის აღძვრის შედეგად

ქ. აშურის კომსომოლსკის უნივერსიტეტის აღძვრა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშათა მიმართების განყოფილებასთან არასათანადო ხარისხის ზეწრების მიწოდებისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. საქმის განხილვის პროცესში დადგინდა, რომ სადავო საქონლის ხარისხი შემოწმდა 1974 წლის 21 მაისს, რაზედაც შედგა აქტი, ხოლო სარჩელი სახელმწიფო არბიტრაჟში აღძრა 1974 წლის 30 დეკემბერს. მოსარჩელეს სარჩელზე უარი ეთქვა სასარჩელო ხანდაზმულობის ექვს თვიანი ვადის გასვლის გამო. ზეწესით შემოტანილ საჩივარში მოსარჩელემ განაცხადა, რომ სარჩელი მან აღძრა დროულად ჯერ კიდევ ოქტომბერში ვაჭრობის სამინისტროს საუწყებო არბიტრაჟში, რომელმაც საქმე წარმოებოთ მოსპო იმის გამო, რომ დავა საუწყებო არბიტრაჟს არ ექვემდებარებოდა, რის შემდეგაც მან მიმართა სახელმწიფო არბიტრაჟს. მოსარჩელემ არ აღძრა შუამდგომლობა განვიხილვის ხანდაზმულობის ვადის აღდგენაზე ამტკიცებდა რა, რომ სარჩელი მან აღძრა თავის დროზე, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მიმართა საუწყებო არბიტრაჟს. ზეწესითი საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ, ხოლო არბიტრაჟის გადაწყვეტილება სარჩელში უარის თქმის შესახებ დარჩა ძალაში. მომჩივარს განემარტა, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 83-ე მუხლის ძალით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა წყდება დადგენილი წესით სარჩელის აღძვრით, ამიტომ მისი მიმართვა საუწყებო არბიტრაჟში რომელსაც არ ექვემდებარებოდა საქმის განხილვა, ვერ ჩაითვლება დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დაცვად.

2. მხარეს, რომელმაც გაუშვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა

ხელშეკრულების დარღვევისათვის კუთვნილი ჯარიმის გადახდევინებაზე უფლება არა აქვს გადახდევინოს იგივე ჯარიმა მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 1974 წელს დადგენილი გეგმის შესაბამისად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, როგორც კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა შემკვეთი ვალდებული იყო 1973 წლის 31-დეკემბრამდე ჩაებარებია თავისი გენერალური მოიჯარისათვის (ტრესტი „არმტრანსშენისათვის“) ხელშეკრულების დადებისათვის სავირო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ფაქტურად ჩააბარა 1974 წლის 21 მარტს. სამუშაოები უნდა ჩატარებინა ქვემოთაღარ ტრესტს „არმგაზშენს“, რომელმაც სომხეთის სახელმწიფო არბიტრაჟში აღძრა სარჩელი ტრესტს „არმტრანსშენს“ მიმართ ჯარიმის გადახდევინებაზე მისთვის ქვესაიჯარო ხელშეკრულების დადებისათვის სავირო ტექნიკური დოკუმენტაციის დაგვიანებით გადაცემისათვის.

სომხეთის სახელმწიფო არბიტრაჟმა სარჩელი დააკმაყოფილა და გადახდევინა „არმტრანსშენს“ 5000 მან. ჯარიმის და სახბაჟზე გაწეული 200 მან. ტრესტის ანაზღაურება.

თავის მხრივ ტრესტმა არმტრანსშენსმა 1974 წლის 28 ნოემბერს აღძრა საქართველო-

სახელმწიფო არბიტრაჟში რეკრესული სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მისჯან 52 00 მან. ე. ი. ის თანხა, რაც მას გადახდა სომხეთის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, სახბაჟის თანხის ჩათვლით. ტრესტს „არმტრანსშენს“ სარჩელში უარი ეთქვა.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ტრესტს „არმტრანსშენს“, როგორც გენერალურ მოიჯარეს კაპიტალური მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულების შესახებ დადგენილი წესების 60 მუხლით ჰქონდა დამოუკიდებელი უფლება მოეთხოვა შემკვეთისგან ჯარიმა ტექნიკური დოკუმენტაციის დროზე ჩაუბარებლობისათვის. ასეთი სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 1974 წლის 1-იანვრიდან 26 მარტამდე (შესრულების დღე). მაშასადამე, ხანდაზმულების უკანასკნელი ვადა იყო 26 სექტემბერი. მან კი სარჩელი აღძრა 28 ნოემბერს, ე. ი. ხანდაზმულობის ვადის განვლის შემდეგ. ტრესტმა „არმტრანსშენსმა“ არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ზეწესითი საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

მომჩივანს განემარტა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1974 წლის 23.09 № 6-1-33 ინსტრუქციის მე-11 მუხლით მხარეს, რომელმაც გაუშვა სასარჩელო ხანდაზმულობის

ვადა ხელშეკრულების დარღვევისათვის კუთვნილი ჯარიმის გადახდევინებაზე, უფლება არა აქვს გადახდევინოს იგივე ჯარიმა მიყენებულ ზიანის ანაზღაურების სახით.

3. სახელმწიფო ბუის გადახდაზე გაწეული ხარჯი დაეისრება მოსარჩელეს, რომელმაც დაარღვია პრეტენზიის წარდგენისა და განხილვის დადგენილი ვადები

უკრონოპაქრობის კიევის ბაზამ აღძრა სარჩელი საქულტვაქრობის ბაზის მიმართ 1974 წლის ივლისში საქონლის ნაკლმიწოდებისათვის პირგასამტეხლოს თანხის გადახდევინებაზე. საქმის გარჩევის დროს მოპასუხემ წარმოადგინა მტკიცება იმისა, რომ პრეტენზიის განხილვის შედეგად კუთვნილი თანხა მან გადაურიცხა მოსარჩელეს ნებაყოფლობით. ამის საფუძველზე საქმე ძირითადი დავალიანების ნაწილში წარმოებით შეწყდა, ხოლო სახბაჟზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებაში მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოსარჩელემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და განაცხადა, რომ პირგასამტეხლოს თანხა სარჩელის აღძვრის შემდეგ იყო ჩარიცხული და ამის საფუძველზე მოითხოვდა მოპასუხისაგან სახბაჟის თანხას. საქმეში დართული მასა-

ლების შემოწმებით დადგინდა, რომ მოსარჩელემ გავზანა თავისი პრეტენზია 9 აგვისტოს, რომელიც მოპასუხეს ჩაბარდა 16 აგვისტოს, რაც ფოსტის გარბენის ნორმალურ დროს არ აღემატება. მასასადამე, პრეტენზიის წარდგენისა და განხილვის წესების შესახებ დებულების მე-13 მუხლის ძალით მოპასუხეს უნდა განეხილა ასეთი და გაეცა პასუხი 1974 წლის 16-ოქტომბრამდე. მან ჩარიცხა კუთვნილი თანხა 9 ოქტომბერს ე. ი. ვადაზე ადრე. მოსარჩელემ კი ნაადრევად 15 ოქტომბერს აღძრა სარჩელი ე. ი. თავისივე ბრალით გადაიხადა სახბაჟის თანხა, როცა ამის საჭიროება არ იყო. ამიტომ სახბაჟზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებაში მოსარჩელესათვის უარის თქმა სწორია. საჩივარი დარჩა უშედეგოდ.

4. კანონით დაწესებული ფორმის დაუცველობას გარიგების ბათილობა მოჰყვა

ვოლუსკის საქალაქო ვაჭრობამ აღძრა სარჩელი თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკასაგან საქონლის ნაკლმიწოდებისათვის დადგენილი პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე. სარჩელის საფუძველად წარმოდგენილი იყო სახარბიტრაჟოში დადებული № 58 სავაჭრო გარიგების ასელი, რომელსაც ფაბრიკის სახელით აწერდა ხელს ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი. გარიგებაში ნაჩვენებები იყო მისი მინდობილობის თარიღი და ნომერი. ფაბრიკამ სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ გარიგებაში ნაჩვენებები პირი არ იყო უფლება-მოსილი დაედო გარიგება ფაბრიკის სახელით, რამდენადაც მინდობილობით მას დავალებული ჰქონდა მხოლოდ საქონლის ხარისხის შემოწმებაში მონაწილეობის მიღება. სადავო სავაჭრო გარიგების წარმოდგენილ ასლზე არ იყო აღნიშვნა მისი სავაჭრო — საშუამავლო კანტორის მიერ რეგისტრაციაში გატარების

შესახებ. ყველა ამის გამო არბიტრაჟმა გამოითხოვა გარიგების და მინდობილობის დედნები და გარდა ამისა შეეკითხა სავაჭრო — საშუამავლო კანტორას იყო თუ არა რეგისტრირებული ასეთი გარიგება. გამოგზავნილი დებუებით სავაჭრო საშუამავლო კანტორის უფროსმა აცნობა არბიტრაჟს, რომ ასეთი გარიგება მათთან რეგისტრირებული არ არის. სახელმწიფო არბიტრაჟმა მიიღო მხედველობაში, რომ რსფსრის ვაჭრობის მინისტრის 1961 წლის 14. 8 № 496 ბრძანების თანახმად დადებული სავაჭრო გარიგების რეგისტრაცია სავაჭრო — საშემოსავლო კანტორაში სავალდებულოა, ხოლო სადავო № 58 გარიგება სათანადო წესით რეგისტრაციაში არ გატარებულა და მასასადამე, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 45 მუხლით იგი ჩაითვალოს ბათილად. მოსარჩელეს ძიებაში ეთქვა უარი. შემოტანილი ზეწყესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ.

5. ვადაშედეგის ანგარიშსწორების აკრედიტაციის ფორმაზე გადაყვანის უფლება მიწოდებელს აქვს მხოლოდ გადასახდელების სისტემატურად დაგვიანების შემთხვევაში

კალუსის ნავთსაძიებო ექსპედიციამ აღძრა სარჩელი ქუთაისისაგან პირგასამტეხლოს თანხის გადახდაზე 1974 წლის პირველ ნახევარში ბარბიტის ნაკლმიწოდებისათვის. მხარეების შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულე-

ბით გათვალისწინებული იყო ანგარიშსწორების საექცეპტო ფორმა ანგარიშების ინკასოზე ბანკში წარდგენის გზით. ამავე დროს ხელშეკრულებით გაპირობებული იყო, რომ საგადასახადო მოთხოვნების არა თავის დროზე განაღ-

დების შემთხვევაში მიმწოდებელს ენიჭება უფლება სამი თვის ვადით გადაიყვანოს მყიდველი ანგარიშსწორების აკრედიტივის ფორმაზე დავის პირველ ინსტანციაში გარჩევის დროს არბიტრაჟი დარწმუნდა რა პროდუქციის ნაკლმიწოდებაში სრულად დააკმაყოფილა მყიდველის სარჩელი. ზეწესით შემოტანილ საჩივარში ქუთბარიტმა აღნიშნა რომ მან 1973 წლიდან გადაიყვანა მოსარჩელე ანგარიშსწორების აკრედიტივის ფორმაზე, ვინაიდან იგი ხშირად აგვიანებდა ანგარიშების განადღებას, არ აღგენდა აკრედიტივებს და ამიტომ მოსარჩელეს კუთვნილი ბარიტი მიაწოდა სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც დროზე ანადღებენ მის ანგარიშებს

ზეწესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. მომჩივანს მიეთითა რომ მხარეების შორის დადებული ხელშეკრულების მე-3 და პროდუქციის მიწოდების დებულების 56-ე მუხლის თანახმად, გადასახდელების სისტემატური დაგვიანებისათვის მიმწოდებელს უფლება აქვს 3 თვემდე ვადით გადაიყვანოს ურჩი სხვა ქალაქელი ვადამწველი ანგარიშსწორების აკრედიტივის ფორმაზე. მაშასადამე, არც ხელშეკრუ-

ლება და არც დებულება მიწოდების შესახებ არ აძლევდა მას უფლებას შეეწყვიტა ბარიტის მიწოდება მყიდველისათვის და ვაეცა ისეთ ორგანიზაციებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებაში. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება რომ სიდავო პერიოდში 1974 წლის პირველ ნახევარში მიმწოდებელმა მოითხოვა აკრედიტივი 31 იანვარს როცა გაუნადღებელი იყო, მხოლოდ ერთი ანგარიში და ეს არ აძლევდა მას საფუძველს გადაეყვანა მოსარჩელე ანგარიშსწორების აკრედიტივის ფორმაზე, ვინაიდან ერთი ანგარიშის გაუნადღებლობა არ ნიშნავს გადასახდელის სისტემატურ დაგვიანებას. ასევე ვერ დაამტკიცა მიმწოდებელმა, რომ მყიდველი არ შეასრულა რომელიმე მისი მოთხოვნა აკრედიტივის წაყენების შესახებ.

ყველა ამის გამო მიჩნეულ იქნა, რომ ქუთბარიტმა ნამდვილად უსაფუძვლოდ დაარღვია ხელშეკრულება, მოსარჩელეს კუთვნილი პროდუქცია მიაწოდა სხვა ორგანიზაციას, რისთვისაც მას სრულად გადასხა პირგასამტენლოს თანხა, რაც აღემატებოდა 6.000 მანეთს.

ინფორმაცია

საპარტიო სსრ უმაღლესი სასამართლო პლენუმი

აკ. კარანაძის თემგდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელშიც განიხილა მეტად მწვავე და პრობლემური საკითხები.

„სასამართლო პრაქტიკა თვითნებურად აშენებული საცხოვრებელი სახლის (აგარაკის) ჩამორთმევის საქმეებზე“ პლენუმის მონაწილეებს გააცნო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა გ. ბახტაძემ.

რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გააქტიურებამ, — აღნიშნა მან, — გამოავლინა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონმდებლობის უხეშად დარღვევის მრავალი ფაქტი. გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის შესახებ კანონმდებლობის გვერდის ახვევას როგორც მოქალაქეთა, ისე იმ ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიერ, რომლებსაც ევალებათ ამ კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლი.

სასამართლოები ყოველმხრივ უჭერენ მხარს პარტიის მოწოდებას უკანონო ბინათმშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლის შესახებ.

ბინათმშენებლობის კანონის დარღვევათა ერთობლივად გამოვლენის შედეგად, შედარებით მოკლე დროში, ბევრი სარჩელი იქნა აღძრული სახლების ჩამორთმევის შესახებ აფხაზეთის ასსრ, თბილისის ახლო მდებარე რაიონების (გარდაბნის, მცხეთის, თეთრი წყაროს), მახარაძის, ღუშეთისა და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებში.

იმის გამო, რომ წინა წლებში სახლების ჩამორთმევის საქმეები მცირე რაოდენობით იხილებოდა, რესპუბლიკის სასამართლოებს არ ჰქონდათ შემუშავებული ერთიანი, მტკიცე პრაქტიკა ამ საკითხებზე.

სასამართლოები სრულყოფილად არ ითვალისწინებდნენ სახლების უნებართვოდ მშენებლობის საშიშროებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დარღვევებმა ფართო გავრცელება მიიღო და მასში ჩართული აღმოჩნდნენ ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენები.

სასამართლო პრაქტიკის მასალები გვიჩვენებს,

რომ რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის პირობებში აღმასკომებმა გააქტიურეს ყურადღება უკანონო ბინათმშენებლობის მიმართ. ამის შედეგად ბოლო პერიოდში განსაკუთრებით კი 1973 წელს, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო სასამართლოებში აღმასკომების მიერ აღძრულ სარჩელთა რიცხვი თვითნებურად აშენებული სახლების ჩამორთმევის თაობაზე.

უკანონო ბინათმშენებლობა არცთუ აშვიათად დაკავშირებულია მიწის მიტაცებასთან, უკანონო გზით შექმნილი სამშენებლო მასალის გამოყენებასთან, კანონის ახვევით მშენებლობის ნებაართვის მიღების დროს პროტექციონიზმის გამოვლინებასთან და სხვ.

მიწის მიტაცება და უკანონო ბინათმშენებლობა არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრებას, ზიანს აყენებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სოციალისტურ ორგანიზაციებს. კანონის ეს დარღვევა იწვევს ცალკეული მოქალაქეების პირადი მეურნეობის მეტისმეტ გაზრდას, ჰქმნის სტიმულს სახელმწიფო სამშენებლო მასალის გატაცებასათვის, ბიძგს აძლევს უკანონო გამდიდრებას, დიდძალი მატერიალური დოვლათის დაგროვებას ცალკეულ პიროვნებათა ხელში ყოველივე ეს კი, არცთუ იშვიათად, დაკავშირებულია სოციალისტური ქონების გატაცებასთან, მექრთამეობასთან, სხვადასხვა თანამდებობრივ დანაშაულთან.

მაგრამ სახალხო სასამართლოები უმოქმედობას იჩენდნენ ამ დარღვევათა თავიდან ასაცილებლად. სასამართლოები პასიური როლით კმაყოფილდებოდნენ და ელოდნენ აღმასკომების მიერ სარჩელების აღძვრას სახლების ჩამორთმევის შესახებ მაშინ, როდესაც პროფილაქტიკური ღონისძიებებით შეეძლოთ ზემოქმედება მოეხდინათ, რათა თავიდან აგვეცილებინა დარღვევები.

სასამართლოებს არ გამოჰქონდათ კერძო განჩინებები იმ თანამდებობის პირთა და ორგანოების მიმართ, რომელთა მხრივ წაყრუებამ ხელი შეუწყო უკანონო ბინათმშენებლობას.

ამ კატეგორიის საქმეები არ იხილებოდა გამ-



სველ სესიებზე, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით; საქმეთა განხილვისის დაშვებული უხეში პროცესუალური დარღვევები იწვევდნენ საქმეთა ვადაწყვეტის გაკიანურებას.

სასამართლოები რეაგირების გარეშე ტოვებდნენ იმ ფაქტებს, რომ თვითნებურა მკენებლობა გრძელდებოდა დიდხანს, ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოებრიობის თვალწინ და ისინი არ იღებდნენ ეფექტურ ზომებს ამის აღსაკვეთად.

უმრავლეს შემთხვევაში სარჩელის აღძვრა მხოლოდ მას შემდეგ ხდება, როდესაც სახლის მშენებლობა უკვე დამთავრებულია და მასში მენაშენის ოჯახი შესახლებულია.

სასამართლოები არ ითვალისწინებენ, რომ ისეთ პირობებში სარჩელის განხილვა — გააღწევტა გაცილებით მძიმე შედეგებთანაა დაკავშირებული, ვიდრე უკანონო მშენებლობის დასაწყისში.

სასამართლო თავისი აქტიური პროფილაქტიკური მოღვაწეობით, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში უნდა აღწევდეს არა მხოლოდ იმას, რომ სახლის ჩამორთმევის საქმე სწორად იხილებოდეს, არამედ პირველ რიგში იმას, რომ რაიონსა და ქალაქში პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონდეს უკანონო ბინათმშენებლობას.

სასამართლოები ასეთ საქმეებს იხილავენ ვიწროდ, არკვევენ მხოლოდ სარჩელის საფუძვლიანობას და არ ავლენენ სამართალდარღვევის მიზეზებსა და ხელის შემწყობ პირობებს. არის შემთხვევები, როდესაც აშკარაა, რომ სახლი აშენებულია უკანონოდ შეძენილი მასალით, თანამდებობის პირთა უკანონო ხელის შეწყობით, სასამართლო კი ყოველივე ამას რეაგირების გარეშე ტოვებს.

უფრო მეტიც, ყურადღება არ ექცევა ისეთ ფაქტებს, როდესაც სახლი აშენებულია კანონის აშკარად გვერდის ახვევით მიღებულ მიწის ნაკვეთზე, ფაქტიურად მიწის მიტაცების გზით.

პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, სასამართლოები შეცდომებს უშვებენ ამ კატეგორიის საქმეებზე კანონის კონკრეტულ დებულებათა გაგებაში, რაც ხელს უშლის ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დ. იაშვილი: უნებართვოდ აშენებული სახლების ჩამორთმევის საქმეები განეკუთვნება რთული კატეგორიის საქმეებს, თუ

წინა წლებში სახალხო სასამართლოში შემოდიოდა ამ კატეგორიის 3-5 საქმე, 1972 წლის ბოლო სამ თვეში შემოვიდა 120-ზე მეტი, და თითქმის ასე გაგრძელდა შემდეგ წლებშიც. გვადრთხილებდნენ საქმეთა განხილვის ვადების დაცვაზე, მთავარი კი იყო ამ საქმეთა სწორად გადაწყვეტა.

აღმასკომის უბრალო შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს, როდესაც მათი სარჩელი — უნებართვოდ აშენებული სახლის ჩამორთმევის შესახებ სასამართლოში არ კმაყოფილდება. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლი მოსარჩლეს ავალებს გარკვეული ფორმისა და შინაარსის სასარჩელო განცხადების შედგენას. აღმასკომი არ არის ისეთი მხარე, რომელზეც არ იცის კანონი. ჩვენ ერთი გვაქვს კონსტიტუცია, ერთი გვაქვს სამოქალაქო სამართლის კოდექსი. სასამართლოებისგან განსხვავებით აღმასკომები ღებულობენ სადირექტივო წერილებსაც მინისტრთა საბჭოდან, სახმშენიდან და სხვა ორგანიზაციებიდან. ამიტომ სარჩელის საფუძვლიანობაზე მთლიანი პასუხისმგებლობა უნდა გადაეიტანოთ მოსარჩლეზე, ამ შემთხვევაში აღმასკომზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. დევდარიანი:

ამ მიმართებით კანონიერების დარღვევებს ორი მხარე ჰქონდა. ერთი, რომ მოქალაქეები მართლაც თვითნებურად აშენებდნენ საცხოვრებელ ბინებს და მეორე რომ ორგანოები, ვისაც ეს ეხებოდა, გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდნენ მოქალაქეებს განეხორციელებინათ თავიანთი უფლებები.

სასამართლოები არავითარ მოთხოვნებს არ უყენებენ აღმასკომების მიერ აღძრულ სარჩელებს. თუ ჩვეულებრივ ვითარებაში, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლით სასამართლო ამოწმებს სასამართლოში წარმოდგენილ სარჩელის ფორმას და შინაარსს და თუ ის სათანადოდ არ არის შედგენილი, მოქალაქეებს ყოველთვის უკან ვუბრუნებთ, მსგავს მოთხოვნებს აღმასკომებს არ ვუყენებთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ე. წ. „ცხვარიჭამის საქმეებში“ აღმასკომების მიმართ ამ ღმობიერებამ გარკვეული სინდლეები შეგვიქმნა. ასე ხელაღებით ამ სარჩელების განხილვის კი მოჰყვა კანონიერების უხეში დარღვევა.

უდავოა, რომ საბჭოთა კანონმდებლობა არ იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მით უმეტეს მატერიალურ პასუხისმგებლობას. აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი იქნეს ბრალი. შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა, თუ როგორ არის აღძრული ხარჩელი მოქალაქის კონკრეტული ბრალის გარეშე.

ნათ. მეორეს მხრივ პროექტის განხორციელება ძნელია ვინაიდან არ არის სათანადო მასალა და ამ ვითარებაში სახლის აშენება პროექტის მიხედვით ხშირად წარმოუდგენელია. მძიმე მდგომარეობა იქმნება, მაგრამ თვითნებური მშენებლობის მიმართ შეურიგებელნი უნდა ვიყოთ. ზოგიერთს ჰგონია, მივცეთ კაცს თვითნებური მშენებლობის უფლება და ამით საბინაო სიმწვავეს შევანელებთო. სინამდვილეში კი ქალაქად არა თუ არ ვანელებთ, არამედ უღიფქვად ვართულებთ საბინაო პრობლემას თვითნებური მშენებლობის გზით. ყველაზე ცუდი, რაც თვითნებური მშენებლობის დარგში იყო ჩადენილი ეს შესაბამისი ორგანოების მიერაა ჩადენილი. ბოლოს და ბოლოს სახლი კოსტიუმი ხომ არ არის? შენდებოდა ეს სახლი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების ცხვირწინ და არავინ არ აქცევდა მას ყურადღებას. ახლა კი მოსაზაროლეს ვაუზნებით — გადაწყვიტეთ ეს მძიმე კაზუსი. ყველაზე სწორია დასაწყის ეტაპზე ბრძოლა თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ. მე გგონია ჩვენმა ტელევიზიამ, პასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებმა უნდა თქვან ამის შესახებ. ბოლოს და ბოლოს უნდა ვავიშვებოთ ეს მოქალაქეები, რომლებსაც დაუსჯელობის იმედი აქვთ და ფიქრობენ — სად ყოფილა შემთხვევა, ვთქვათ ხშირად მაინც, აგებული სახლის დანგრევისო? ამის შემდეგ დგება საკითხი მეორე შედეგზე (პირველი შედეგი ეს დანგრევაა) — ასეთი სახლის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებზე უსასყიდლოდ გადაცემისა. მეორე შედეგის განხორციელება ძალზე ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ მოგვსენებთ ალბათ რამდენ ათეულ ათასი ასეთი სახლი საქართველოში. თუ ვიგულისხმებთ, რომ თითოეულ ოჯახში დაახლოებით სამი-ოთხი სულია, წარმოიდგინეთ რამდენი მოქალაქის ინტერესს ეხება ფაქტი. ამ ვითარებაში ძალიან დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

აქ გამოსულმა ორატორებმა სწორად აღნიშნეს, რომ ჩვენ არა ვვაქვს თვითნებური ცნების განმარტება. ჩვენ ერთ ცნებაში ვავთქვიფთ მიტაცებულ მიწაზე თვითნებური მშენებლობა, მიწაზე, რომელიც სარგებლობაში ჰქონდა მიცემული მოქალაქეს და თვითნებური მშენებლობის სხვა ფორმები. ამიტომ სწორი არ იქნებოდა თვითნებურ მშენებლობად ჩაგვეთვალა არაშრომითი სახსრებით შექმნილი სახლი, აგებული სახლი და სხვ. მით უფრო ყოველი ამ ქმედობისათვის ჩვენ განსხვავებული სამართლებრივი შედეგები ვვაქვს გათვალისწინებული. საჭიროა კანონიერებისათვის ბრძოლა კანონიერ მეთოდებით. ჩვენ უეჭველად დავგ-

ვირდება ინიცირება დახმარება. საჭიროა სახლის მშენებლობის სხვადასხვა თვისებებების, ვთქვათ კლიმატური, გეოგრაფიულ და სხვა გარემოებათა გათვალისწინება. როცა ყველაფერი ეს იქნება, როცა თვით ტექნიკური ნორმები მშენებლობის შესახებ სრულყოფილი იქნება, მოსაპართეებსაც გაუადვილებათ ბრძოლა ამ მიმართებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ადვოკატი **ალ. ხოჭოლავაძე**:

როგორც ცნობილია, სოფლად სახლის მშენებლობა პროექტით სავალდებულოა 1974 წლის 1 იანვრიდან. პროექტით სახლის მშენებლობა ადგილობრივი მასალის გამოყენებასთან ერთად მოითხოვს სტანდარტულ სამშენებლო ნაქეთობათა და დეტალების გამოყენებას, რის უზრუნველყოფის საშუალება ამჟამად არ არსებობს. ჩემი დაკვირვებით სოფლად აგებული ყოველი 100 სახლიდან 80 სახლი არასტანდარტული მასალით, ანუ ბუნებრივ სახლების მასალის ანგარიშზეა აგებული. ამასთანავე სოფლად თვითნებურ მშენებლობასთან ბრძოლის გადატანა თავისი არქიტექტორებით, ტექნიკური ინჟინერების ბიუროებით, მართლმსაჯულების ორგანოებით და ადვოკატურით ძალიან დიდი ზედმეტობა არის სოფლისთვის. ამჟამად მოქმედი მსხვილბანელიანი ბინათმშენებლობის კომპინატების საერთო სიმძლავრე 380 000 კვ. მ. უდრის. საქმეში გვპირდება 1977 წლისთვის ამ სიმძლავრის 800 000 კვ. მ. აყვანას. მაშინ უფრო შესაძლებელი იქნება პროექტებით სახლია მშენებლობა სოფლად. სოფლად ამგვარი მშენებლობის საწინააღმდეგოდ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე კომპაქტური დასახლება ჩვენში. პროექტირება კი მოითხოვს კეთილმოწყობის ისეთ სახეებს, როგორიც არის აბაზანა, გაზი, წყალი. გავლილი სოფლებისათვის კეთილმოწყობის ამ ელემენტებით უზრუნველყოფა ჯერჯერობით შეუძლებელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო — საკონსულტაციო საბჭოს წევრი, პროფ. **შ. ჩიკვაძე** ვილი:

აუცილებელია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში განისაზღვროს თვითნებური მშენებლობის ცნება. დადგენილების პროექტში არის ზოგიერთი არასწორი მოსაზრებანი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში ნათქვამია, რომ აღმასკომს შეუძლია დაანგრიოს თვითნებურად აგებული საცხოვრებელი სახლი. ეს აღმინისტრაციული-სამართლებრივი ნორმაა. აქედან გამომდინარე, დადგენილებაში უნდა ითქვას, რომ თვითნებურად აგებული სახლის დანგ-

რეგის საკითხი სასამართლოს ქვემდებარე არ არის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თუ თვით მენაშენე არ დანაგრევს სახლს აღმასკომის წინადადებით, ასეთ სახლს დანაგრევს აღმოსკომი. მაგრამ ვისი სახსრებით? თვითნებური მენაშენის სახსრებით ხოლო ამ სახლების დანაგრევს შედეგად გაღებული თანხების დავა, უკვე სასამართლოს ქვემდებარეა.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. მარშანია:

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ პლენუმზე ასეთი აქტუალური საკითხი იხილება. მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ასსრ-თვის, სადაც 16.000-დე სხვადასხვა დარღვევის ფაქტს ჰქონდა ადგილი. ეს არის სახლის ფიქტიური ყიდვა — გაყიდვა, ოჯახის ფიქტიური გაყოფა, ფიქტიური ჩუქება და მრავალი სხვა. მიზანი კი ერთია — შავი ზღვის პირას აგარაკის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია ბევრი დადგენილება, მრავალი საკითხი კვლავაც დასაზუსტებელია. საქირთა ფრთხილად, სერიოზულად და ინდივიდუალურად მიუვლდეთ ამ საკითხის გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ალ. ლულუნიშვილი: სახლის ჩამორთმევაზე მასალები აღმასკომში მზადდება. მაგრამ აღმასკომები ამ მხრივ არ არიან სავსებით მომზადებულნი. სარჩელები ისეა აღძრული, რომ უმეტეს შემთხვევაში მათი დადებითი გადაწყვეტა შეუძლებელია, აღმასკომებს კი არ შესწევთ უნარი, რომ შემდგომში განსაზღვრონ ეს გადაწყვეტილებანი ე. ი. თვითონაც ურიტელობა ამ ფაქტს. მაგალითად მცხეთის აღმასკომს ჯერჯერობით არ ჰყავს იურისკონსულტი. მათ მიერ წარმოდგენილი მასალები არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც წარედგინება სასარჩელო განცხადებას. ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც მასალები პროკურატურას გადაეცემა და პროკურატურის მეშვეობით შედის იმ მასალები სასამართლოში. რატომ? აღმასკომს ხომ შეუძლია პროკურატურის გარეშე აღძრას სარჩელი სასამართლოში.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ავ. კობახიძე: თვითნებურ მშენებლობაში არსებითი დარღვევები მნიშვნელოვანწილად მცხეთის რაიონზე მოდის. მცხეთაში 230-მდე სახლი აშენებული იმ მოქალაქეების მიერ, რომლებიც მცხეთაში არ ცხოვრობენ. ამ სახლებისათვის მიწის ნაკვეთები არასწორად იყო გამოყოფილი და შემდეგ ზემდგომმა ორგანოებმა გააუქმეს ეს. როგორ უნდა მოვიქცეთ? ჩვენი ქოდექსი ამ საკითხს არ წყვეტს. რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ნათქვამია—

6. საბჭოთა სამართალი № 2

თუ გაუქმდება მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხელშეკრულება ასეთ ნაკვეთზე აშენებული სახლი ითვლება თვითნებურად თუ თვით მოქალაქეს მიუძღვის ბრალი ამ მიწის ნაკვეთის არასწორად გამოყოფაში ჩვენ მივმართეთ ანალოგიას. ეს როდესაც მოქალაქის ბრალზეა ლაპარაკი, მაგრამ თუ მოქალაქე არაბრალეულია, ჩვენ მას უსასყიდლოდ სახლს ვერ ჩამოვართმევთ. ამ დროს სახლის ჩამორთმევა სწორი არ იქნება. ამაზე პლენუმმა თავისი სიტყვა უნდა თქვას.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე შ. ლაკობა: ჩვენში რამდენიმე წლის წინათ ადგილი ჰქონდა ნაკვეთების მასობრივად მიტაცებას და ინდივიდუალური სახლების მასობრივ მშენებლობას. ეს ყველაფერი ადგილობრივი საბჭოების, ხელისუფლების წარმომადგენელთა თვალწინ ხდებოდა. კონკრეტულად დამნაშავე, პასუხისმგებელი პირები გაირიცხნენ პარტიიდან. ზოგის მიმართ სისხლისსამართლობრივი დევნაც კი აღიძრა. რა ვლყით თვითნებურ მენაშენეებს? მათი უმეტესობა მშრომელი ხალხია. არიან პირები, რომლებმაც ბოროტად დაარღვიეს მიწათსარგებლობის წესები, არაშრომითი შემოსავლით ააშენეს სახლები. მათ მიმართ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ. რა ვუყოთ დანარჩენ მშრომელ მასას? სისხლის სამართლის წესით საქმეები ისპობა, 107-ე მუხლით კი ეს სახლები ჩამოერთმევით ხოლმე მენაშენეებს. სწორად ვიქცევით? ისინი აქ 10-15 წელი და უფრო მეტი ხანია ცხოვრობენ. დღეს კი ჩვენ ვართმევთ ამ სახლებს და გადაცემთ ადგილობრივ საბჭოებს. შეუძლიათ, კი აღმასკომებს უზრუნველყონ ეს ოჯახები კომუნალური მომსახურებით? არა, არ შეუძლიათ. სახლი ინგრევა, მასში მცხოვრებ პირებს არ შეუძლიათ მისი გარემონტება. როგორ მოვიქცეთ? ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი — დაუმთავრებელი სახლი. ამ სახლში ცხოვრობს ოჯახი, მას სხვა საცხოვრებელი ადგილი არა აქვს, როგორ შეიძლება მათი გამოსახლება? აღმასკომს არ შეუძლია მათი დაქმყოფილება. ოჯახი ყოველწლიურად იზრდება. ფართობი არ ჰყოფნით. რა გქნათ? ამ კითხვებს სათანადო პასუხი სჭირდება.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი გ. ცირაშუა: სასურველია, რომ აღმასკომებმა სასამართლოებში მაქსიმალურად დასაბუთებული და საკმაოდ შეგროვილი მტკიცებულებები წარადგინონ, რომ სასამართლოებმა უფრო დროულად და ობიექტურად შესძლონ საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანა.



პლენუმზე წარმოდგენილ პროექტში ზოგიერთი პუნქტი დასაზუსტებელია.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი გ. მაისურაძე: დადგენილების პროექტში თვითნებურად აწინებული სახლის ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტისას დაშვებული შეცდომები მთლიანად სახალხო სასამართლოებზეა გადატანილი. ზოგიერთ შემთხვევაში ამ საკითხის გადაწყვეტისას არასწორ ორიენტაციას იძლევა თვით უმაღლესი სასამართლო. ეს უნდა თქმულიყო დადგენილების პროექტში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა: როდესაც მენაშენემ პროექტის უხეში დარღვევით ააშენა სახლი ზოგიერთ მოსამართლე მას მხოლოდ ზედმეტ ფართს ართმევს. ჩემი აზრით, პროექტით დარღვეული სახლი მთლიანად უნდა ჩამოერთვას მენაშენეს და პლენუმმა თავის დადგენილებაში ეს საკითხი უნდა განმარტოს. როდის უნდა შევიდოს საქმე სასამართლოში? აქ აღმასკომის მიერ აღძრულ სარჩელის დაკმაყოფილება — დაუკმაყოფილებლობაზე კი არ არის ლაპარაკი. აღმასკომი ხელდაეს, რომ სახლი დაუმთავრებელია, ამ სახლის დამთავრება კი პროექტის დარღვევას გამოიწვევს. ამიტომ სახლი აღმასკომმა თვით უნდა დაანგრის და ეს სასამართლოს მსჯელობის საგნად არ უნდა გახადოს. ხოლო თუ აღმასკომს მიაჩნია, რომ მოქალაქეს უნდა ჩამოერთვას საკუთრების უფლება, მაშინ სასამართლოში უნდა აღიძრას სარჩელი ამ სახლის აღმასკომის ფონდში ჩარიცხვისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. რომელაშვილმა, მშრომელთა დეპუტატების ვარდანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. დავუტამიროვმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე მ. მაჭავარიანმა, სახმშენის მთავარმა სპეცილისტმა გ. ჭავჭავაძემ, მშრომელთა დეპუტატების თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის მთავარმა არქიტექტორმა თ. მახარაშვილმა.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი—„სასამართლო პრაქტიკა მექრთამეობის საქმეებზე“. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ნ. ერქომაიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში გატარებული ღონისძიებების შედეგად შესამჩნევად გაძლიერდა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. ნაწილობრივ დაძლეული იქნა მექრთამეობის საშიშროების შეუ-

ფასებლობა, რამდენადმე გაიზარდა სასამართლო პროცესების აღმზრდელითი შემოქმედება და სასამართლოში საქმის განხილვის კულტურა.

ამასთანავე სასამართლო ორგანოების მეშვეობით ჩერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი.

მიუხედავად ამ დანაშაულის დიდი საზოგადოებრივი საშიშროებისა ცალკეულ საქმეებზე გამოაქვთ ლიბერალური განაჩენები და, რაც მთავარია, ირდევს სასჯელი ინდივიდუალიზაციის პრინციპები, რაც ასუსტებს ამ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობას.

განზოგადების მასალები გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ხშირად დაუსაბუთებლად იყენებენ სანქციის მინიმუმს და კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელს.


სასამართლოები უგულვებელყოფენ ხოლმე კანონის მოთხოვნას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის შემთხვევაში სასჯელის დამატებითი სახის — გადასახლების, ვაკვეფული თანამდებობის დაკავების ან გარაკვეფული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამოყენების შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში ჩერ კიდევ გხვდებით სამსჯავრო გამოძიების ზერელე ჩატარების, მტკიცებულებათა არასწორ შეფასების, პროცესუალური კანონმდებლობის დარღვევისა და დანაშაულის უსწორო კვალიფიკაციის ფაქტებს, რაც იწვევს ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში განაჩენებისა და განჩინებების გაუქმებას და შეცვლას.

ზოგჯერ არ ხდება გამიჯვნა თაღლითობისა მექრთამეობისაგან, არ არის ერთიანი ვიგება პასუხისმგებლობის ისეთი დამამძიმებელი გარემოების ვიგებაში, როგორცაა თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობა და არაერთგზის ჩადენილი დანაშაული და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია საკახაციო და საზედაზმედელო წესით ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომებს. უფრო მეტიც ზოგჯერ არა თუ დროულად არ სწორდება სასამართლოების შეცდომები, არამედ თვით კოლეგია უშვებს შეცდომებს, როგორც მტკიცებულების შეფასების, ასევე დანაშაულის კვალიფიკაციის ნაწილში.

გამართულ კამათში მონაწილეობდნენ:



დ. თამაზაშვილი — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე: სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ქრთამის აღება — მიცემაში თანამონაწილეობის სხვადასხვაგვარად გაგების შემთხვევები. რიგ შემთხვევაში გამოძიების და სასამართლოს მიერ სრულყოფილად არ ხდება მექრთამეობაში შუამავლის როლის გარკვევა და შუამავალი პასუხისგებაში მიეცემა, როგორც ქრთამის მიმღები ან მიმცემის თანამონაწილე, მაშინ, როცა მექრთამეობაში შუამავალი, როგორც თანამონაწილე უნდა მიეცეს პასუხისგებაში მხოლოდ მაშინ, როცა დადგენილია შუამავლის მიერ დანაშაულის ორგანიზატორის როლის შესრულება ე. ი. ქრთამის მიცემის ან აღების ინიციატორის როლის შესრულება და არა ისეთ შემთხვევაში, როცა ასეთი მოქმედების სურვილი გამოთქმულია ქრთამის მიღების ან მიმცემის მიერ და შუამავალი გამოდის ამ ორი პირის დამკავშირებლის როლში.

ო. ჭიბლაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი: პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ როდესაც თანამდებობის პირი რამოდენიმე პირისგან ერთდროულად იღებს ქრთამს ასეთი მოქმედება უნდა ჩაითვალოს ქრთამის არაერთგზის აღებად და იგი უნდა დაკვალიფიცირდეს 189-ე მუხლის მეორე ნაწილით. ეს დებულება სწორი არ არის. თვით კანონმდებელი განმეორებს იმიტომ თვის დაკვალიფიცირებელ ნიშნად და პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, რომ აქ მას მხედველობაში ჰყავს პიროვნება, რომელმაც ჩიდიანა დანაშაული, არ დაადგა გამოსწორების გზას, ბოროტად არ წყვეტს ის თავის განზრახვას და კვლავ იმეორებს იმავე დანაშაულს ე. ი. რეციდივს აქვს აღვილი.

ე. ჩიქვინიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი: მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ისახავდა მიზნად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, როდესაც პლენუმის 1969 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით სახალხო სასამართლოებს მისცა სახელმძღვანელო მითითება, რომელიც შეეხებოდა დეფიცირული საქონლის დახლის ქვემოთაღწევის ზედმეტად გაუფიქრებელი შემთხვევაში პირის მოქმედების 189-ე მუხლით დაკვალიფიცირებას. ასეთი მითითება მართლაც ჩვენ გვაქვს. არც **ჩხვინაძე** და არც **სხვა** მოკავშირე რესპუბლიკებში არ განიხილავენ ამ შემთხვევას ქრთამის აღება-მიცემად. რა შემთხვევაში კვალიფიცირდება ქრთამის აღებად დახლის ქვემოთაღწევის ზედმეტად გაუფიქრებელი შემთხვევას 170-ე მუხლის მეორე ნაწი-

ლით ე. ი. თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ჩვენც რომ ასეთი მითითება მიეცეთ სასამართლოებს სწორი იქნება და აი რატომ: საქართველოში ეს შემთხვევა ზრდის მექრთამეობის დანაშაულის რიცხვს და დასჯით პრაქტიკას ეს ამტკიცებს.

ზ. ტყეშელაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საჯონსულტაციო საბჭოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი: რას ნიშნავს დანაშაულის პიროვნებაზე მითითება? პიროვნების საკითხს არა მართლ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, არამედ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სტანდარტულად უღიგებს. ცნობილია, რომ ჩვენში სათანადოდ ვაწვდილობთ კრიმინოლოგიის და უკვე ვამოთხვევთ მრავალი მონოგრაფია მიძღვნილი დანაშაულის პიროვნებასადმი, მისი ფსიქოლოგიისადმი და სხვ. საქართველოს სსრ ხსენებული მე-2 ნაწილში არის ფრაზა — სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის პიროვნებასაც. ისიც ვიცით, რომ სასამართლოები ამ ფრაზას არ ხსნიან და პირდაპირ, ზოგადად წერენ განჩინებაში — სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში დანაშაულის პიროვნება აუწვია ან დაუწვია სასჯელი. უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში (პლენუმის ეს შეუძლია გააკეთოს) უნდა აღინიშნოს რა ტიპური მონაცემებს უნდა გაუწიოს სასამართლომ ანგარიში. სასჯელის კონკრეტული ზომის შერჩევისას.

ა. შუშინაშვილი — საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი: უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სამჯერ განიხილა სასამართლო პრაქტიკა მექრთამეობის საქმეებზე. თითქოს ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი ნათელია, მაგრამ პრაქტიკაში წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომელიც სრულად სხვადასხვაგვარად წყდება სხვადასხვა სასამართლოში. იმიტომ რომ ამ დანაშაულს თავისთავად რთული შემადგენლობა აქვს — ქრთამის მიცემა, აღება, შუამავლობა და სხვ. მერე აქ ისეთ ცნებებთან გვაქვს საქმე, რომელიც წმინდა შეფასებითი ცნებებია — თანამდებობის პირი, პასუხისმგებელი მდგომარეობა, გამოძალგა, ნებაყოფლობითი განცხადება. იმიტომ, რადგან შე-



ფასებზეა ლაბარაკო, აქ სუბიექტური მომენტის დაშვება მეტია, მეტი შესაძლებლობა არის სუბიექტივიზმისა.

მეჭრთამეობის შემადგენლობამ მთლიანად შთანთქა თაღლითობა. ხად იწყება თაღლითობა და სად მთავრდება მეჭრთამეობა, გაუგებარია. დასაზუსტებელია გამოძალვის ცნება. ის კლასიკური ცნება გამოძალვისა, რაც კოდექსშია გათვალისწინებული, ეტყობა საკმარისი არ არის. მას ამ ნიშნებზე მეტი ახასიათებს მეჭრთამეობის დროს.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კარანაძემ.

განიილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები კონკრეტულ საქმეთა გამო.

ლ. ისაბაძე

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობა რესპუბლიკური კავშირის კრება

გამართა საქართველოს სსრ იუსტიციის და სასამართლო ორგანოების მუშაობა რესპუბლიკური აქტივის კრება. კრებამ შეაჯამა იუსტიციის და სასამართლო ორგანოების შარშანდელი წლის მუშაობის შედეგები და დასახა მათ წინაშე მდგომი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

აქტივმა მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის ზ. რატიანის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თ. შავგულიძის მოხსენებები.

მომხსენებელმა ზ. რატიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XIV პლენუმმა განიხილა სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფის საკითხები, რომლებსაც დიდი მცენიერული და პრაქტიკული ღირებულება აქვს. 1974 წელი ღირსშესანიშნავია შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაუმჯობესების ახალი გზების ძიებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პლენუმამდე შეისწავლა იუსტიციის სამინისტროს მუშაობა. შემოწმებამ გამოავლინა ჩვენი მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები, კანონისადმი

თვითნებური დამოკიდებულების მრავალი სავალალო ფაქტი. მეტად მდარეა საქმეთა განხილვის ხარისხი. გვხვდება საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურების, ლიბერალიზმის, პროტექციონიზმის ფაქტები. მომხსენებელმა ილაპარაკა სამართალწარმოების კულტურის შესახებ. მისამართის ძირითადი საქმიანობა — აღნიშნა მან — დაკავშირებულია აღამიანებთან კონტაქტთან ამიტომ მოსამართლე ტაქტიანი და ზრდილობანი, თავშეკავებული და სამართლიანად მკაცრი უნდა იყოს. აღამიანებთან ურთიერთობის კულტურა, სასამართლო დოკუმენტის შედგენის კულტურა უნდა ახასიათებდეს მოსამართლეს როგორც მოქალაქეს, პირთვნებასა და მუშაკს.

შემდეგ მომხსენებელმა დამსწრეთ მოაწოდ ინფორმაცია საქართველოს სს რესპუბლიკაში დანაშაულის მდგომარეობის შესახებ, დიდი ყურადღება დაეთმო დასჯიის პრაქტიკას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასჯითი პრაქტიკა ჩვეთან გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. მან მოიყვანა მაგალითება სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც მეტყველებენ მასზე, რომ ზოგიერთი სასამართლო არ ახორციელებს სწორ დასჯით ღონისძიებებს, რაც ხელს არ უწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიურ ბრძოლას. ხაშურის რაიონის სასამართლომ, ქიმიერძეს, რომელიც სამართალში იყო მიცემული ავტოავარიისათვის, რასაც შედეგად აღამიანის სიკვდილი მოჰყვა, სამი წელი მიუთხაჯა. ეს სასჯელიც მკაცრად მოეჩვენა მოსამართლეს და შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეუტევალა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმადლესი სასამართლო განხილავდა კვიციანის ბრალდების საქმეს, რომლის დანაშაული გათვალისწინებული იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 165-ე მუხლით. მან რესპუბლიკის გარეთ გაიტანა 10 ტონა მსხალი. საქმე შეწყვიტეს წარმოებით იმ საფუძვლით, რომ ვერ დადგინდა გაყიდვის ფაქტი. ვანა შეიძლება დაიჯერო, რომ 10 ტონა მსხალი სხვა რესპუბლიკაში გატანილია უანგარო მიზნით? კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში დიდი ყურადღება დაუთმო სასამართლოებში საქმეთა განხილვის ვადის დაცვას. თუმცა ღონისძიებები განხორციელდა, მდგომარეობა მაინც არ არის სახარბიელო მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვადების უხეში დარღვევა ხშირად სასამართლო პროცესების ცუდი ორგანიზაციის შედეგია.

ვრცლად შეჩერდა რა კადრების პროფესიული დაოსტატების აუცილებლობაზე, მომხსენებელმა საკმაოდ არ მიიხნია ამ დარგში გაწეული მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე დ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონის, სამართლის პატივისცემა თითოეული მოქალაქის პირადი რწმენა უნდა გახდეს. სამართლის პროპაგანდის დონის ამაღლების, მისი კოორდინაციის მიზნით საბჭოთა, პროცაკეშირულ, კომკავშირულ და აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ტარდება კომპლექსური ღონისძიებები. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ეწყობა სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული კონფერენციები, დეკადები, შეხვედრები. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაძლიერდა საბჭოთა სამართლის პროპაგანდა პრესის, რადიოს და ტელევიზიის მეშვეობით. სამართლებრივი აღზრდის ძირითადი მიზანი ის არის, რომ მან საბოლოო ანგარიშში ხელი შეუწყოს მშრომელთა მართლშეგნების ამაღლებას. განხორციელებულმა ღონისძიებებმა მოქალაქეთა შეგნებაში წარუშლელი კვალი უნდა დატოვოს, მშრომელები დიარაზმოს ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა ადვოკატურისა და მმაჩის ორგანოების საქმიანობა.

მომხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო პასუხსაგები კამპანიის — სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის მზადებას. ჩვენს კადრებს — აღნიშნა მომხსენებელმა, — წაყვანებით ყველაზე დიდი მოთხოვნებია. ისინი უნდა იყვნენ აბსოლუტურად მოუსყიდველნი, კრისტალურად

პატიოსანი ადამიანები ჩვენს წინაშე მდგომი ცალკეული ამოცანები სირთულითა და მრავალფეროვნების მიხედვით შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებებით, ორგანიზაციული მუშაობის სხვადასხვა მეთოდებით. ორგანიზატორული საქმიანობის მეცნიერულ საფუძველზე დაყენების გადამწყვეტი პირობაა მისი პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების სრულყოფა. მეცნიერული მართვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, ხელმძღვანელობის ქვეკუთხედია პარტიული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობის სწორად შეხამება.

საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თ. შავგულიძემ აღნიშნა, რომ ამჟამად, როგორც არასდროს, მიმდინარეობს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების შესასრულებლად. დამნაშავეობასთან ბრძოლა პარტიას ერთ-ერთ გადამდებელ და მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია. თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ გაძლიერდა, ძირეული გარდატეხა ჯერ კიდევ მიღწეული არ არის. უმადლესი სასამართლო არის ორგანო, რომელიც კონტროლს უწევს სოციალისტური კანონიერების დაცვას. მის გამართულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული მართლმსაჯულების განხორციელება.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 126-ე მუხლის მიხედვით მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. აქედან გამომდინარე, უპირველესი დოკუმენტია, რომელიც კონტროლს უწევს სასამართლოსა და მოსამართლეს, არის კანონი.

საქართველოს კომპარტიის XIV პლენუმის გადაწყვეტილებები მოითხოვს ამაღლდეს კონტროლის მეცნიერული დონე, ყოველმხრივ გაანალიზდეს დამნაშავეობის დინამიკა და ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე მოეწყოს მის წინააღმდეგ ბრძოლა. მომხსენებელი არსებითად განიხილავს რესპუბლიკაში დასჯითი პრაქტიკას.

საქმეთა შესწავლის ანალიზმა, აღნიშნა, მან, ცხადყო, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ დასჯითი პრაქტიკა საქართველოში სწორად ხორციელდება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან სამართალში მიცემულის კოლექტივისთვის გადაცემა და აღმინისტრაციული სასჯელები ბევრად უფრო ნაკლებად გამოიყენება, ვიდრე რსფს-რში. მოსამართლეები რატომღაც გაურბიან საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხ. II ნაწილს, 52-ე, 53-ე მუხლების გამოყენებას და საქმის შეწყვეტის ნაცვლად მსჯავრდებულებს უფარდებენ შრომა-გამასწორებელ სა-მუშაოებს ან პირობით სასჯელებს. მომხსენე-

ბელს მოპყავს იმის მაგალითები, რომ ხშირად ფორმალურად გვაქვს დანაშაულის ნიშნები, მაგრამ არსებითად ისინი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სისხლის სამართლის საქმე არც უნდა აღძვრას.

ბოლო წლებში რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანების ფსიქიკაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. განაწორცილა თუ არა რაიმე ღონისძიებანი უმადლესმა სასამართლომ ჯანსაღი მორალური კლიმატის შესაქმნელად. ბევრი რამ, რათქმა უნდა, გაკეთდა სამართლის პროპაგანდის დარგში. მაგრამ სასამართლოს სხვა უკეთესი იარაღი აქვს ხალხის მართლშეგნების ამაღლებისათვის. ეს არის კარგად მოწყობილი სასამართლო პროცესები, ვასვლითი სესიები და სხვ.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა პრესისა და სასამართლოს ურთიერთდამოკიდებულებაზე.

—პრესა უდიდესი მაკონტროლებელი ძალაა და დიდი როლი ეკუთვნის სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგრამ ხშირად გაზეთებში იბეჭდება ისეთი წერილები, რომლებიც მიზნის საპირისპირო შედეგს იძლევა. არ არის შერჩეული თანრი. ზოგჯერ პრესის ფურცლებზე განაჩენი წინასწარ გამოაქვთ. ცხადია, ასეთი პრაქტიკა სწორი არ არის. პრესის შეუძლია მოათავსოს ამ თემებზე მითხილვითი წერილები, მაგრამ უფლება არა აქვს განაჩენის დადგენამდე ბიროვნება დამნაშავედ გამოაცხადოს.

უმაღლესი სასამართლოს პირველი მოადგილე შეეხო სასამართლო პროცესების ჩატარების კულტურას, უმაღლესი სასამართლოს და საოლქო სასამართლოების კონტაქტებს და აღნიშნა, რომ თუ მათი ურთიერთობა არ მოწესრიგდა უმაღლესი სასამართლო უზენაესობას ვერ ვასწავს.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ შ. ლაკობამ ილაპარაკა აფხაზეთის ასსრ სასამართლო ორგანოების მუშაობაზე, წამოაყენა კონკრეტული წინადადებები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას. შ. ლაკობამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ საქმეთა განხილვის ხარისხს. დანაშაულის პროფლაქტიკის ხაზით გაწეული მუშაობა უკვე იძლევა პირველ შედეგებს. აფხაზეთის სასამართლოები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ კანონის შესაბამისი განაჩენის გამოტანას, რათა იგი ზუსტად შეესაბამებოდეს ჩადენილ ქმედობას და მსჯავრდებულის ბიროვნებას. შ. ლაკობამ გააანალიზა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში დასკვნითი პრაქტიკის მაჩვენებლები და აღნიშნა, რომ იგი ამაღლდა მძიმე დამნაშავეთა მიმართ სასჯელის ზომების გაზრდის შე-

დედად. შ. ლაკობამ თქვა, რომ აფხაზეთის სასამართლო ორგანოებს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მინიმალური პირობებიც არ გააჩნიათ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოში რვა წევრია. ამის გამო ირდევია ვადები. მთელ უმაღლესი სასამართლოს ერთი შემანქნავე ემსახურება მცირეა მივლინების თანხები. ხშირად ეწყობა გამსვლელი სესიები, რომლებიც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. გამოყოფილი თანხა კი ამის საშუალებას არ იძლევა. ხშირად აუცილებელია შორეული ქალაქებიდან დაზარალებულების გამოძახება. მაგალითად, ჩიტადან გაუპატიურების საქმეზე გამოვიძახეთ დაზარალებული, რომელსაც უნდა ვადაუხადოთ გზის ფული 270 მანეთის ოდენობით, სასამართლოს კი ამის შესაძლებლობა არა აქვს.

დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა კიროვის რაიონის მოსამართლის ვ. შვანიას გამოსვლა.

აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრმა დ. ბაქელიძემ მიმოიხილა რესპუბლიკაში დამნაშავეების მდგომარეობა. მან არ გაიხიარა აქტივის კრებაზე გამოთქმული აზრი, თითქოს აჭარის ასსრ რესპუბლიკაში მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში ცოტა რამ იყოს გაკეთებული. საგრძნობლად გაუმჯობესდა სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხარისხი. ძირითადად მართებულად ხორციელდება დასჯითი პრაქტიკა. დასამალი არ არის, რომ სასამართლო ორგანოები არ არიან დაზღვეული შეცდომებისაგან. ზოგჯერ არის საქმეთა გაციანურების შემთხვევები, ირდევია განხილვის ვადები. აჭარის სასამართლო ორგანოები ღონისძიებებს ახორციელებენ ნაკლოვანებათა უახლეს დროში გამოსასწორებლად. დ. ბაქელიძე რწმუნას გამოთქვამს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა დ. ჩორგოლაშვილმა დამსწრეთ გააცნო რესპუბლიკაში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის მდგომარეობა. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა აქვთ ჩატარებული როგორც სახალხო სასამართლოებს, ისე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას. სისტემატურად ხდება ცალკეული კატეგორიის საქმეების შესწავლა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენისათვის. მაგრამ, საქმეთა ხარისხი კვლავ ცუდია. წლების მანძილზე გადაწყვეტილებათა გაუქმება სტაბილურია და არ მცირდება. შარშან გაუქმდა გადაწყვეტილებათა

16,7 პროცენტი, შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა 10,5 პროცენტი, ე. ი. ყოველი მესამე გადაწყვეტილება ან უქმდება, ან იცვლება; ხოლო ამას თუ დავუმატებთ ზედამხედველობის წესით გაუქმებულ გადაწყვეტილებას, სურათი არასახარბიელოა.

სასამართლოები უშვებენ სხვადასხვა დარღვევებს, სათანადოდ არ აფასებენ წარდგენილ მასალებს, ავლენენ კანონის უცოდინარობასაც კი, რაც ყველაზე დამაფიქრებელია. ხშირად გადაწყვეტილება უქმდება პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევის გამო. ეს არც ერთ მისამართლეს არ ეპატიება.

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ გადაწყვეტილებათა გაუქმების მეტად დიდი პროცენტია მცხეთის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, ხაშურის სასამართლოებში. ამ სასამართლოებს არა აქვს მტკიცე პრაქტიკა სახლების ჩამორთმევის კატეგორიის საქმეთა განხილვაში. პარტიისა და მთავრობის მითითებანი, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დარგში კანონმდებლობის დარღვევის აღმოსაფხვრელად, ზოგიერთმა მუშაკმა სწორად არ გაიგო. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე ამ საკითხის განხილვის დროს მართებულად აღინიშნა, რომ პარტიისანი, კეთილსინდისიერი მშრომელისათვის, რომელიც, თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე სახლს აშენებს, ეს სახლი ყველაფერია. სასამართლომ მეტად ფრთხილად უნდა გადაწყვიტოს ამ კატეგორიის საქმეები.

ასეთი საქმეების გადაწყვეტისას, უნდა გვახსოვდეს, რომ მიწის მიტაცება და უკანონო მშენებლობა არღვევს სახელმწიფო საკუთრებას, ზიანს აყენებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს სოციალისტურ ორგანიზაციებს, ქმნის სტიმულს სამშენებლო მასალების გატაცებისათვის, ხშირად ისინი პროტექციონიზმის თუ სხვა ნეგატიური მოვლენების გამოყენებით აღწევენ ხოლმე მიწის გამოყოფის უფლებას.

ადვოკატმა მ. ესიპოვსკიამ ილაპარაკა მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატის როლზე. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში ადვოკატის ავტორიტეტი ამაღლდა. მაგრამ ზოგჯერ სასამართლოები ადვოკატს „გერებოვით“ ექცევიან. უმაღლეს სასამართლოში რაიმე ცნობის მიღება ადვოკატისათვის თითქმის გადაუჭრელი პრობლემაა. სახალხო სასამართლოში ადვოკატთა სამუშაო ოთახები მინიმალურ მოთხოვნისდასაც ვერ აკმაყოფილებს.

პროფ. ნ. წერეთელმა ილაპარაკა იურიდიული სამსახურის დიდ მნიშვნელობაზე. იგი შეეხო ახალგაზრდა იურისტთა კადრების აღზრდის საკითხს და აღნიშნა, რომ სახელმწიფო გამოცდებზე მომავალი იურისტები ცოდნით ვერ

ბრწყინავენ. ამას ერთგვარად ზღეს უწყობდა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი ამზადებდა მხოლოდ ორთოდოქსალურ კადრებს. ახლა ხდება კადრებით სპეციალიზაცია სამეურნეო-სამართლებრივი, სახელმწიფო-სამართლებრივი და სასამართლო საპროკურორო პროფილით.

საქართველოს სსრ პროკურორის პირველ მოადგილეს ლ. თალაკვაძეს არ მიაჩნია მართებულად, როგორც ზ. რატიანის, ასევე თ. შავგულიძის მოსაზრებანი სასამართლოებში დასჯით პრაქტიკაზე. ამ საკითხზე ზ. რატიანის მსჯელობა პროცენტების მოშველიებით არ შეიძლება ზუსტად ჩაითვალოს, ვინაიდან სასჯელის განსაზღვრა ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. არაუშუსტია თ. შავგულიძის მტკიცება, რომ დასჯითი პრაქტიკა მიძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სწორად ხორციელდება. ლ. თალაკვაძემ მოიყვანა სტატისტიკური მონაცემები დასჯითი პრაქტიკისა და აღნიშნა, რომ „ბრძოლა“ დასჯითი პრაქტიკის მაღალი პროცენტისათვის სასურველ შედეგს ვერ გვაძლევს და იწვევს მოკლევადიან პატიმრობებს. ბევრი საქმე 7-8-10 კაბიჭზეა აგებული. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 99, 99¹ მუხლის ძალით დამნაშავე პირები საზოგადოებას გადაუცემა თავდებქვეშ. ამის შესახებ თათბირებზე ხშირად არის ლაპარაკი, ქმედითი ზომების მიღება კი არ ხდება. ლ. თალაკვაძე აღნიშნავს, რომ ხშირად გამოიძვას უსაფუძვლოდ უბრუნებენ საქმეებს ხელახალი გამოძიებისათვის. მას მიაჩნია, რომ ეს საერთო საქმეს აყენებს ზიანს. თავისი გამოცვლის გარკვეული ნაწილი მან დაუთმო სასამართლოწარმოების კულტურის საკითხებს. ხშირად მხარეთა შორის კამათი ურთიერთმეურაცხყოფაში გადადის. ესაბია საქმის განხილვის დროს პროკურორისა და დაცვის პოზიციებში შეიძლება სხვაობა იყოს, მაგრამ ორივე მხარე არსებითად ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი ე. მეტრეველი შეჩერდა სახალხო მეურნეობის სისტემაში სამართლებრივი სამსახურის მდგომარეობის საკითხებზე.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დებუტატების სოლქო აღმასკომის იუსტიციის განყოფილების გამგე მ. გაჯოღემა ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, იმ დონისძიებებზე, რაც ამჟამად ხორციელდება ახალი ამოცანების დონეზე მათი მუშაობის გარდაქმნისათვის.



ქალოქ ქუთაისის პირველი სანოტარო კანტორის უფროსმა გ. კობახიძემ დამსწრეთ გააცნო ქუთაისის სანოტარო კანტორის საქმიანობა. ახალმა შენობამ საშუალება მოგვცა მინიმალურ დროში შევასრულოთ სანოტარო მოქმედებები.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კობახიძემ აღნიშნა, რომ, მართალია, უკანასკნელ ხანს იუსტიციის სამინისტრო ქმედით დახმარებას უწევს მცხეთის რაიონის სასამართლოს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უხერხულობაა. მცხეთის რაიონს შარშან შეუერთდა გარდაბნის რაიონის დიდი ნაწილი. ცხადია, ამან გამოიწვია სასამართლოში შემოსულ საქმეთა რაოდენობის გაზრდა. ამას გარდა, მცხეთაში ბევრია სპეციფიკური საქმეები, მაგალითად, თვითნებური სახლების ჩამორთმევისა ქალაქსა და სოფელში. ასეთ პირობებში სასამართლო მწვავედ განიცდის ტექნიკურ მუშაკთა სიმცირეს, სასამართლოს არ ჰყავს თარჯიმანი, დამტარებელი. ა. კობახიძემ წინადადება შეიტა-

ნა გადაისინჯოს იურიდიულ ფაკულტეტზე აბიტურიენტთა ჩარიცხვის არსებული წესი.

აქტივზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვეს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ს. ხუხარევა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. მანელაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი გ. ვაზუნია, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია ღონისძიებები იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ლ. შანტშირა.

შეიქმნა სამართლის სახსია

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებასთან შეიქმნა სამართლის სექცია. მისი მიზანია განამტკიცოს და გააფართოოს კონტაქტები უცხოეთის სხვადასხვა იურიდიულ ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან, გააცნოს უცხოეთს საქართველოში სახელმწიფო და სამართლის განვითარების თავისებურებები და მოქმედი სამართლებრივი პრინციპები. სამართლის სექციის დამფუძნებელ სხდომაზე აირჩიეს სექციის გამგეობა 50 კაცის შემადგენლობით. გამგეობის შემადგენლობაში შედიან საქართვე-

ლოს სსრ თვალსაჩინო იურისტები — მეციენრები და პრაქტიკული მუშაკები. არჩეულია სექციის ბიურო 15 კაცის შემადგენლობით. სამართლის სექციის პრეზიდენტად არჩეულია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ყვანია, ვიცე-პრეზიდენტებად — ეურნალ ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ოთარ კაციტაძე და საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ლერი თალაკვაძე. სამართლის სექციის მდივანად არჩეულია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნიბლია უგრეხელიძე.

შესაშდრა აპერიკულ პროკურორთან

16 აპრილს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში ამ საზოგადოების სამართლის სექციის წარმომადგენლები შეხვდნენ აშშ კალიფორნიის შტატის გენერალურ პროკურორს იველ იანგერს, რომელიც მეუღლეთურთ რამდენიმე დღეს იმყოფებოდა საქარ-

თველში. ამერიკელ სტუმარს ესაუბრნენ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე, უმაღლესი სამართლის თავმჯდომარე ა. კარანაძე, ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორი ო. კაციტაძე, პროფ. გ. ყვანია, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მ. ლიკვერევილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სა-

მართლის რედაქციის გამგე გ. მაყაშვილი, აღ-
ვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომე-
რის მოადგილე გ. როინიშვილი, რესპუბლიკის
პროკურატურის თანამშრომელი თ. ფოცხვერია
და სამართლის სექტორის თანამშრომლები ბ. სა-
ვანელი და ლ. გიორგაძე.

საუბრისას, რომელმაც მეგობრულ და საქმიან
ვითარებაში ჩაიარა, ი. იანგერმა პასუხი გასცა
ქართველ იურისტთა შეკითხვებს იმის შესახებ,
თუ რა ფუნქციებს ასრულებს შტატის გენერალ-
ლური პროკურორი, როგორია მისი ურთიერთ-
დამოკიდებულება შტატის გუბერნატორთან, რა
კავშირია პრაქტიკოს იურისტებსა და მეცნიერ
სამართალმცოდნეთა შორის და სხვ. საუბრის
ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა სასჯელის უმაღ-
ლესი ზომის მიზანშეწონილობის საკითხი. სტუ-
მარმა აღნიშნა, რომ ამერიკელი მოქალაქეების,
მათ შორის ამერიკელ იურისტთა უმრავლესობა
სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, მაგრამ პრაქ-
ტიკა ცხადყოფს, რომ 100-დან 80 შემთხვევაში

სასჯელის უმაღლესი ზომა უდავო გამართლე-
ბულად უნდა ჩითვებოდეს, რამდენადაც საქმე
ებება უადრესად საშიშ, ფაქტიურად გამოუსწო-
რებელ დამნაშავეებს — მკვლელებს, მოძალა-
დეებსა და სხვ. ამიტომ, — განაგრძო სტუმარ-
მა, — კალიფორნიაში და ზოგიერთ სხვა შტატ-
ში რამდენიმე წლის წინათ აკრძალული სასჯე-
ლის უმაღლესი ზომა კვლავ იქნა აღდგენილი.

ი. იანგერსმა ილაპარაკა აგრეთვე ამერიკაში
არასრულწლოვანთა დანაშაულობის არაჩვეუ-
ლებრივ ზრდაზე და ერთ-ერთ მიზეზად იმისა,
რომ ასეთ დამნაშავეთა დასჯა გაძნელებულია,
დაასახლა საპასპორტო სისტემის არარსებობა.
ამ მხრივ, — თქვა მან, — საბჭოთა კავშირის
პრაქტიკა უსათუოდ მისაბამია. სტუმარმა დიდი
კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შესაძ-
ლებლობა მიეცა თავისი თვლით ეხილა საქარ-
თველოს სს რესპუბლიკა, მისი დიდი მიღწევები
საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარ-
გებში და კონტრაქტი დაემყარებინა ქართველ
იურისტებთან.

ქალთა საერთაშორისო წლის მიეძღვნა

28 აპრილს გაიმართა საზღვარგარეთის ქვეყ-
ნებთან მეგობრობისა და კულტურული კავში-
რის საქართველოს საზოგადოების სამართლის
სექციის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქალის სა-
ერთაშორისო სხდომა გახსნა სექციის ვიცე-
პრეზიდენტმა, უფროსმა „საბჭოთა სამართლის“
რედაქტორმა ოთარ კაციტაძემ. მან ილაპარაკა
იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გაერ-
თიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1975
წლის ქალის საერთაშორისო წლად გამოცხადე-
ბას. სექციის პრეზიდენტის, პროფესორ ვიფო
შვანას მოხსენება მიეძღვნა საერთაშორისო სა-
მართალში ქალის დისკრიმინაციის აღკვეთის
პრობლემას. მოხსენებელმა დაახასიათა საბ-
ჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყ-
ნების თათსნობით გაეროს მიერ მიღებული სა-
ერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, რომლე-
ბიც მყარ იურიდიულ საფუძველს ქმნის იმი-
სათვის, რათა მთელ მსოფლიოში ქალებმა უფ-
ლებრივად გაუთანასწოროდნენ კაცებს და საკა-
ნონმდებლო და სხვა ღონისძიებებით უზრუნ-
ველყოფილი იქნეს ამ თანასწორობის მიზნის

განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების
ყველა სფეროში. მოხსენებელმა ილაპარაკა აგრ-
ეთვე ქალის საერთაშორისო წლის პროგრამა-
ზე, რომლის ღონისძიებებში მოწინავე როლს
ასრულებენ საბჭოთა კავშირის ქალთა ორგანი-
ზაციები.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თამარ
ცაგურას მოხსენების თემა იყო ქალის შრომი-
თი უფლებები სსრ კავშირში. მოხსენებელმა
მკაფიო სურათი დახატა იმისა, თუ რა განსაკუთ-
რებულ ზრუნვას იჩენს საბჭოთა სახელმწიფო
მშრომელი ქალისადმი. სხდომამ ინტერესით მო-
ისმინა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის
გიორგი ხარატიშვილის მოხსენება ქართველი
იურისტთა ქალების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის მდივანი ზინა-
იდა კვაჭაძე, ქართველი მწერალი ქალები და
საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

სხდომის შემდეგ ნაჩვენები იქნა ქართველი
რეჟისორი ქალის — ნანა მჭედლიძის ახალი
ფილმი „პირველი მერცხალი“.

მეცნიერება და ტექნიკა

საეკონომიკურ-პრაქტიკული კონფერენციები აღიგნა

პარტიის ადიგენის რაიკომმა და საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ 1974 წლის 18 ოქტომბერს პარტიის ადიგენის რაიკომის სხდომათა დარბაზში გამართეს სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ნ. წერეთელი, ნ. ლომსაძე, დოცენტი გ. ადვიშვილი.
მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე და მსმენელებს მთელ რიგ საკითხებზე პასუხი გასცა ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლემ ბ. ბაპაშვილმა.



25 მარტს პარტიის ადიგენის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. იგი მოაწვეეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის პროკურატურამ და საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომმა.

კურატურის განყოფილების პროკურორი ს. სიამაშვილი — „მიწათსარგებლობისა და ბინათ მშენებლობის საკითხები“; საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი დ. ჯიჯელავა — „პროტექციონიზმისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა საერთო-სახალხო საქმეა“; მომხსენებლებმა ამომწურავად უპასუხეს მსმენელთა მრავალ შეკითხვას.

შ. აბულაძე,

ადიგენის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, იურისტი.

ლაქსიანი მუშა-მოსამსახურეებისათვის, მუშაინიშნა მსაჯულათან

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ო. გვამასნიანმა და ალ. ლუღუნიშვილმა წლეულს, 7 და 8 აპრილს, საჩხერის ხე-ტყის დამზადების ბაზისა და სამტრედიის საჩხერის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებისათვის წაიკით-

ხეს ლექციები თემებზე: „საზოგადოების როლი მექრთამეობის და საზოგადოებრივი ქონების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“, „სიხსნეები შრომის კანონმდებლობაში“. მათ ამომწურავი პასუხები გასცეს დამსწრეთა კითხვებზე.

8 აპრილს ო. გველესიანი და ალ. დუდუნიშვილი საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლოს სხდომათა დარბაზში შეხვედნენ სახალხო მსაჯულებს. შეხვედრა გახსნა რაიონის სახალხო მოსამართლემ ო. მიტაძემ.

მსაჯულებისათვის მოეწყო მეცადინეობა თემაზე: „სახალხო მსაჯულთა როლი სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვაში“.

ა. ანასაშვილი

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა ოპერატიული თათბირი

წლეულს 2 აპრილს გაიმართა სიღნაღის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა ოპერატიული თათბირი.

მონსწევა — „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა რაიონის პროკურორმა ა. პაიტაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ: რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. რიბიტაშვილი, საგამომძიებლო ჯუჯის უფროსი გამომძიებელი ი. ბაილაშვილი, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე მ. მანაშვილი, სასამართლო-პროკურატურის პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ქურდაშვილი, საქართველოს სსრ რეს-

პუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი ი. ჩაღუნელი და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ქრეაშვილი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ანს. მ. ქარშიძემ.

ბ. კაპაშვილი,

სიღნაღის რაიონის პროკურორის თანაშემწე

ნ ა რ ე კ ი

საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს ცნობის თანახმად, 1974 წლის განმავლობაში ამ ქვეყნის საბაზუს აგენტებმა კონფისკაცია უყვეს 2 ტონა ჰაშიშის, 92,4 გირვანქა ჰერონიუმს, 46 გირვანქა ოპიუმს, 306 გირვანქა მარისუანასა და ლსდ-ს (პალუცინაციების მომგვრელი ქიმიკატი) 2100 დოზას.

* * *

ქურდებმა მოიპარეს ველოსპორტში მსო-



ფლიოს ჩემპიონის ედი მერქისს ყველა მედალი და ჯილდო, რომელიც კი დასავლეთის ქვეყნებში ამ ერთ-ერთმა ყველაზე უფრო პოპულარულმა და მრავალ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა სპორტსმენმა მიიღო თავისი კარიერის განმავლობაში.

როდესაც ედი მერქსი და მისი მეუღლე შინ დაბრუნდნენ (ისინი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელის გარეუბანში ცხოვრობენ), მათს ბინაში იატაკზე მხოლოდ ერთი ოქროს მედალი ეგდო — მოყვარულთა მსოფლიოს ჩემპიონის მედალი. გტყობა

ქურდებს ეს მედალი წასვლისას ხელიდან გაუვარდათ.

* * *

თანახმად ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობებისა, საფრანგეთში ყოველი ოთხი ქალიდან ერთი ქორწინების დღისათვის ორსულად არის.

* * *

ირლანდიის დედაქალაქის დუბლინის გარეუბანში დაბანაკებული მოხეტიალე ცირკიდან მოიპარეს... სპილო! წლევიანდელი წლის თებერვლის ერთ ბნელ ღამეს ქურდებმა 5 წლის „სინდის“ ბორკილება შესნეს და წაიყვანეს. ცირკის პატრონება არ ჰკარგავენ იმეუს, რომ „სინდის“ ვეალი (!) მოიძებნება.



* * *

არაოფიციალური ცნობებით, ქ. რიო დე ჟანეიროში ტრადიციული ყოველწლიური კარნავალის ჩატარებისას 8-დან 11 თებერვლამდე დაიდუბა 276 ადამიანი. გარდა ამისა დაშავდა კიდევ 9800.

* * *

კალიფორნიის (აშშ) ერთ-ერთ სასამართლოში განიხილებოდა ვინმე ბერტ რობინსის (იგი 74 წლისაა) საქმე, რომელსაც

ბრალად ედებოდა ავტომანქანის მართვის წესების დარღვევა. ბრალდებულმა აღიარა, რომ 20 მილით გადაატარა სიჩქარის მაქსიმალურად დაშვებულ ლიმიტს, მაგრამ მან თავისებურად განმარტა წესრიგის დარღვევის ამ შემთხვევის მიზეზები.

რობინსმა განაცხადა, რომ მისი მოშინაურებული პიტონი „კაპიტანი“ (მისი სიგრძე 5 მეტრს აღემატება, წონა კი — 50 კილოგრამს) ამოძვრა კასრიდან და კისერზე შემოეხვია პატრონს. რობინსმა მანქანა გზის პირას შეაჩერა და შეეცადა გამვლელი მანქანების მძღოლების ყურადღება მიეზღო. სამწუხაროდ, არავინ მოისურვა გაჩერებულიყო და დახმარებოდა რობინსს. მაშინ მან აქსელარატორს დააჭირა ფეხი იმიედით, რომ მიიქცევდა პოლიციის ყურადღებას.

ამას სასურველი შედეგი გამოიღო. მაგრამ როდესაც პოლიციის ოფიცერმა ველტონ ლიიმ თვალი მოჰკრა უშველელ მანქანებელს, დახმარების ნაცვლად 65 დოლარის ჯარიმის ქვეთარი ჩააბარა რო-



ბინსს, სიჩქარის დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებისათვის.

რობინსმა და „კაპიტანმა“ სასამართლოს მიაშურეს. მოისმინა რა განმარტება, მოსამართლემ რიჩარდ ტომსონმა გაამართლა ბ. რობინსი.

* * *

ქ. მონრეალის (კანადა) ერთ-ერთი სასტუმროს ბარში სამი შეიარაღებული კაცი შევიდა. მათ 60 მოწმის თვალწინ 4 კაცი

მოკლეს. ატყდა სროლა, რომლის შედეგად მძიმედ დაიჭრა კიდევ 5 ადამიანი (მათ შორის ერთი ქალი).

კვებეკის პროვინციულმა პოლიციამ განაცხადა, რომ ოთხივე მოკლული მათთვის „კარგად ცნობილი“ პიროვნებები იყვნენ. ამ მკვლელთბას უკავშირებენ მეორე მასობრივ მკვლელთბას, რომელიც ერთი უჯით აღრე მოხდა: 21 იანვარს „გარგანტუას“ ლამის კლუბში, რომელსაც ერთობ საეჭვო რეპუტაცია აქვს, შევიდა შეიარაღებული განგსტერების ჯგუფი. ისინი ჯერ კლუბის პატრონს გაუსწორდნენ, შემდეგ კი ყველა, ვინც კი იმ ღამეს კლუბში იყო, საწყობში ჩაკეტეს და შენობას ცეცხლი წაუკიდეს. ამის შედეგად გაიგუდა კიდევ 12 კაცი. როგორც ჩანს, მონრეალის განგსტერების სხვადასხვა ბანდებს შორის გააფთრებული ომი მძვინვარებს.

* * *

ქ. ლოს ანჯელესში (აშშ) 1971 წელს ვინმე ტიმოტი მეკი პოლიციამ დააკავა, რადგან ქალს ხელჩანთიდან 15 დოლარი ამოაცალა. მოსამართლე ჰეიდენმა ჯიბვირობისათვის მას პირობითი სასჯელი მიუსაჯა. პირობა იმით გამოიხატებოდა, რომ მეკს აკრძალული ჰქონდა 1976 წლამდე ქუჩაში გამოსვლა თუ ხელებზე ხელჯაგს (ხელთათმანი, რომელსაც მხოლოდ ერთი თითი აქვს) არ ჩაიცვამდა.

ამას წინად ორმა პოლიციელმა ტიმოტი მეკს თვალი მოჰკრეს, როდესაც იგი ერთ-



ერთ ბანკში შედიოდა. იგი ხელშიშველა აღმოჩნდა. ჯიბვირი დააკავეს. იმავე მოსა-



მართლმ მას 8 თვით ცინე მიუსაჯა. ამას-
თანავე, პირობითი სასჯელის ვადა სასა-
მართლომ 1980 წლამდე გააგრძელა. მეტი
უკმაყოფილოა: იმ დროისათვის დაბერდე-
ბით (ამჟამად ტიმოტი 45 წლისაა). მაგრამ
იგი თავს იმითი იმშვიდებს, რომ სულს
მოვითქვამ, რვა თვე მაინც ხელშიშველა
ვივლიო.

* * *

ნიუ ჯერსის (აშშ) სასამართლომ გააუქმა
ფინზე ლუის დევენპორტის ქორწინება.

54 წლის ლ. დევენპორტმა შარშან აპ-
რილში ითხოვა 24 წლის ბრენდა ადამსი.
რამდენიმე კვირის შემდეგ პატარძალმა მო-
ულოდნელად მიატოვა ახლადშექმნილი
ფაქანი და მიიმალა. ლ. დევენპორტმა მია-
კითხა თვითმომსახურების მაღაზიას, სადაც
გათხოვებამდე მუშაობდა მისი საცოლოე. მა-
ღაზიის თანამშრომლებისაგან გაოგნებულ-
მა ლ. დევენპორტმა გაიგო, რომ არც ისე
დიდი ხნის წინათ მისი ცოლი კაცი ყოფი-
ლა და სახელად ჯეიმს მური რქმევია. მან
გაიკეთა ოპერაცია (დასავლეთის ქვეყნებში
ახეთ ოპერაციებს სულ უფრო ხშირად უკე-
თებენ მსურველებს), რომლის შედეგად შე-
იფჯალა სქესი და, შესაბამისად, სახელიც.

რამდენადაც მეუღლემ დაუმალა მას, რომ
წარსულში იგი მამაკაცი იყო, დევენპორტ-
მა მიმართა სასამართლოს თხოვნით გაება-
თილებინა ქორწინება. სასამართლომ დააკ-
მაყოფილა დევენპორტის საჩჩელი, რადგან
გაითვალისწინა, რომ მისმა „მეუღლემ“
თაღლითობა ჩაიდინა.

* * *

საღამოს 6 საათზე პოლიციაში დარეკეს,
რომ საკუთარ საწოლში იპოვნეს მკვდარი
ბავშვი. ასეთი რამ გამონაკლისი არ არის.
ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ
შტატებში ათიათასობით მსგავსი შემთხვე-
ვა ხდება. ამგვარი ცნობა ყოველთვის მომას-
წავებელია კიდევ უფრო საშინელი ტრაგე-
დიისა, და არა მარტო კერძო ოჯახისა,
არამედ მთლიანად ამ ქვეყნისათვის.

როდესაც პოლიციელები ნიუ ჯერსის
შტატის ქ. ნატლში მცხოვრებ დენის დი

როკოს სახლში მივიდნენ, ერთი შეხედვაც
საკმარისი აღმოჩნდა დარწმუნებულებიყვნენ,
რომ ჩვეულებრივ სიკვდილთან არა ჰქონ-
დათ საქმე: 13 თვის ბიჭუნა (მასაც დენისი
გრქვა) ზურგზე იწვა. სახე მიბრუნებული
ჰქონდა. გვერდზე ედო ჟღარუნა სათამა-
შო — დიდცხვირა ტაკიმასხარა. დიდი სის-
ხლნაჟღენთი ფარავდა სახის ერთ ნახევარს.
სხეულზე მრავლად შეინიშნებოდა დაღურ-
ჯებული ადგილები და იარები. სასამართლომ
ექსპერტმა დაადგინა, რომ ბავშვი თავში
ძლიერი დარტყმისგან გარდაიცვალა.

გამოიძებამ ბავშვის ორივე მშობელს 21
წლია დენისს და 23 წლის ელისაბედს
მკვლელობის ბრალდება წაუყენა. საკულის-
ხმოა, რომ ელისაბედმა სულ რამდენიმე
დღით ადრე მეორე შვილი გააჩინა.

ასე და ამგვარად, პატარა დენისი ერთ-
ერთი იმ დახსლოებით 30-დან 50 ათასამდე
ანერიკელ ბავშვთაგანი გახდა, რომლებიც
1974 წლის განმავლობაში დახსოვნენ,
რადგან სასტიკად, ეპყრობოდნენ. მათ შო-
რის 45 პროცენტამდე ასეთი პირი 4 წელს
არ იყო მიღწეული.

მრავალი ათასი სხვა ბავშვი სასტიკმა
მოპყრობამ გაახეიბრა, დაასხიჩრა, ფსი-
ქოლოგიურად დაამახინჯა ან გონებრივად
დეფექტური გახდა. ექიმი რეი ჰელფერი,
რომელიც ამ საკითხში საყოველთაოდ
აღიარებულ ავტორიტეტად არის მიჩნეუ-
ლი, ამტკიცებს, რომ 5 წლის ასაკამდე
ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც ყოველ-
წლიურად იხოცებიან ამ პრობლემის შედე-
გად (იგი სულ უფრო საშიშ მასშტაბებს
ღებულობს აშშ-ში), აღემატება ამავე ასა-
კის ბავშვთა რაოდენობას, რომლებიც ავად-
მყოფობისგან კვდებიან.

ბავშვთა ბიუროს (ჯანმრთელობის, გა-
ნათლებლისა და სოცურუნველყოფის სამი-
ნისტროს განყოფილება) უფროსის მოად-
გილის მოვალეობის შემსრულებელმა ფრენკ
ფერომ განაცხადა: „ჩვენ არ გავაჩნია საი-
მედო ნონაცემები. მაგრამ იმის მიხედვით,
რაც ჩემთვის ცნობილია, არა მაქვს საფუძ-



ველი სადავო გაეხადო ამგვარი განცხადება“.

რაც შეეხება დი რიკოს ოჯახს, აქ უბედურება მოსალოდნელი იყო. როცა პატარა დენისი სულ 2 თვისა იყო, დაიარებულნი ბავშვი ქ. ნიუორკის საავადმყოფოში მიიყვანეს. სასამართლოს დადგენილებით ბავშვი მშობლებს ჩამოართვეს და უდღემამო ბავშვითა სახლში მიაბარეს. მისი აქ ყოფნისას აღმოჩნდა, რომ ბავშვი ნარკომანად იყო დაბადებული, რადგან დედამისი ორსულობისას ჰერონიუმს იკეთებდა.

ამასობაში მშობლებმა გაიარეს ნარკომანიის საწინააღმდეგო მკურნალობა. მერე მამამ მუშაობა დაიწყო და ახალი ბინა დაიქირავა. ამის შემდეგ მშობლებმა სთხოვეს სასამართლოს ვაჭიშვილი დაგვიბრუნეთო. სასამართლო ენდო ცნობას, რომ ცოლქმარი განიკურნა ნარკომანიისგან და, სამეურვეო ორგანოების წინააღმდეგობის მიუხედავად, დააკმაყოფილა სარჩელი.

შინ დაბრუნების დღიდან პატარა დენისს ორი კვირაც არ უცოცხლია.

საშინელმა ტრაგედიათა ყურადღება მიიპყრო. გაზეთებმა ამბავი გაახმაურეს. ბუნებრივად დაიბადა კითხვები: როგორ შეიძლე-

ბოდა ასეთი რამ მომხდარიყო? როგორ დაუშვა საზოგადოებამ დანაშაული — საშიშროება ხომ აშკარა იყო? ასეთ და ბევრ სხვა ამგვარ კითხვაზე დამაჯერებელ პასუხს ვერაინ პოულობს. ამას ჩვეულებრივ იმით ხსნიან, რომ მსგავსმა მოვლენებმა სერიოზული სოციალური პრობლემის სახე მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიიღო. ბრენდის უნივერსიტეტის (რომელსაც ბავშვთა ბიურომ დააკისრა ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის პრობლემის გამოკვლევა) პროფესორი დევიდ ჯილი ამბობს, რომ „ჯერჯერობით აზრთა სხვადასხვაობა სუფევს ამ მოვლენების თითქმის ყოველი ასპექტის მიმართ — მისი მასშტაბებს, ბუნებასა და მის საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით“.

ეჭვი არ არის, რომ ზემოხსენებული მოვლენები უადრესად სერიოზულ და ყოველნისრივ შესწავლას, ანალიზსა და შეფასებას ჰოითხოვს. მაგრამ ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია: საქმე გვაქვს კადეჯ ერთ მახინჯ ვამოვლინებასთან იმ უკურნებელი სენისა, რომლითაც დავადებულია აშშ-ის საზოგადოება.

მხატვრის ღიმილი

ცნობილ ქართველ მხატვარს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს იოსებ ვლადიმერის-ძე ქოქიაშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. იოსებ ქოქიაშვილი ხშირად მონაწილეობს ჩვენი ჟურნალის მხატვრულ გაფორმებაში. ჟურნალის რედაქცია ულოცავს ი. ქოქიაშვილს თუბილეს და უსუჯევს შემოქმედებით წარმატებებს, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. მკითხველს ვთავაზობთ ი. ქოქიაშვილის რამდენიმე ნამუშევარს;



„შინავლესოვის“ უპირატესობა როდუზიზში



სირცხვილია, მთავარეუც ხალხია.



ეს სენატორი ჟურლია, ღაივირით.
— როგორ ღაივირით, ჯერ არაფერი
მოუპარავს, 40 წელია ღავღავთ.

ბ 30/29



ფაშ 50 333.

ИНДЕКС 76185

საბჭოთა სამართალი № 2

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР